№36 (303) ● 22 ოქტომბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

## „ნაცმოძრაობა“ — პოლიტიკურ სა-ნა-გვე-ზე!

ნაგავთან კოაბიტაცია არ შეიძლება — ნაგავი უნდა გამოხვეტო!




## ვინ და რატომ ცდილობს საქართველო „ისლამურ სახელმწიფოს“ დაუპირისპიროს?

## აქაც ÊÃÁ, იქაც ÊÃÁ...



ნატო-ს ახალი გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, აგენტურული მეტსახელით „ÑÒÅÊËÎ Â“, საბჭოთა ჯაშუშთან თანამშრომლობდა?

## ორი გაზეთი ერთ გაზეთში

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

## გურამ პეტრიაშვილი: ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ომი დღემდე არ დამთავრებულა





## გია მაისაშვილი: საქართველოს შეუძლია ამ მსოფლიო უდაბნოში ედემის ფუნქცია შეასრულოს! ეს მისი მისიაა...

## თეიმურაზ ქარჩავა:



იმედი გვაქვს, სახელმწიფო კომისია „ანაკლია-პორტის“ მშენებლობას ჩვენს კონსორციუმს მიანდობს

## ჰამლეტ ჭიპაშვილი:



შევარდნაძემ და სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ აფხაზეთი დაკარგულიყო

## დავით გამცემლიძე:



ნაცმოძრაობის მმართველობა ეს იყო სახელმწიფო დონეზე აყვანილი ბანდიტიზმი, მოსახლეობის ძარცვის ლეგიტიმური უფლებით

**საერთო გაზეთი — გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# ვინ და რატომ ცდილობს საქართველო „ისლამურ სახელმწიფოს“ დაუპირისპიროს?

„საქართველო უფრო მაღალ დონეზე მუშაობს NATO-ს უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვიდრე NATO-ს ბევრი წევრი ქვეყანა. უფრო მეტიც, საქართველოს ეროვნული კონსენსუსი ასეთი თანამშრომლობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით მყარი რჩება, განსაკუთრებით თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას ხელმძღვანელობის ქვეშ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ერაყსა და სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლასა და დამარცხებაში დახმარების გაწევით მიღებული სარგებელი რისკებს გადაწონის. თუ „ისლამური სახელმწიფოს“ არავინ შეაჩერებს, საბოლოოდ, ის საქართველოზე მიიტანს იერიშს, მიუხედავად იმისა, საქართველო დაეხმარება თუ არა „ისლამურ სახელმწიფოს“ ისლამისტ ოპონენტებს საწვრთნელი ბაზით. არ ვწინასწარმეტყველებ, რომ ისლამური სახელმწიფო თავს დაესხმება საქართველოს, მე ორ სხვა რამეს ვგულისხმობ: საქართველოს შეუძლია და უნდა დაეხმაროს საერთაშორისო საზოგადოებას ისლამური სახელმწიფოს დამარცხებაში — ამ შემთხვევაში ყველა ჩვენგანი იქნება უსაფრთხოდ. არჩევანი ნათელია: ერთობლივი გამარჯვება, ან კოლექტიური პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა და დამარცხება!“ — განაცხადა ბრაიზამ.



მეთიუ ბრაიზა: საქართველოს შეუძლია და უნდა დაეხმაროს საერთაშორისო საზოგადოებას ისლამური სახელმწიფოს დამარცხებაში.

რას ნართულობს ბრაიზა, ან რას ნიშნავდა ორიოდე კვირის წინ Foreign Policy-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით ცნობილი დაჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში წვლილის შეტანის მიზნით საქართველო აშშ-ს თავის ტერიტორიაზე საწვრთნელი ბაზის განთავსებას სთავაზობს, რაც საქართველოს საგარეო უწყებამ არ დაადასტურა?

იქნებ, ბრაიზამ უპირველესად აშშ-ის და მისი მოკავშირეების ის შედეგები ჩამოთვალოს, რომელსაც მიაღწიეს ერთობლივი ბრძოლით აფრიკასა თუ აზიაში; შორეულ თუ ახლო აღმოსავლეთში; ბოლო-ბოლო, აგერ ახლახანს უკრაინაში?

იქნებ, ბრაიზამ უპირველესად ის თქვას, რას მოჰყვა აშშ-ისგან აბსოლუტურად სხვა მხარესა და ათასობით კილომეტრით დაშორებულ კონტინეტებზე არსებულ ქვეყნებში ანტიამერიკული განწყობა?

იქნებ, ბრაიზამ უპირველესად ის თქვას, რა დახმარება გაუწია საქართველოს აშშ-მა თუნდაც მხოლოდ 2008 წლის აგვისტოში და მას შემდეგაც, როცა დროებით დაკარგულს სამუდამოდ დაკარგულის სახელი დაერქვა? — ბრაიზა, სანამ „შეგონებანს“ წამოიწყებს, კიდევ ბევრი რამ აქვს სათქმელი „უპირველესად“ და საერთოდ, ვინ დაუნიშნა საქართველოს ბრაიზა მუდმივ პროპაგანდისტ-აგიტატორად?

ჯერ კიდევ ზაფხულში, ტერორისტული დაჯგუფება „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) მიკრობლოგ ტვიტერში ისლამური სახელმწიფოს ხუთწლიანი გეგმა გამოქვეყნდა და მსოფლიო რუკაზე ის სახელმწიფოებია მონიშნული, სადაც შარიათის კანონებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნა იგეგმება. რუკაზე მთლიანად არის კავკასიის რეგიონი, ახლო აღმოსავლეთი — პალესტინა, იორდანია, ლიბანი, სირია, ეგვიპტე, არაბეთის ნახევარკუნძული, თურქეთი, ჩრდილოეთ აფრიკა თითქმის ცენტრალურ აფრიკამდე, აზიის დიდი ნაწილი, აღმოსავლეთ ევროპის ნაწილი, ბალკანეთი, ყირიმის ნახევარკუნძული და პირინეის ნახევარკუნძული — ესპანეთი, პორტუგალია.

ის, რომ მსგავსი ტიპის გეგმა „ჯიჰადი-2020“ არსებობდა, ჯერ კიდევ 2000 წელს გახმაურდა „ალ-ქაიდას“ მიერ. დღეისათვის, არაოფიციალური ინფორმაციით, დაჯგუფებაში 15 000-მდე კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული პირი ირიცხება და მათ მთავარ დამფინანსებლად სპარსეთის ყურის ქვეყნები ითვლებიან, მსხვილი მენავთობეები.

ნუთუ?

გავიხსენოთ ბინ ლადენის ლოგიკა, რომელიც, როგორც ვხედავთ, სწორი აღმოჩნდა — იგი თვლიდა, რომ რადიკალური ისლამის იდეოლოგიის პოპულარიზაცია მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო, დასავლეთის არმია უნდა შეჭრილიყო მუსლიმანთა მიწაზე და საბოლოო გამარჯვებისთვის აუცილებელი იყო წაგება. ერაყი იდეალურ მოდელად აქცია აშშ-მ, ოკუპაციამ შედეგი გამოიღო და ქვეყანაში, სადაც მანამდე ტერორიზმის ხსენება არ იყო, ჯიჰადი იქცა უპირველეს ამოცანად და თავიანთ იდეოლოგიას მთელ მსოფლიოში ავრცელებენ, უარესი — პრო-დასავლური დიქტატორების ნაცვლად ახლა სათავეში ისლამისტები იმყოფებიან (ერაყი მხოლოდ ერთი მაგალითია).

ხომ არ გვეკითხა, ზოგადი სახელით „ბრაიზებისთვის“ როდის შემდეგ გაახსენდა, საერთოდ, მუსლიმანურ სამყაროს, რომ სადღაც, კავკასიაში, ქვეყანა საქართველოა? ხომ არ გვეკითხა ბატონი თავდაცვის მინისტრისთვის, ირაკლი ალასანიასთვის და მასთან ერთად ექსპრეზიდენტ სააკაშვილისთვის რა და ვისი მიზნების აღსრულებისთვის ჩაიხოცნენ (და უნდა ჩაიხოცონ) მსოფლიოს ე.წ „ცხელ წერტილებში“ ქართველი ბიჭები?

ეს ორი პერსონა, ამ ბოლო დღეებში ხალხმა დააწყვილა, რადგან საქართველოს თავდაცვის მინისტრი თავისი დიპლომატიურად გაუწონასწორებელი „იდეებით“ ექსპრეზიდენტს დაემსგავსა.

„საქართველოს, ეკონომიკის განვითარებისთვის სტბილურობა სჭირდება, მაგრამ რუსეთს ქედს არ მოვუხრით და მისგან კარნახს არ მივიღებთ. საქართველოსთვის უკეთესია, ჰქონდეს NATO-ს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ასოცირებული იყოს ევროკავშირთან — ეს განხილვას არ ექვემდებარება, ამიტომ, ვემზადებით უარესისთვის. იმედია, მომავალში შევძლებთ კონფრონტაციის თავიდან აცილებას, მაგრამ თუ მის წინაშე აღმოვჩნდებით, ყველა ბერკეტი უნდა გვქონდეს ჩვენი თავისუფლების დასაცავად“ — განაცხადა „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბატონმა თავდაცვის მინისტრმა.

რომელ ქედმოუხრელობაზე მეტყველებს ეს კაცი, როცა ქედიც მოხრილი ქვაქვს და წელში გადაკუზულიც ვართ? ან რისი და ვისი იმედი აქვს, რომ შეძლებენ კონფრონტაციის თავიდან აცილებას, მაგრამ თუ ვერ შეძლეს, ყველა ბერკეტი ექნებათ თავისუფლების დასაცავად? — მრავლობით



ირაკლი ალასანია: ვემზადებით უარესისთვის

რიცხვში რომ საუბრობს, ვის გულისხმობს „სიმრავლეში“? „ვემზადებით უარესისთვისო“ — ჯერ გასაგებად განმარტოს, რას გულისხმობს „უარესში“ და შემდეგ, ვისთან ერთად ემზადება? — გააგებინოს ვინმემ, რომ ქართველი ხალხი არ ემზადება „უარესისთვის“, ხალხს მშვიდობა უნდა! იგივე ხალხი ვარაუდობს, რომ ალასანიაში ქვეცნობიერში მიძინებულმა „საბჭოთა კაგებეშნიკმა“ გაიღვიძა და რეალურად რუსეთისთვის სწევს „სატოპკეს“...

როცა თავდაცვის მინისტრი თვლის, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული (აღიარებული) აფხაზეთისთვის შეთავაზებული „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ პროექტი“ გზავნილია საქართველოსთვისთვის, რომელიც ასე იკითხება: ჩვენ დავიწყეთ ანექსიის პროცესი, ამიტომ ორჯერ დაფიქრდით, გსურთ NATO-სა და ევროკავშირისკენ სვლის გაგრძელება, თუ ეს ჩვენი განხილვის ნაწილი გახდება? — ომისთვის ვემზადებითო, ამის ყვირილი, ნორმალურია თავდაცვის მინისტრისგან?

გააჩერეთ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვინმემ და აუხესნით, რომ ის მხოლოდ თავდაცვის მინისტია და არა პრემიერ-მინისტრი, არა პრეზიდენტი, არა პარლამენტის თავმჯდომარე, რომ ასეთი განცხადებები აკეთოს.

„ისლამური სახელმწიფო“ — გაცვდა „ტერორისტები“ და გაჩნდა ახალი მსოფლიო ბუა. 15 000 კი არა, ორჯერ 15 000 შეიარაღებული პირი იყოს, რა არის იმ მსოფლიოსთვის, რომელსაც მართლაც უნდა ამ ძალის განეიტრალება, მაგრამ თუ ხანგრძლივი, დროში ხელოვნურად გაწელილი საომარი მოქმედებები უნდა რამდენიმე მხარეს და ინტერესთა თანხვედრაა? ამასთანავე, კარგი, მათ აფინანსებენ, მაგრამ ისიც ხომ საინტერესოა, რომელი ქვეყნები ამარაგებენ აღნიშნულ „ბუა-ორგანიზაციას“ სამხედრო შეიარაღებითა და ტექნიკით? რუსეთი და აშშ მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიც შეთანხმებულები იყვნენ და რა?! ახლაც თანხმდება ეს ორი იდეოლოგიური მტერი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში და რა? — უამრავი კითხვებია, ეს მეთიუ ბრაიზა და ირაკლი ალასანია კი დამდგარან და საომარ ავანტიურაში ჩაყოლას გვიქადაგებენ...

რაც შეეხება რუკას — ვისაც არ ენაღვლება, საქართველო ყველას რუკაზე იყო და არის მონიშნული სხვადასხვა დროს: რუსეთის, „დიდი სომხეთის“, „ოსმალეთის იმპერიის“, სპარსეთის... ამასობაში ერთი უწყინარი კითხვა იბადება“: — „ისლამური სახელმწიფოს“ რუკაზე არაბუნებრივ შეტეხილშია საქართველო — საინტერესოა, ასე მყვირალად გამოხატული ე.წ პროდასავლური კურსი რომ არ ჰქონდეს, მაინც მოხვდებოდა ამ რუკაზე?



**დავით ქავთარია**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „ნაცმოძრაობა“ ცდილობს მის მიერ ჩადენილი დიდი სახელმწიფო ღალატის შედეგები „ქართულ ოცნებას“ გადააბრალოს!











აფხაზეთში დღეს მიმდინარე პროცესები ეს არის ლოგიკური ფინალი იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომლებიც „ნაცმოძრაობამ“ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩაიდინა.

**„ნაცმოძრაობამ“** აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი მილიონებზე გაყიდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

**„ნაცმოძრაობა“** რუსეთის რეაქციულ-ექსტრემისტული ძალების მიერ კონტროლირებადი მეხუთე კოლონაა, რომელიც დღესაც ამ ძალების შეკვეთას ასრულებს.

**„ნაცმოძრაობა“** პროვოკატორული, აგენტურული ძალაა, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო კვლავ დააჯახოს რუსეთს, რაც შეიძლება ქართული სახელმწიფოს დაშლით და დაქუცმაცებით დამთავრდეს.

**„ნაცმოძრაობა“,** რომელიც დასავლური ორიენტაციის ერთგულების მოტივით რუსეთთან დიალოგის გაგრძელების კატეგორიული წინააღმდეგია და ამ საბაბით „ქართულ ოცნებას“ აშანტაჟებს და დასავლური კურსის ორგულობაში სდებს ბრალს, სინამდვილეში თვითონ არის კარგად შენიღბული რუსული დესანტი, რომელიც დიდ კატასტროფას უმზადებს საქართველოს.

**„ნაცმოძრაობა“** და მისი ლიდერები – 2008 წლის აგვისტოს ავანტურისტული ომის თანაავტორები და თანაინიციატორები, რომლებმაც სისხლიანი შეთქმულება მოუწყვეს საქართველოს, უნდა გასამართლდნენ, როგორც სამშობლოს მოღალატეები.

**„ნაცმოძრაობა“,** რომელმაც 2008 წლის 7 აგვისტოს დამარცხებისთვის წინასწარ დაგეგმილი ომი წამოიწყო და საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთს ჩააბარა, დღეს ახალი პროვოკაციისთვის ემზადება.

საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, კერძოდ, მისი საპარლამენტო უმრავლესობა, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები და მათი ლიდერები უნდა გათავისუფლდნენ იმ დემაგოგიური კლიშეებისგან, რომლის მიხედვითაც თითქოს „ნაცმოძრაობა“ პროდასავლური ორიენტაციის ძალაა. სინამდვილეში პირიქითაა ეს ყველაფერი, რისი დამამტკიცებელი უამრავი მასალა არსებობს.

გამოიძიეთ და საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეთ ეს მასალები!

ამხილეთ შენიღბული მტერი, სახელად „ნაცმოძრაობა“!

ნუ აჰყვებით მათ პროვოკაციას, ნუ შეგეშინდებათ მათი დემაგოგიური ბრალდებების და ცილისწამებების, გამოიტანეთ დასკვნები არა მათი ფარისევლური სიტყვების, არამედ მათ მიერ გაკეთებული საქმეების მიხედვით.

**„ნაცმოძრაობის“** უგუნურმა, ანტიქართულმა პოლიტიკამ საქართველო ჩიხში შეიყვანა.

ამ ჩიხიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა არსებობს – „ნაცმოძრაობისთვის“ ნიღბის ჩამოხსნა, „ნაცმოძრაობის“ მხილება და მათი ნაავკაცარის ბოლომდე გაშიფვრა!

**საქართველო რომ გადარჩეს, „ნაცმოძრაობა“ უნდა გასამართლდეს!**

# ამხილეთ შენიღბული მტერი, სახელად „ნაცმოძრაობა“!

საუბარი პოლიტოლოგ
**ჰამლეტ ჭიპაშვილთან.**

**— ბატონო ჰამლეტ, 13 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის სეპარატისტულ წარმონაქმნს შორის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტის შესახებ გახდა ცნობილი. რა წინაპირობები ჰქონდა ამ ურთიერთობებს? უფრო დავშორდით აფხაზეთს?**

— თავისთავად ცხადია, აფხაზეთსა და რუსეთს შორის ამ ახალი შეთანხმების მიღწევა სპონტანური არ ყოფილა. პროცესი მიმდინარეობს, რაც ქართველმა პოლიტიკოსებმა ვერაფრით ვერ გაითავისეს.

შორიდან დავიწყებ, რადგან იქ არის ამ უბედურების სათავეები.

აფხაზების ლანძღვა-გინება ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროიდან მოდის, მაგრამ ზვიად გამსახურდიამ გააკეთა ის, რომ ვლადისლავ არძინბასთან საერთო ენა გამონახა და მოხდა შეთანხმება აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ქართული დეპუტაციის არსებობის შესახებ. ეს, მოგეხსენებათ, დიდხანს არ გაგრძელებულა, მოხდა „თბილისის ომი" და მოვიდა შევარდნაძე.

იმ პერიოდში, 1992 წლის მარტი იქნებოდა, კვლავ უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსი ვიყავი. ერთ დღეს მოდის ფოსტა აფხაზეთიდან, გვწერს ვლადისლავ არძინბა: — სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებო და შევარდნაძეს სთავაზობს მოსაზრებებს ფედერაციასთან და კონფედერაციასთან დაკავშირებით. გამოყოფაზე, ან მსგავს რამეზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. შევარდნაძე მაშინ იმ ე. წ. „ტრიუმვირატის" „ნაჩალნიკი" იყო და „იმელის" შენობაში იჯდა. მე მივუტანე ეს წერილი, გადავეცი მის მდივანს, ქალბატონ ცისანას და მან, ჩემს თვალწინ, შევარდნაძეს წერილი შეუტანა.

პასუხი არძინბასთვის არავის გაუცია.

ერთი თვის შემდეგ კვლავ იგივე წერილი მივიღეთ, არძინბა წერდა: გთხოვთ, ბატონო ედუარდ, და ა. შ. და ა. შ.

რეაქცია არც ახლა ყოფილა. ამის შემდეგ არძინბამ ეს მიმართვა-პროექტი გამოაქვეყნა აფხაზეთის გაზეთში.

ამ მოთხოვნას შევარდნაძემ მოგვიანებით გასცა პასუხი, როცა ლაშქარი მიაყენა აფხაზეთს ვითომდა რკინიგზის დასაცავად.

ყველას გვახსოვს, რა მოხდა მაშინ. ფაქტობრივად, მაშინ დავკარგეთ აფხაზეთი.

1995 წელს, როცა კონსტიტუცია შეიმუშავეს, ავტონომიები საერთოდ არ იყო მოხსენებული. თვით აჭარასაც კი არ ჰქონდა სტატუსი იმ კონსტიტუციაში.

2000 წლისთვის მე უშუალოდ ვმონაწილეობდი აფხაზებსა და ქართველებს შორის მოლაპარაკებებში. ერთმანეთს ვხვდებოდით გერმანიასა და ავსტრიაში. ყოველთვის მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ **აფხაზები მზად იყვნენ წამოსულიყვნენ დათმობაზე მთელ რიგ საკითხებში. ისინი თანახმა იყვნენ ჩვენთან ერთად ეცხოვრათ...**

ე. წ. მოლაპარაკებების ფონზე ასეთი განწყობები 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე" გაგრძელდა.

სააკაშვილის მოსვლის შემდეგ აფხაზებთან კონტაქტი საერთოდ შეწყდა.

მერე დადგა 2008 წელი და მოხდა ის, რაც მოხდა.

დაიწყო ცხინვალის ომი და რუსეთმა აღიარა ცხინვალის დამოუკიდებლობა მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს შესთავაზა, დაეწყო მოლაპარაკებები აფხაზებთან და ოსებთან პოლიტიკური სტატუსის შესახებ. ეს აღნიშნულიც იყო მედვედევ-სარკოზის დოკუმენტში, თუმცა სააკაშვილმა თავისი ხელით გადახაზა ეს პუნქტი. როგორც ჩანს, შეშინდა, აფხაზეთი ფედერაციას ან კონფედერაციას მოითხოვსო; რამაც გააჩინა ეჭვი და შესაძლოა, რეალურიც, რომ სააკაშვილი, ე. ი. ქართული მხარე კვლავ შეეცდებოდა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ძალით დაბრუნებას. ამიტომაც რუსულმა მხარემ ოფიციალურად ცნო აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობა.

ვის დავაბრალოთ ყოველივე ეს? ისევ ჩვენს თავს, რასაკვირველია.

1992 წელს ომი დაიწყო შევარდნაძემ. აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი 1995 წლის კონსტიტუციაში არ ჩაწერა ქართულმა მხარემ, 1995 წლიდან თითქმის 2003 წლამდე აფხაზთა თხოვნას ყური არ დაუგდო საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, 2008 წელს ომი დაიწყო ქართულმა მხარემ. შემდეგ სტატუსთან დაკავშირებით კვლავ საქართველოს ხელისუფლებამ თქვა უარი. ყოველივე ამის შემდეგ რუსეთმა რომ აღიარა ამ რეგიონების დამოუკიდებლობა და შეთანხმების პროექტის განხილვა რომ დაიწყო, ეს გვიკვირს?!

საქართველოს ყველა ხელისუფლებას და რაც მთავარია, საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას თავში აქვს ჩადებული, რომ ქართველები ყველასთან მართლები ვართ და რუსები, აფხაზები და სხვები ყველანი არიან ცუდები.



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# შევარდნაძემ და სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ აფხაზეთი დაკარგულიყო

**— გასაგებია, მაგრამ შევარდნაძე, რომელიც სათანადო გადაწყვეტილებებს ვერ იღებდა სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით, ესეც, შესაძლოა, ძალდატანება ყოფილიყო რუსეთის მხრიდან, ხან ღია, ხან — ფარული ძალდატანება. არ შეიძლება გამოვრიცხოთ, რომ ზეწოლები შეიძლებოდა სააკაშვილის მიმართაც განხორციელებულიყო რუსეთის მხრიდან.**

— დიახ. ასე ფიქრობს და ლაპარაკობს ძალიან ბევრი საქართველოში, მაგრამ ეს არის, უკაცრავად და, ნაღრძობი ტვინის პროდუქტი. რუსეთს რომ ასეთი რამე შეეძლოს, უკრაინას არ დაკარგავდა. ეს გაჭირვებული საქართველო რა პრობლემა იქნებოდა.

ცხადია, აფხაზეთში რუსეთის სპეცსამსახურები იქნებოდნენ, მაგრამ აფხაზები სულ 60 000-ია.

**— ისინიც გარუსებულები. არ დაგვავიწყდეს, რომ დიდი იყო რუსული გავლენა და პროპაგანდა.**

— დამიგდეთ ყური! აფხაზეთში 300 000 ქართველი ცხოვრობდა და 60 000 აფხაზი. ის 300 000 ქართველიც კი აფხაზეთში ლაპარაკობდა რუსულად, შვილებს აგზავნიდნენ რუსეთში სასწავლებლად.

რაც შეეხება იმას, რომ 300 000 ქართველმა 60 000 აფხაზთან საერთო ენის გამონახვა ვერ მოახერხა, ეს არის ერის დანაშაული.

**— რუსეთი ყოველთვის უშლიდა ხელს ამ ურთიერთობებს, რადგან მას მუდამ ეჭირა თვალი აფხაზეთზე...**

— მთელმა საქართველომ საერთო ენა ვერ გამონახა რუსეთთან და იმ ერთი მუჭა აფხაზებმა გამონახეს. როცა ჩვენს დანაშაულს და შეცდომებს სხვას ვაბრალებთ, ეს არის საკუთარი თავის მასხრად აგდება.

**— აბა, რა მოხდა სინამდვილეში?**

— **სინამდვილე ის არის, რომ შევარდნაძეს ჰქონდა უაზრო ამბიციები** და ამის დასამტკიცებლად ერთ ამბავს მოვყვები, რომელიც ალექსანდრე ჩიკვაიძეს თავის წიგნშიც აქვს მოთხრობილი: ედუარდ შევარდნაძე თურქეთში იმყოფებოდა საშა ჩიკვაიძესთან ერთად. ანკარიდან თბილისში მოფრინავენ და შევარდნაძე ამბობს: მე ახლა არძინბას ჯინაზე ბათუმში დავჯდები.

მან ვერ „მოათვინიერა" არძინბა. ამის ბოლომა კლავს. ამბიცია აღრჩობს და ეჯიბრება არძინბას.



სამწუხაროდ, შევარდნაძემ არაფერი იცოდა ფედერაციასთან დაკავშირებით, არც კონფედერაციის შესახებ გაეგებოდა რამე. იარაღით რომ შევარდა აფხაზეთში, როგორ აპირებდა მერე იმ ხალხის მართვას? ამის შესახებ არაფერი უწყოდა. ამიტომ ძალით ვინმეს „დაჩოქება" არ გამოუვიდა. მრჩევლებიც არ ჰყოლია. ყოფილ კომკავშირლებს რა უნდა ერჩიათ მისთვის, როცა მათი აზროვნება დროს აშკარად ჩამორჩებოდა?!

რაც ეხება სააკაშვილს. იგი მოსვლის დღიდან ასრულებდა ამერიკულ დავალებებს, ხოლო მისი ცხინვალზე თავდასხმა უკვე სხვა „სიმღერაა".

აშშ-ს სჭირდებოდა რუსეთის გამოცდა და თუ გაუვიდოდათ, აქ შექმნიდნენ პერმანენტულ ცხელ წერტილებს, რაც მუდმივად თავსატეხი იქნებოდა რუსეთისთვის.

2008 წლის ომი აშშ-ის დაწყებულია. თუმცა სააკაშვილს დაბრალდა. სინამდვილე ასე იყო.

**— თქვენ ამბობთ, რომ რუსეთი ოკუპანტი არ არის?**

— რუსეთი ოკუპანტი არის, მაგრამ ამის ასე ცალსახად განხილვა არ შეიძლება. რუსეთი ჩვენ ვაიძულეთ გამხდარიყო ოკუპანტი. კი, მაგრამ, თუ ის ოკუპანტია, რატომ არ მოახდინა სომხეთის, აზერბაიჯანის, ან ცენტრალური აზიის ქვეყნების ოკუპაცია.

საქმე იმაშია, რომ არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას რუსეთის დიქტატი არ აღელვებს, რადგან არავითარ დიქტატს ადგილი არ აქვს.

რასაც ამბობს ლუკაშენკო უკრაინასთან დაკავშირებით, ასეთ რამეს არ ამბობს თვით ინგლისის პრემიერ-მინისტრიც.

მე ვსვამ კითხვას — დსთ-ს არც ერთმა სახელმწიფომ რატომ არ აღიარა აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა?

დღეს რუსეთი ველარ უბრძანებს ვერავის ვერაფერს და ეს ქვეყნებიც საკუთარი შეხედულებისამებრ იქცევიან.

ასეთი დიქტატი დღეს არის შემორჩენილი მხოლოდ აშშ-სა და ევროკავშირის ურთიერთობაში.

მოგეხსენებათ, რუსეთის მიმართ გარკვეული სახის სანქციები არის დაწესებული. რუსეთმა, თავის მხრივ, ევროპის ქვეყნების იმ პროდუქციაზეც დააწესა სანქციები, რომლებიც რუსეთში შედის, თუმცა რუსეთს არ უთქვამს ბელორუსისა და ყაზახსტანისთვის — შენც დააწესე სანქციებიო.

აი, მაგალითად, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი ხელს მოაწერს რუსეთთან გაზსადენის მშენებლობაზე ხელშეკრულებას, იწყებს მშენებლობას, ჩამოდის მაკკეინი, დედას აგინებს ბულგარეთის პრემიერ-მინისტრს და ამ „დამოუკიდებელი" ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ამბობს, რუსეთთან ვწყვეტთ ხელშეკრულებასო.

ასეთ დღეშია დღეს ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო.

ევროკავშირი დღეს აკეთებს იმას, რაც სურს აშშ-ს.

**— კონფლიქტი არავის სურს**

# „ნაციონალური მოძრაობა" — პოლიტიკურ სანაგვეზე!

უკრაინაში დიდი საკადრო წმენდა დაიწყო — ადამიანებს, რომლებიც თუნდაც ერთი წელი ემსახურებოდნენ იანუკოვიჩის რეჟიმს, უბოდიშოდ და უცერემონიოდ ყრიან სამსახურებიდან.

როგორც ჩანს, უკრაინელები თვლიან, რომ ერთი წელი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი სისტემის განუყოფელ ნაწილად იქცეს, საიდანაც გათავისუფლება და თავის დაღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

საქართველოში ერთი წელი კი არა ცხრა წელი სააკაშვილის რეჟიმის მონები და მისი ხუშტურების უსიტყვო შემსრულებლები იყვნენ ვიღაც-ვიღაცები, მაგრამ ამის გამო მათთვის ზედმეტი სიტყვა არავის უკადრებია.

ის კი არა ბევრნი, ძალიან ბევრნი, „ქართულმა ოცნებამ" გვერდით ამოიყენა და მათთან ერთად ცდილობს ქვეყნის აშენებას.

ვფიქრობ, შეცდომაა ეს, რადგან როგორც არ არსებობს ყოფილი „კაგებეშნიკი", ასევე არ არსებობს ყოფილი „ნაციონალი", რადგან „ნაქციონალური მოძრაობა", ფაქტობრივად, „კგბ-ს" სისტემაზე აგებულ ორგანიზაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე წმინდა წყლის პოლიტიკურ პარტიას.

„ნაცმოძრაობა" ეს იყო არა ერთიანი პოლიტიკური იდეოლოგიით, არამედ ერთმანეთზე კომპრომატებით შეკავშირებულ-გაბმული ადამიანების ერთობა.

ეს კომპრომატები არსად არ წასულა და არ გამქრალა — დარწმუნებული ვართ, ის დღემდე ინახება „ნაცმოძრაობის" საიდუმლო საცავებში და საჭირო დროს და საჭირო მომენტში მყისიერად გასაჯაროვდება, თუ რომელიმე ყოფილი „ნაციონალი" „ნაცმოძრაობისთვის" სერიოზული დარტყმის მიყენებას დააპირებს.

**„ქართულ ოცნებაში" გადასული „ნაციონალების" უმრავლესობა მხოლოდ ფიზიკურად არის „ქართულ ოცნებაში", მათი სული კი ისევ „ნაცმოძრაობის" კოლბებშია გამომწყვდეული,** ამიტომ არ შეიძლება ეს ადამიანები ერთგულ თანამებრძოლებად და თანამოაზრეებად მივიჩნიოთ.

არავინ იცის, საჭირო დროს და საჭირო მომენტში რას მოიმოქმედებენ ისინი და როდის ჩაარტყამენ დანას ზურგში მათ კეთილისმყოფელ „მეოცნებეებს".

„ქართულ ოცნებაში" საკუთარი ნებით გადმობარგებულ „ნაციონალთა" გარდა, არის კიდევ ერთი კატეგორია, რომლებსაც შეიძლება პირობითად **„პლენში ჩარჩენილები"** ვუწოდოთ.

საქმე ის არის, რომ „ნაცმოძრაობამ", რომელიც ოქტომბრის არჩევნების წინა პერიოდშიც დიდ ძალაუფლებას ფლობდა, სავარაუდოდ, „ქართულ ოცნებაში" საკმაოდ ბევრი ადამიანი ჩანერგა.

„ნაცმოძრაობა" დარწმუნებული იყო, რომ საპარლამენტო არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებდა და „ქართულ ოცნებაში" შეგზავნილ მსტოვრებსაც უკან დაიბრუნებდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: „ნაცმოძრაობა" დამარცხდა და მისი აგენტები „პლენში" ჩარჩნენ.

**არავის დაუდგენია, რამდენნი არიან ეს „პლენში ჩარჩენილები", რა პოსტებს იკავებენ ისინი კოალიცია „ქართული ოცნების" სამთავრობო თუ საპარლამენტო სტრუქტურებში.**

ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, „პლენში ჩარჩენილები" კრიზისულ სიტუაციაში ციხის კარებს შიგნიდან რომ არ გააღებენ?

ამბობენ, კოალიციაში შემავალი პარტიები ხალისით უმოყვრდებიან „ნაციონალებს", თავიანთ რიგებში იღებენ, მერე კი შეერთებული ძალებით ერთად ავიწროებენ და ერთად ბლოკავენ „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც დიდი სიმპათიებით არასოდეს ყოფილან განწყობილნი კოალიციაში შემავალი სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ და ერთადერთი ძალა, რომელსაც მხარს უჭერდნენ და დღემდე უჭერენ, არის „ქართული ოცნება", ჯერ ბიძინა ივანიშვილის, ახლა კი ირაკლი ღარიბაშვილის თავკაცობით.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში" „ქართული ოცნების" მხარდამჭერები არ უყვართო — ასეთ, ერთი შეხედვით, პარადოქსულ მოსაზრებებსაც გაიგონებთ ზოგჯერ.

კოალიციაში არსებულმა შიდა კონკურენციამ, თუ ის მკაცრი ხელით არ დარეგულირდა, ადვილი შესაძლებელია, ბალანსი დაარღვიოს და სხვების შევიწროების და იგნორირების ხარჯზე ერთი ან ორი პოლიტიკური ძალა ისე გაძლიერდეს, რომ დანარჩენები დაჩრდილოს.

**არ არის დასამალი, რომ კოალიციაში შემავალი პარტიები „შავი დღისთვის" ანუ იმ დღისთვის, როდესაც კოალიცია დაიშლება და პოლიტიკურ ასპარეზზე მარტო დარჩებიან, წინასწარ „იმარაგებენ" რესურსებს და ცდილობენ იმდენი პოლიტიკურ დოვლათი და ავლადიდება მოიმარაგონ, რომ მომავალშიც დიდხანს ეყოთ.**

მათთვის ახლა შოვნის და მოხვეჭის დროა და ბედის წყალობით ნაბოძებ ამ შანსს ისინი ხელიდან არ უშვებენ.

ყოველივე ამის ფონზე კოალიცია „ქართული ოცნების" ისედაც ჭრელ პოლიტიკურ ოჯახში ახალი მუქთამჭამელის შემომატება „ნაცმოძრაობის" სახით, კიდევ უფრო აბუნდოვანებს სურათს და ქართველ ამომრჩეველს უჭირს პასუხი გასცეს კითხვაზე: — ვის და რატომ მისცა მან ხმა და ხელისუფლებაში წარმოდგენელი ეს გუნდი არის თუ არა ის გუნდი, რომლისთვისაც ის იბრძოდა და თავს სწირავდა?

ეს კითხვა აუცილებლად დაისმება მომავალი არჩევნების წინ, შეიძლება ის დაისვას გაცილებით ადრეც და დაისვას ფრიად კატეგორიული ფორმით.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ კოალიცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო" შიდა რეკონსტრუქციას და რევიზიას საჭიროებს და, რაც მთავარია, ის საჭიროებს ახალი სისხლის გადასხმას, ახალი, საინტერესო სახეებით გამდიდრებას და გადახალისებას.

ქართულ საზოგადოებაში დიდი ინტელექტუალური რეზერვი არსებობს.

ეს არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც არა მარტო ინტელექტით, არამედ წესიერებით, სახელმწიფოებრივი აზროვნებით, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გამოირჩევიან.

ამ ადამიანებს მოუხმობლებს ეძახიან, რადგან მათთვის არც ერთ ხელისუფლებას არ მოუხმია და არ შეუთავაზებია ის ასპარეზი, რომლებსაც ისინი იმსახურებენ.

დაბოლოს, იმითვე დავამთავროთ, რითაც დავიწყეთ — უკრაინამ დიდი საკადრო წმენდა დაიწყო...

დიდი საკადრო წმენდა საქართველოშიც უნდა დაიწყოს და ბოლოს და ბოლოს უნდა ითქვას ის ფრაზა, რომელსაც დიდი ხანია ელოდება ქართველი ხალხი: — „ნაციონალური მოძრაობა" პოლიტიკურ სანაგვეზე!

ნაგავთან კოაბიტაცია არ შეიძლება — ნაგავი უნდა გამოხვეტო, რომ სისუფთავეში იცხოვრო...

**„საერთო გაზეთი"**




---

**სუპერსახელმწიფოსთან. ეს პოლიტიკაა და არა დიქტატი, ბატონო ჰამლეტ.**

— თუ ასეა, მაშინ რა გამოდის, უფრო დემოკრატიული რუსეთია თუ აშშ-ი?

აი, დღეს ჩვენ რუსეთს ვადანაშაულებთ იმაში, რომ ის აპირებს ახალი ხელშეკრულების გაფორმებას აფხაზეთთან და გვავიწყდება ის, რომ რუსეთი არის სახელმწიფო, რომელიც თავს იცავს და ამბობს — არ მსურს ჩემს საზღვრებთან ნატოს სამხედრო ბაზები.

საქართველო კი, იმის ნაცვლად, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები გამართოს, ფანჯიკიძის პირით ამბობს: ვიდრე საქართველოში, ცხინვალსა და სოხუმში რუსეთის საელჩოები იქნება, ვიდრე ამ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები არის, საქართველო არ დაიწყებს მოლაპარაკებებს რუსეთთან.

მოლაპარაკებები აბაშიძე-კარასინს შორის მიმდინარეობს, მაგრამ ეს მოლაპარაკებები ეხება ყველაფერს, პოლიტიკის გარდა. ამ დროს გაჰყვირი, რომ რუსეთი არის აგრესორი და ითხოვ, რომ აქ გაიხსნას ნატოს სამხედრო-საწვრთნელი ბაზები სირიელი ბოევიკების წინააღმდეგ მებრძოლი სირიელებისთვის.



ამ შემთხვევაში, დიპლომატიური სვლა იქნებოდა უელსის სამიტზე არ აეტეხა ქართულ მხარეს რუსეთის მიმართ აგრესიული რიტორიკა, თუმცა პირიქით მოხდა.

ტყუილად ნუ ვიკვეხნით დამოუკიდებლები ვართო, ვიდრე არ გვექნება დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, მანამდე ჩვენი დამოუკიდებლობა ფიქციაა და მეტი არაფერი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

მსოფლიო პრესის მიხედვით

# რუსეთ-აფხაზეთის ახალი ხელშეკრულება: უფრო მეტი ინტეგრაცია თუ უფრო მეტი ანექსია

**საქართველოს მთავრობა აზუსტებს სამოქმედო გეგმას, რომელიც რუსეთსა და აფხაზეთს შორის ახალი ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ იქნება მიმართული. თბილისში პირობას დებენ, რომ „აგრესიულ დიპლომატიურ პასუხს“ გასცემენ და ამაში დასავლეთის მხარდაჭერაც ეიმედებათ. რუსეთის საგარეო უწყებაში ამბობენ, რომ „აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, აქვს ინტეგრირების უფლება ვისთანაც მოუნდება და როცა მოუნდება“. მოსკოვში ირწმუნებიან, რომ სოხუმთან შეთანხმება საფრთხეს არ შეუქმნის „ქართულ-რუსული ურთიერთობების მოწესრიგებას“.**



აფხაზეთის მედიაში გამოქვეყნებული ახალი ხელშეკრულების განსახილველად, საქართველოს პრემიერთან არსებული უშიშროებისა და კრიზისების მართვის საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვიეს. ამ სხდომაზე დასასწრებად თბილისში გამოიძახეს დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში წარგზავნილი საქართველოს ელჩები.

თბილისში გამოთქმული მოსაზრებები: საქართველოს პარლამენტის სპეციალური განცხადება ხელშეკრულებას „რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიის მცდელობად აფასებს; თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია — ჩვენ აგრესიულ ნაბიჯებს გადავდგამთ საერთაშორისო არენაზე; საქართველოს ელჩი ამერიკაში არჩილ გეგეშიძე — თბილისს უპირველეს ყოვლისა ვაშინგტონის დიპლომატიური დახმარების იმედი აქვს; საგარეო უწყების ხელმძღვანელი მაია ფანჯიკიძე — რუსეთ-აფხაზეთის ახალი ხელშეკრულების საკითხს განსახილველად შევთავაზებთ ევროკავშირის ქვეყნების მინისტრთა საბჭოს; უშიშროებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე — ავამოქმედებთ საერთაშორისო მექანიზმებს საქართველოს დასაცავად; სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი — კარასინი-აბაშიძის ფორმატმა თავისი რესურსი ამოწურა. აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოებრიობის მაქსიმალური მობილიზაცია და კონსოლიდაცია; რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე — მოსკოვთან ურთიერთობაზე უარის თქმა არ ღირს.

მოსკოვი კი მოუწოდებს თბილისს, არ ჩაერიოს ამ საკითხში. „აფხაზეთს აქვს უფლება, გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. და მისი გადასაწყვეტია, ვისთან სურს ინტეგრირება და რა ფორმით. აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფოა და დასავლეთის სახელმწიფოები გამუდმებით გვახსენებენ, რომ პატივი უნდა ვცეთ სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს“.

ქართველ ექსპერტთა ვარაუდით, არ არის გამორიცხული, აფხაზმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც რუსეთთან ღრმა ინტეგრაციის იდეას არ იზიარებენ, მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობაში სკანდალი განგებ ააგორეს. ხელმოუწერელი დოკუმენტის გამოქვეყნებით აფხაზებმა ოსტატურად ითამაშეს რუსულ-ქართულ ურთიერთობაში არსებულ წინააღმდეგობებზე, იცოდნენ, რა რეაქცია მოჰყვებოდა თბილისში და მოსკოვისთვის პრობლემების შექმნა სურდათ.

სოხუმში სრულიად განსხვავებულად აფასებენ ხელშეკრულების გამო შექმნილ ვითარებას. „ჩვენ დემოკრატიული სახელმწიფო ვართ და საზოგადოებამ, რასაკვირველია, დოკუმენტი სხვადასხვაგვარად მიიღო, — აცხადებს აფხაზეთის ექსპრემიერი სერგეი შამბა. რუსეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა ახალ სტადიას საჭიროებს. ხელშეკრულების პროექტს მართალია სჭირდება კორექტირება, მაგრამ მასში აფხაზეთისთვის სასარგებლო დებულებებია. რაც შეეხება ქართული მხარის პოზიციას, ჩვენ მოსკოვთან ურთიერთობას ყოველთვის ისე ვამყარებდით, ყურადღებას არ ვაქცევდით თბილისის რეაქციას და ამჯერადაც ჩვენს ინტერესებზე ვფიქრობთ“.

# მდინარე ფსოუზე საზღვრის გადაკვეთის რეჟიმი გამარტივდება, მდინარე ენგურზე — საზღვრის დაცვა გაძლიერდება

აფხაზეთის პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ თავის ადმინისტრაციას დაავალა შეიტანოს შესწორებები რუსეთთან ახალი ხელშეკრულების პროექტში. ამის შესახებ პრეზიდენტმა პირადად აცნობა პარლამენტის დეპუტატებს.

აფხაზეთის რესპუბლიკის მეთაურის პრესსამსახურის განცხადებაში ნათქვამია, რომ „წარმოდგენილ დოკუმენტზე რუსეთის მხარესა და აფხაზეთის პრეზიდენტს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ და ახლა აფხაზურ მხარეს დაევალა ხელშეკრულების ახალი რედაქციის შემუშავება. როგორც კი ეს სავარსარდალი რესპუბლიკის პრეზიდენტის სახით, აგრეთვე თავდაცვის სამინისტრო და გენშტაბი.

აფხაზეთის მხარე აპირებს წამოაყენოს წინადადება იმის შესახებ, რომ რუსეთი დაეხმაროს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს მოდერნიზაციაში და უზრუნველყოს მისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა.

რაც შეეხება აფხაზეთისა და რუსეთის სამართალდამცავი სტრუქტურების ურთიერთქმედების საკითხს, ხაჯიმბას განმარტებით, „აფხაზეთის ტერიტორიაზე სამართალდამცავი საქმიანობა მართლწესრიგის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება. საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციად უნდა განისაზღვროს ინფორმაციის გაცვლა და შენახვა, ორგანიზაციულ-მეთოდური დახმარება სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანობის ასამაღლებლად და განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად როგორც აფხაზეთის, ისე რუსეთის ტერიტორიაზე. ეს თანამშრომლობის მისაღები ფორმაა, რასაც ბევრი სახელმწიფო მხარს უჭერს“.



„რუსეთთან სახელმწიფო საზღვარს არავინ აუქმებს. ლაპარაკია მდინარე ფსოუზე საზღვრის გადაკვეთის რეჟიმის თანდათანობით გამარტივებაზე. ეს პროცესი საქართველოსთან არსებული საზღვრის დაცვის გაძლიერების პარალელურად უნდა წარიმართოს. აფხაზეთის საბაჟო ორგანო სრულად შეინარჩუნებს თავის ფუნქციებს. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სპეციალური საბაჟო ორგანოს შექმნა ისედაც გათვალისწინებული იყო 2010 წლის შეთანხმებით, რომლის მიზანია რუსეთიდან მომავალი ტვირთის საბაჟოზე გაფორმების გამარტივება. იმავე უფლებით სარგებლობს აფხაზური მხარეც“, — განუმარტა პარლამენტის დეპუტატებს ქვეყნის პრეზიდენტმა.

მუშაო დასრულდება, რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც აფხაზეთის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები შევლენ“.

ხაჯიმბას თქმით, „ახალი დოკუმენტი 2008 წლის მეგობრობისა და თანამშრომლობის საბაზო ხელშეკრულებას კი არ ჩაანაცვლებს, არამედ მის საფუძველზე შემუშავდება... ახალი ხელშეკრულების დებულებები უნდა შეესაბამებოდეს აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას... ჯარების გაერთიანებულ დაჯგუფებებში აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მთლიანად შეყვანა არ იგულისხმება. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ცალკეულ დანაყოფებზე, რომლებიც საბრძოლო წვრთნას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩარჩოებში გაივლიან. აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს უხელმძღანელებს მთა-

„ხელშეკრულების ასეთ მოკლე ვადაში მომზადების აუცილებლობა განპირობებულია გეოპოლიტიკური სიტუაციის სწრაფი ცვალებადობით. მზად უნდა დავხვდეთ მოვლენათა განვითარების ნებისმიერ ვარიანტს, რასაც სტრატეგიულ მოკავშირესთან ერთობლივი ძალისხმევით უნდა გავუმკლავდეთ“, — აღნიშნა რაულ ხაჯიმბამ.

# პუტინმა პოლონეთს უკრაინის „გაყოფა“ შესთავაზა



პოლონეთის საგარეო უწყების ყოფილმა ხელმძღვანელმა და ამჟამად სეიმის მარშალმა რადოსლავ სიკორსკიმ ამერიკულ გამოცემას (**Politico**) ინტერვიუში უამბო, რომ 2008 წელს პოლონეთის პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკის მოსკოვში ვიზიტისას ვლადიმირ პუტინმა გადაკვრით უთხრა მას უკრაინის შესაძლო გაყოფის შესახებ. „მას სურდა, რომ უკრაინის „გაყოფის“ მონაწილე გავმხდარიყავით. პუტინის აზრით, უკრაინა ხელოვნურად შექმნილია, ლვოვი კი პოლონური ქალაქიაო.

სიკორსკი მოსკოვში 2008 წლის თებერვალში ჩავიდა. იმ დროს უკრაინის პრეზიდენტი იყო ვიქტორ იუშჩენკო, რომელმაც საბოლოოდ გააფუჭა ურთიერთობა რუსეთთან. ტუსკი-პუტინის საუბარი შედგა ნატოს ბუქარესტის სამიტამდე ორი თვით ადრე. სამიტზე უკრაინა და საქართველო ნატოში შესასვლელი „საგზაო რუკის“ მიღებას ელოდნენ. მათ მოლოდინს ასრულება არ ეწერა, რასაც მალევე მოჰყვა რუსეთ-საქართველოს ომი და ამ შეიარაღებულმა კონფლიქტმა ამ ორი ქვეყნის ალიანსში შესვლა ხანგრძლივი დროით გადადო.

მაშინ ამერიკულ პრესაში გავრცელდა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ახლო გარემოცვიდან გამოსული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც სწორედ სამიტზე უთქვამს პუტინს ამერიკელი კოლეგისთვის, რომ უკრაინა „ხელოვნური ქვეყანაა“.

ჰუმანიტარულ-პოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ექსპერტი ვ. ბრუტერი ამბობს: სიკორსკიმ ამ ამბის ახლა გამხელა იმიტომ მოისურვა, რომ ყურადღების ცენტრში აღარ არის და ამას საშინლად განიცდის. დასავლელ ლიდერებს უყვართ იმის ციტირება, რასაც პუტინი პირადი საუბრების დროს ლაპარაკობს. ყოველ ჯერზე სწორედ იმას იხსენებენ, რაც კონკრეტულ მომენტში პუტინს დარტყმას მიაყენებს და ამით პრობლემებს უქმნიან. დღესდღეობით პოლონური მხრისგან მსგავსი განცხადებით იმის ჩვენება სურთ, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები შემთხვევითი კი არა, რუსეთის კარგად მოფიქრებული გეგმაა.



# პეტრე მამრაძე: აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ანექსია უკვე მოხდა 2008 წელს სააკაშვილის ხელშეწყობით

***ვესაუბრებით არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელს, ბატონ პეტრე მამრაძეს***

**— ბატონო პეტრე, ბოლო დღეებია ქვეყანაში სალაპარაკო გახდა აბაშიძე-კარასინის შეხვედრა, ამ ფორმატში ისინი უკვე რამდენიმეჯერ შეხვდნენ, თუმცა, ზოგიერთ პოლიტიკოსს ეს დღეს შეუძლებლად მიაჩნია, ჩვენსა და რუსეთს შორის ურთიერთობა იმდენად რთულია, რომ რამდენიმე შეხვედრით რომ ყველაფერი არ მოგვარდება ეს ცხადია, რატომ, არიან ამ ფორმატის მოწინააღმდეგენი ზოგიერთები?**

— ეს საკითხი სალაპარაკო გახდა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი უგუნურებისა და პიარ თამაშების გამო და მეტი არაფერი, შეგახსენებთ, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატი თავიდანვე განისაზღვრა, როგორც ფორმატი ეკონომიკური და კულტურული საკითხების თაობაზე, ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს, ამაზე მეც მოვაწერე ხელი 2008 წელს როგორც პარლამენტარმა და მაშინვე დაიწყო ჟენევის ფორმატის შეხვედრები, სადაც ბოკერია დადიოდა და ეს ეხება უსაფრთხოებას, ეს დღესაც გრძელდება, მაგრამ „ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ეს ახალი ფორმატი აღმოჩნდა უაღრესად წარმატებული, რაც აღნიშნულია მათი საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდანაც, ვინაიდან რუსეთის ბაზრის გახსნა თუნდაც ნაწილობრივ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ქვეყანას სჭირდება ექსპორტ-იმპორტის დეფიციტის შევსება. ლაპარაკია ასევე რეგულარულ ფრენაზე და ა. შ. ზურაბ აბაშიძე არის უაღრესად გამოცდილი პიროვნება, რომელსაც პატივს სცემენ და ენდობიან რუსეთში. ამიტომ ეს მოლაპარაკებები აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, ნაცისტები და სააკაშვილის თანამზრახველები ისევე როგორც თავად მიშა, ყველაფერს ცდილობენ იმისათვის, როიმ ხალხს დაავიწყონ ის, რომ **სწორედ სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, მის მიერ განხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურის გამო, პუტინს და რუსეთის ხელისუფლებას მიეცა საშუალება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციისა და მათი „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ ცნობისა, ამაში მიშამ შეუწყო ხელი!** შეიძლება ევროპის ქვეყნებმა არ ცნეს ამ ორი პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობა, მაგრამ არც ხელი არ შეუშალეს. ასე არ მოხდა თურქეთში, როცა მან ჩრდილოეთ კვიპროსი დაიპყრო? ნატოს წევრობიდან ის ვინმემ გარიცხა? არა, იმიტომ, რომ ეს არად უღირთ!

ახლა, როცა გაჟღერდა ის, რომ რუსეთი აფხაზეთთან ხელშეკრულების დადებას აპირებს, „ნაცები“ და ზოგიერთი „განაცებული ქოცები“ აყვირდნენ, რომ იწყება ანექსია. ეს ტყუილია! ანექსია მაშინ მოხდა, როცა 2008 წელს სააკაშვილმა ეს მიწები რუსეთს ჩააბარა, ახლა არაფერი არ ხდება, ეს ფორმალობაა მხოლოდ. **შეგახსენებთ, სოჭის ოლიმპიადის წინაც დაიწყეს ასეთი ხმაური, ლაპარაკობდნენ, რომ რუსეთმა 12 კილომეტრით გადმოწია საზღვარი, ერთი მაჩვენეთ, სად არის საზღვარი რუსეთსა და აფხაზეთს შორის, ვინმემ იცის? რას ნიშნავს ეს საზღვარი?** 2008 წლის უგუნური ავანტიურის შემდეგ არ გახდა აფხაზეთი და ოსეთი რუსეთის სამხედრო ბაზების ადგილი? ამიტომ ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი დღეს არის თამაში! ახლა რომ ამბობენ, ამ ხელშეკრულებაზე თუ მოაწერენ ხელს მოხდება ანექსიაო, ეს ხომ ტყუილია, ანექსია უკვე მოხდა სააკაშვილის ხელშეწყობით 2008 წელს და ეს ყველამ კარგად უნდა დაიმახსოვროს! **მანამდეც ჰქონდა რუსეთს ხელი მოწერილი ნატოს წევრ ქვეყნებთან ერთად იმაზე, რომ იქნებოდნენ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი,** მაგრამ ვერ მოახდინა ყირიმის ერთ დღეში ანექსია პუტინმა? ვინმემ შეუშალა ხელი ან შეახსენა ეს ხელშეკრულება? ამით ხომ მან ეს ხელშეკრულება თავზე დაახია ნატოს წევრ იმ ქვეყნებს, რომელთაც მასზე ხელი ჰქონდათ მოწერილი?

**ახლაც გავიხსენებ ბისმარკის სიტყვებს, რომელიც ამბობდა, რომ: რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას იმაზე ნაკლები ფასი აქვს, რომელზედაც ის არის დაწერილიო, —** აი, ეს არის სიმართლე.



აი, ამ ფონზე ხდება ეს ფსიქოზი, ნაცების მიერ ატეხილი, თითქოს რაიმე ღირებულს წარმოადგენს ეს ყველაფერი. ვიმეორებ, ანექსია უკვე მოხდა სააკაშვილის მიერ ჩადენილი სამშობლოს ღალატის გამო, 2008 წელს ამიტომ იმის მერე დღეს რაზე მოაწერენ ხელს, უკვე თამაშია და მეტი არაფერი, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს.

ახლა მეორე საკითხს გავუსვათ ხაზი, კარასინ-აბაშიძის შეხვედრების ფორმატი, ეს მხოლოდ ჩვენ გვჭირდება და ჩვენს გარდა არავის, ის რუსეთის ინტერესებში არ შედის. არც ჩვენი პროდუქციით არ არიან დაინტერესებული იმდენად მცირეა ეს პროდუქცია მათი ბაზრისთვის. ამიტომ ჩვენ თუ უარს ვიტყვით ამ შეხვედრაზე, დავისჯებით მხოლოდ ჩვენ, დასავლეთი არანაირ ყურადღებას არ მიაქცევს ამ დემარშს, ეს გამორიცხულია. იტყვიან მხოლოდ ერთს, რომ ახალი ხელისუფლება სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსად ისევ უგუნურად იქცევა, მეტი არაფერი.

ზურაბ აბაშიძემ შესანიშნავად თქვა, რომ დღევანდელ მთავრობას თუ სურს, შეიძლება ამ მოლაპარაკებაზე უარის თქმა, მაგრამ როცა დრო გავა, ნებისმიერ მთავრობას კვლავ მოუწევს ამ დიალოგის აღდგენა და გაგრძელება, მაგრამ უფრო უარეს სასტარტო პოზიციიდანო, — ეს მართალია. ასევე, ვოლსკის განცხადება იმაზე, რომ რუსეთთან დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, სწორი განცხადებაა. **შეგახსენებთ, ნატოს წევრი ქვეყნის, ლიტვის პრეზიდენტმა ქალბატონმა გრიბაუსკაიტემ ღიად განაცხადა „ვაშინგტონ პოსტში“ მიცემულ ინტერვიუში, რომ „დასავლეთმა დაუთმო პუტინს უკრაინა და სხვა ტერიტორიები, პოროშენკოს ხელი გადაუგრიხეს და უთხრეს, რომ უნდა მიიღო შენ პუტინის პირობები და ამ პირობებზე მოაწერო ხელი, და ეს ყველაფერი შესრულდა; ის ასევე ამბობს, რომ ის, რაზედაც უკრაინამ ხელი მოაწერა, უკრაინის დანაწევრებას ნიშნავს და გამოდის, რომ უკრაინის დანაწევრებას პუტინი ახდენს დასავლელი ლიდერების აპლოდისმენტების თანხლებითო — ამას მე ზუსტად ვციტირებ — ამას ამბობს ლიტვის პრეზიდენტი და ამით ის ამხელს მთელ დასავლეთს და ამერიკას, რომელიც ამ ქვეყნების დასაცავად ხელსაც არ ანძრევენ.**

ახლა გავაანალიზოთ, თუ ნატოს წევრი ქვეყანა ასეთ დღეშია, ჩვენზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება, ქვეყანაზე, სადაც დედაქალაქიდან 20 კილომეტრში რუსის ტანკი დგას სააკაშვილის მიერ მოყვანილი! ეს არის მწარე რეალობა, რომელის სადღეისოდ გვაქვს.

მკითხველს ერთსაც შევახსენებ, რომ ჩვენმა წინაპრებმა ურთულეს პირობებში შეინარჩუნეს მთავარი — ენა, მამული, სარწმუნოება! ეს ყველაფერი მოახერხეს მოქნილი პოლიტიკის გამო, ღირსების შენარჩუნებით და კომპრომისით. რამდენ ქართველ მეფეს მიუღია მაჰმადიანობა ფორმალურად? ეს იყო ქვეყნის გადასარჩენად. ახლაც, ბალტიისპირეთის ლიდერები, როცა აქ რუსებს ოკუპანტებს უწოდებდნენ, მათი ეროვნული მოძრაობის ლიდერები სულ იმას იძახოდნენ, ლენინური პრინციპები უნდა დავიცვათ და სსრკ არ უნდა დაიშალოსო — **მერე კი ამ ყვირილით შევიდნენ ნატოშიც და ევროკავშირშიც — აი ჭკუა, აი სიბრძნე!** მათ არავინ ეძახდა სუკის აგენტებს, პირიქით ესმოდათ, რომ ვინც ამას იტყოდა, ის იყო პროვოკატორი. ახლა ჩვენთან იგივე მეორდება, იგივე შეცდომებით მიდის ქვეყანა. „ოცნების“ ხელისუფლება ძალიან არაერთგვაროვანია, ზოგჯერ ერთმანეთის ატანა არა აქვთ და ასე უახლოვდებიან 2016 წელს. ეს **არ არის საერთო იდეით და ქვეყნის სამსახურის იდეით შეკრული კოალიცია** — ამიტომაც უშვებენ საბედისწერო შეცდომებს.

**ეთერ კასრელიშვილი**

**599 110 200**

# აქაც კგბ, იქაც კგბ...

## ნატო-ს ახალი გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, აგენტურული მეტსახელით „ÑÒÅÊËÎ Â“, საბჭოთა ჯაშუშთან თანამშრომლობდა?

ბარაკ ობამამ თავისი ტრადიციული მიმართვით ამერიკელებს კიდევ ერთხელ მოუწოდა რომ აშშ-მა კვლავ უნდა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაში, მათ შორის უკრაინის კრიზისშიც. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა „რუსულ აგრესიაზე“, რომლის წინააღმდეგ მსოფლიოს გასაერთიანებლად პირადად ემზადება, 24 სექტემბერს კი გაერო-ში გამოსვლისას კი განაცხადა, რომ რუსეთის მოქმედებები უკრაინაში მსოფლიოს უმთავრეს საფრთხეთა რიცხვში შედის (პირველი საფრთხე არის ისლამური სახელმწიფოს შექმნის იდეა, მეორე — რუსეთი, მე-



სამე — ებოლას ვირუსი).

1 ოქტომბერს ცივილიზებულ მსოფლიოს მოედო საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოზე აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის რობერტ უოკერის ნათქვამი სიტყვები, რომ ჩინეთი და რუსეთი ცდილობენ გადახედონ იმ მსოფლიო წესრიგს, რომელიც დადგენილია II მსოფლიო ომის შედეგად; რომ აუცილებელია აქტიური დიპლომატიური საშუალებების გამოყენება ამ ქვეყნებთან, თუმცა არ გამოირიცხება, რომ აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა ძალისმიერი პასუხი გასცენ ნებისმიერ მოქმედებაზე მათ წინააღმდეგ; რომ რუსეთი და ჩინეთი პოზიციებს იმყარებენ თავიანთ საზღვრებთან ახლომდებარე ქვეყნებში, რის გამოც უახლოეს რამდენიმე წელში უნდა განსაზღვრონ მსოფლიოს რომელ რაიონებს განიხილავენ ისინი მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების რანგში. („ინტერფაქსი“)

უკრაინაზე რუსეთის აგრესიის შესახებ საუბრისას ალიასკა აფიქრებს და ალაპარაკებს აშშ-ის მაღალი რანგის პერსონებს თუ კიდევ სხვა რაიმე მიზეზია, ჯერ არ იკვეთება, მაგრამ უცნაურად კი წაუძლვა წინ იმ მნიშვნელოვან ამბავს, რაც კარს იყო მომდგარი (ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ). ყველა შემთხვევაში, რუსეთის წარმოჩენა აგრესიულ სახელმწიფოდ და აშშ-ისა მშვიდობის მტრედად, ცოტა უცნაურია თუნდაც იმ ბოლო წლების ფონზე, როდესაც აშშ-მა ომის გამოუცხადებლად დაბომბა რამდენიმე ქვეყანა.

აქედან ავთვალოთ „უცნაურობები“ — ბარაკ ობამა ნობელის პრემიის ლაურეატად გამოცხადდა მშვიდობის დარგში.

მარტივ კითხვაზე, რატომ ვხედავთ აშშ-ს სხვა კონტინენტებზე იარაღით ხელში, ასევე მარტივი პასუხია — მშვიდობას ამყარებენ!

**„უცნაურია“**, მაგრამ როგორც ვხედავთ, ფაქტია, რომ აშშ-ს გამოცხადებული აქვს სიკვდილი მშვიდობის სახელით და ამ განზრახვის სისრულეში მოყვანისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ნებისმიერი სახის საერთაშორისო წესდებებს, მაგალითად, გაეროს წესდების VII თავს, რომლითაც რეგულირდება სამხედრო და უსაფრთხოების ძალების გამოყენება მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და აღდგენის მიზნით. საქმის არსი ასეთია, „გაეროს წესდება მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად უშიშროების საბჭოს აძლევს უფლებამოსილებას, გამოიყენოს სამხედრო ძალა, მათ შორის პრევენციულად,“ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს განმარტებით კი, „პრევენციული მოქმედება არის მოქმედება, რომელიც ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სარწმუნოა, რომ სამხედრო კონფლიქტი ახლოს არ არის,მაგრამ უეჭველად დაიწყება და მოქმედების გადადება მხოლოდ გაზრდის საფრთხეს.“ ანუ, სახეზეა, რომ აშშ-ის მიერ ძალის პრევენციულად გამოყენებას საფუძვლად უდევს სუბიექტური შეფასებები და იგივე NATO-ც მშვენივრად მიმართავს იგივე ილეთს (ვთქვათ, იუგოსლავიის დაბომბვა 2300 რაკეტით, როდესაც დაიღუპა 2 000 მშვიდობიანი მოსახლეობა (მათგან 88 ბავშვი) და დაიჭრა 8 000.)

პრეზიდენტ ობამას მიმართვასა და რობერტ უოკერის განცხადებებს 1 ოქტომბერს ფეხდაფეხ მოჰყვა მოულოდნელი სიახლე, შვედმა იენს სტოლტენბერგმა დანიელი ანდერს ფოგ რასმუსენი შეცვალა NATO-ს გენერალური მდივნის პოსტზე.

ვიცით, რომ NATO-ს კარი დიდი ხანია ღიაა საქართველოსთვის, თუმცა მაინც „რატომღაც“ ვერ ვეტეოდით და ახლა რაღა გაგვატევს, ნეტავ?

**„უცნაურობა“ 2**

კაცი, პატივსაცემი პერსონა ჯერ გაზმორილი არ იყო სავარძელში და მსოფლიოს მოედო გაზეთ „ÂÅÄÎ Ì Î ÑÒÈ“-ში გამოქვეყნებული სტატია „Ñî âåòñêèé àãåí ò âî çãëàâèë NATO!“ აღნიშნული გამოცემა არ არის ისეთი ხურდა-ფული გამოცემა, რომ იაფფასიან სკანდალებს დასდევდეს, მაშ, რაშია საქმე, როდის იყო საბჭოთა ÊÃÁ თავის აგენტებს ააშკარავებდა, სადაური წესია? — სადაური წესია და როგორც ვხედავთ აქაური!

**„უცნაურობა“ 3**

იენს სტოლტენბერგამდე სხვაც ბევრი „საბჭოთა აგენტი“ გამოააშკარავა აბსოლუტურად ღიად საბჭოთა ÊÃÁ -ის სამართალმემკვიდრე იგივე უწყებამ, მაგალითად, რუსეთის მოძულედ ცნობილი ამერიკელი გმირი სენატორი ჯონ მაკკეინი. მნიშვნელოვანი მოწმეების თქმით (ჰოან ლო-ს ციხის უფროსი — ჩან ჩონგ დუეტი; ვორონეჟის სადაზვერვო სკოლის უშიშროების სამსახურის ინსტრუქტორი) ვიეტნამის ომის დროს ტყვედჩავარდნილი ჯონ მაკკეინი, ამერიკელი ადმირალის მფრინავი ვაჟი, „დავერბოვკებული“ იქნა 1967 წელს და წლების განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა სპეცსამსახურებზე. მისი კოდური სახელი იყო „ჯეკი მაუსი“ (თაგვი)...





**„უცნაურობა“ 4**

ანგელა მერკელი არ გაუმეტებიათ რუსეთში, მაგრამ გერმანულმა პრესამ წამოაძახა არა ერთხელ, შენ ის არ ბრძანდები, ორად გაყოფილი გერმანიის დროს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში რომ ცხოვრობდი და საეჭვო ურთიერთობა გქონდა „ცუდ წრესთან“, გდრ-ის სპეცსამსახურ „შტაზისთან“ თანამშრომლობდიო? (ეს კი არა და, საქართველოში ამოაძვრინეს საბჭოთა კავშირისდროინდელი ანგელა მერკელის ფოტო, ახალგაზრდა მერკელი მცხეთის პოლიციაში ჰყავდათ დაკავებული ერთი ღამითო და ჟურნალისტები იკვლევდნენ რა დანაშაულისთვის დააკავეს)

**„უცნაურობა“ 5**

„შპიგელ-მა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ NATO-ს გენერალური მდივნის პოსტზე სტოლტენბერგი რომ დანიშნულიყო, ამაზე კონკრეტულად ანგელა მერკელმა იზრუნა. ფრაუ მერკელმა აშშ-ით და დიდ ბრიტანეთით დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა და როდესაც მათი გარანტირებული მხარდაჭერა მოიპოვა, ალიანსის სხვა წევრებიც მიიმხრო — რაგინდ ზღაპარს ჰგავდეს „ამბავი მავანთა კაგებეშნიკობისა“, რეალური სურათი არ იცვლება...

**„უცნაურობა“ 6**

სტოლტენბერგს დავუბრუნდეთ, მისი 90-იანი წლების აგენტურული მეტსახელი გვავიწყდებოდა — „Ñòåêëî â“!

ახლა კი ის ვთქვათ, რაც თავში ვიკითხეთ, სადაური წესია აგენტების გამჟღავნებაო. როგორც სტატია გვამცნობს, არავის არ გამოუმჟღავნებია სტოლტენბერგი, იგი თვითონ გამოუტყდა თავისი ქვეყნის გარკვეულ სამსახურებს რომ კავშირი ჰქონდა საბჭოთა ჯაშუშთან და საკუთარი მეტსახელიც თვითონ დაასახელა, დღეს კი იგი იმ სამხედრო ალიანსის ხელმძღვანელია, რომელიც გასული წლის 50-იან წლებში სწორედ საბჭოთა კავშირის საპირწონედ შეიქმნა.

**„უცნაურობა“ 7**

სტოლტენბერგი პირობას იძლევა, გარდა იმისა, რომ ვიღვაწებ ალიანსის შემდგომი კიდევ უფრო გაძლიერებისთვის, ჩემს მიზანს წარმოადგენს შენარჩუნებული იქნას მეგობრული დამოკიდებულება ნორვეგიასა და რუსეთს შორისო; თავის მხრივ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ამბობს, ჩვენ, მე („კაგებეშნიკს“) და სტოლტენბერგს („ყოფილ კაგებეშნიკს“), გარდა სახელმწიოებრივად, პირადი ურთიერთობა გვაქვს და თან ძალიან კარგიო; სტოლტენბერგი ძალიან კარგი და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანია და ვნახოთ, როგორ განვიტარდება ჩვენი ურთიერთობები მისი ახალი თანამდებობის მიღების შემდეგო...

ჰოო, „პასუხისმგებლობა“ ძალიან „ამბავია“ NATO-ს გენერალური მდივნისთვის, მაგრამ ვის და რის წინაშე, საკითხავი ეს ხდება, როცა NATO-ს მოქმედებას ცალსახად აშშ-ის ინტერესები განსაზღვრავს, რაც თითქმის ყოველთვის რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოა.

**დავით ქავთარია**

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№36, ოქტომბერი, 2014 წ.



# ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ომი დღემდე არ დამთავრებულა

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მწერალი **გურამ პეტრიაშვილი**

**– ბატონო გურამ, ორი ათეული წელიწადი უკრაინაში ცხოვრობდით. როგორი საქართველო დატოვეთ და როგორი დაგხვდათ?**

– 1992 წელს წაველი და 2012 წლის გაზაფხულზე დავბრუნდი. 20 წელიწადი საქართველოს ვიყავი მოშორებული.

როგორი საქართველო დამხვდა?

დამხვდა საქართველო, რომელშიც უკვე აღარ იყო **ზვიად გამსახურდია**, პრეზიდენტი, რომელიც აშენებდა ისეთ საქართველოს, რომელიც იქნებოდა უბრალო ხალხის ქვეყანა.

ამის დასადასტურებლად ერთ ამბავს მოგიყვებით:

2005 წელი იქნებოდა. უკრაინაში, კიევში, ხრეშჩატიკზე მივდივარ. უცებ ძახილი მომესმა: ბატონო გურამ! ბატონო გურამ! მოვიხედე. უცხო კაცი მომეხვია, გამეცნო – გოჩა ღუღუნიშვილი ვარო და მითხრა: როგორ შემიძლია არ მიყვარდეთ ბატონი ზვიად თქვენ და თქვენი ხელისუფლება. მიწისძვრის დროს მთელი რაჭა და იმერეთი რომ დაინგრა და ჩემი სახლ-კარი პირწმინდად განადგურდა, მაშინ აღწერეს ყველაფერი. ჩემი ქონება 40 000 მანეთად შეაფასეს. 40 კაპიკიც არ გადამიხდია, ისე ამიშენა ეროვნულმა მთავრობამ სახლიო.

ასე აშენდა დანგრეული სახლების 70 %. მეტი ვეღარ მოვასწარით, სამწუხაროდ...

კარგად მახსოვს, ზვიადი ხშირად ახსენებდა ტერმინ კონვერგენციას. იმას, რაც დღეს მთელ ევროპაშია გავრცელებული. იქ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ელემენტები გადაჯაჭვულია ერთმანეთში. საქართველოში დაჟინებული აქვთ კაპიტალიზმი უნდა ავაშენოთო, თორემ მსოფლიო დღეს კონვერგენციის პოლიტიკით იმართება.

2012-ში თბილისში რომ ჩამოვედი, ზოგიერთებმა, მათ შორის ჩემმა მეგობრებმაც, დამირეკეს და მითხრეს – რა გინდოდა ლეიბორისტულ პარტიაშიო?! მიმაჩნია, რომ ეს არის ერთადერთი მემარცხენე პარტია, რომელიც იბრძვის მუშათა უფლებებისთვის და ასეთი პარტია ყველა ქვეყანაში უნდა იყოს.

გლეხისთვის, მეურნე ადამიანებისთვის, მშრომელი საზოგადოებისთვის თანასწორობა მნიშვნელოვანი რამ არის.

მე სოფელში ვარ გაზრდილი და ვიცი თანასწორობის ფასი. ოჯახში რაიმე მოჭარბებულად თუ გვქონდა, დედაჩემი ყოველთვის იტყოდა ხოლმე: მაშო ძალოს უნდა მივცეთო. სულ ვფიქრობდით იმაზე, ჩვენ თუ გვქონდა, სხვასაც ჰქონოდა.

ესაა თანასწორუფლებიანობა და ურთიერთგატანა, რაც აუცილებელია ყველა საზოგადოებისთვის.

გაიხსენეთ ქართული ხალხური ლექსი „საბრალო დედაბრისასა“.

„საბრალო დედაბრისასა,
თაგვნი ყანასა მკიანო,
ლომნი უგრეხენ ულოსა
და ვეფხვნი შეუკვრიანო“...

ამ საბრალო დედაბერს ყველა ეხმარება, რომ მოსავალი აიღოს.

ეს ლექსი იმ ქვეყანაში არის შექმნილი, სადაც არის ქრისტიანობა, მართლმადიდებელი ქრისტიანობა.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ უზენაესი საბჭოს სხდომებზე ხშირად გამიგონია, ზვიადს რომ წამოაძახებდნენ აქეთ-იქიდან: კომუნისტო, კომუნისტოო და მერე თავებს მალავდნენ, ვითომ ჩვენ არ გვითქვამსო. თქვენ წარმოიდგინეთ, ამას უსაფუძვლოდ არ აკეთებდნენ. ზვიად გამსახურდია ხალხის პირველი დამცველი იყო. ფიქრობდა ხალხზე, მის კეთილდღეობაზე.

კარგად მახსოვს, პირველივე უზენაესი საბჭოს სხდომაზე დაგვირიგა ლუდვიგ ერჰარდის წიგნი „გერმანული სასწაული“. იმ წიგნის პირველივე გვერდზე ხაზგასმული იყო ორი წინადადება: რეფორმა, რომელშიც იგულისხმება ერთი ადამიანის გალატაკება ან სიკვდილი, რეფორმა არ არის!

ზვიად გამსახურდიას არ უნდოდა არავითარი რეფორმა, რომელიც ხალხის ზურგს დააწვებოდა.

9 აპრილის შემდეგ ზვიად გამსახურდიას სახლი გაჩხრიკეს. ჩხრეკას მეც ვესწრებოდი. მიგვითითეს მაგიდაზე – აქ იჯდა პრეზიდენტი, რომ დააპატიმრესო. გადავხედე მაგიდას და ვნახე, რომ ევროპის ყველა ენაზე, დიახ, ყველა ენაზე გამოცემული ეკონომიკური საკითხების შემცველი წიგნები იყო გადაშლილი. არც ერთი სხვა წიგნი იმ მაგიდაზე არ იდო.



ზვიადი საგულდაგულოდ სწავლობდა ეკონომიკის საკითხებს, რათა გაძღოლოდა ამ ქვეყანას და არ დაჩაგრულიყო არც ერთი მოქალაქე.

ინვენტარიზაციის ჩატარებას აპირებდა – კაპიკ-კაპიკ ვიანგარიშოთ, რა ქონება გვაქვს და გავანაწილოთ სამართლიანადო.

მოგეხსენებათ, საქართველო ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირში და ეს სიმდიდრე სად აორთქლდა და სად გაქრა, ყველამ ვიცით...

სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ვერ განახორციელა ზვიადმა თავისი ჩანაფიქრი.

საქართველოს პრეზიდენტი ძალღივით სადღაც მოკლეს და ვინც ეს ჩაიდინა, ზოგიერთები დღესაც ყელყელაობენ.

**– ბატონო გურამ, მიზეზები ბევრი იყო, ალბათ, მტრების მიერ ეროვნული ხელისუფლების დამხობის, მაგრამ შესაძლებელია თუ არა, ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის ყოფილიყო, რომ მავანთ არ სურდათ თაღლითური გზით ხელში ჩაგდებული ქონების სხვისთვის გადაცემა, მით უფრო, თუ ზვიად გამსახურდია აპირებდა ხალხისთვის მიეცა კუთვნილი ქონება.**

– დიახ, ზოგიერთებს გაუჩნდათ შიში, რომ დაკარგავდნენ ძალაუფლებას და ქონებას.

ჩემს მაგალითზე გეტყვით.

იმ ხანებში გამომცემლობის დირექტორად დავინიშნე. ახმაურდა ხალხი – ვინ არის ეს გურამ პეტრიაშვილი? როგორ მოხვდა აქ? იმას კი არ კითხულობდნენ, რომ ეს გურამ პეტრიაშვილი სტუდენტობიდან აგროვებდა წიგნებს, იცის, ვინ რას წარმოადგენს

10 gv.

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

# ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ომი დღემდე არ დამთავრებულა

9 gv.

მწერლობაში, საზოგადოებაში. მაგრამ, არა! გურამ პეტრიაშვილი აქამდე არავინ იყო და უცებ გამომცემლობის დირექტორი ხდება. ე. ი. მე აღარ მექნება კეთილდღეობა?! ასე ფიქრობდა ზოგიერთი.

ამის გამო იბრძოდნენ და მერე ამ ბრძოლას დაარქვეს ბრძოლა გამსახურდიას დიქტატურის წინააღმდეგ.

ზვიადს კონკრეტულად არსად არ დაუწერია, მაგრამ მის ნაშრომებში გაფანტულია, რომ საქართველო არის მართლმადიდებლური სახელმწიფო, სადაც აბსტრაქტულად კი არ უყვართ ქრისტე, არამედ რამდენადმე მატერიალურადაც. ის ამბობდა, ყოველმა ქრისტიანმა ყოველ დღე უნდა გააკეთოს იმის მინიმუმი, რაც შეუძლიაო. ესაა ქრისტიანობა, მამულიშვილობა და მოქალაქეობა.

„საქართველოს სულიერ მისიაში“ უწერია კიდევაც: ქართული გეორგიანიზმი ეს არის ქართველ რაინდთა ორდენი, რომლის მთავარი ამოცანა ადამიანებთან დგომაა.

**— მიუხედავად ამისა, 90-იანებში მაინც ამბობდნენ, ზვიად გამსახურდია ბრონირებული „მერსედესით“ დადიოდა და ტონობით ოქრო გაიტანა საქართველოდანო.**

— მწარედ გაგელიმება ადამიანს. 200 ტონა ოქრო რომ გაეტანა ზვიადს საქართველოდან, ამას რამდენიმე ტრაილერი დასჭირდებოდა თურმე.

რაც შეეხება ბრონირებულ „მერსედესს“. კიდევ კარგი, რომ ეს მანქანა ჰქონდა. ზუგდიდისკენ რომ წავიდნენ, გზა გადაუჭრეს და დაბრუნდა უკან ზვიადი. მეტეხის ხიდთან ვიყავით, ვიღაცამ დაიძახა — სხვა გზა არ არის, ერევანში წავიდეთო. მაშინ მოსწყდა ეს „მერსედესი“ ადგილს და ორთაჭალისკენ წავიდა. ჩემი თვალით დავინახე, დღეს რომ დემოკრატიის მებაირაღედ მოაქვს თავი და ამ დემოკრატიას ხან სააკაშვილს რომ ასწავლიდა და ხან ვიღაცებს, იმ კაცმა ესროლა ზვიადის „მერსედესს“. ჯაბა იოსელიანი წერდა მერე, თავისი „დევიატკით“, ანუ ცხრა კაცით იდგა იქაო. კიდევ კარგი, რომ მანქანა ბრონირებული იყო, თორემ ერთიანად ამოწყდებოდნენ ზვიადი და მისი ოჯახის წევრები.

17 ტყვია მოხვდა მაშინ გურამ აბსანძეს. მერე ხუმრობდა — ჩემმა უკანალმა გადაგარჩინათო. დუნდულებში მოხვდა ტყვიები და მგონი, დღესაც ატარებს რამდენიმეს.

**— ბატონო გურამ, რამდენიმე დღის წინ პროკურატურიდან დაკითხვაზე დამიბარეს, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებათა კვლევა თურმე კვლავ მიმდინარეობს. როგორ ფიქრობთ, გაირკვევა ოდესმე სიმართლე?**

— საქმე ისაა, რომ მე ბევრ რამეში არ ვეთანხმები ხალხს, ვინც აპირებს ოცი წლის წინანდელი ამბის გამოძიებას.

ზვიადი ისე მიყვარდა, როგორც საკუთარი თავი, მაგრამ დღეს ამ საქმის კვლევა არ მიმაჩნია მართებულად.

ზვიადს მოსაკლავად დასდევდა ორი ყველაზე გაქნილი და სასტიკი ორგანიზაცია — კა-გე-ბე და ცე-რე-უ. ახლა რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გამოჰკრა ხელი ჩახმახს?! ზვიად გამსახურდია მოკლულია შევარდნაძის მიერ და აღარ უნდა ამას კვლევა.

რა მოხდა, როგორ მოხდა, ახლა ვინ გაიგებს. ცხოვრება მოულოდნელი პარადოქსებით არის სავსე. თუმცა ცხოვრება ზღაპარი არ არის. ზღაპრებს მე ვწერ. ცხოვრება კი მწარე რეალობებს გვთავაზობს.



ამ საქმესთან დაკავშირებით, ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიასაც ვუთხარი, რომ არ იყო სწორი, 20 წლის წინ გარდაცვლილი მამის სიკვდილის გარემოებების კვლევა რომ დაიწყო. დიახ, მოხდა საზარელი ამბავი. მაგრამ, მოდი, აწი როგორ ვიცხოვროთ, იმაზე ვიფიქროთ.

**ყველასთვის სამწუხაროდ, მკვდარია ზვიად გამსახურდია და მამადავითზე ასვენია. ახლა ცოცხლებმა მივხედოთ, ცოცხლების საქმეს...**

**— ბატონო გურამ, რაც 90-იან წლებში მოხდა, იმ საშინელებების ნაყოფს ვიმკით დღემდე. რა გააკეთეთ მაშინდელმა ხელისუფლებამ, რომ ის დაპირისპირება თავიდან აგეცილებინათ?**

— ჩვენმა მთავრობამ მაშინ ყველა ღონე გამოიყენა. პრეზიდენტმა კიდევაც შესთავაზა მოწინააღმდეგეებს, ხელახალი არჩევნები ჩავატაროთო, მაგრამ მაშინ ზოგიერთებმა თქვეს — იციან, კვლავ თვითონ რომ გაიმარჯვებენ და იმიტომ უნდათ არჩევნებიო.

**გია ჭანტურია** და მისი გავლენის ქვეშ მყოფი **ირაკლი წერეთელი** პირდაპირ ამბობდნენ — აუცილებელია სამოქალაქო დაპირისპირებაო.

სხვათა შორის, ყველას, ვინც ახალ მთავრობას მაშინ უპირისპირდებოდა, დასავლეთი უჭერდა მხარს. განსაკუთრებით მხარდაჭერილი იყვნენ ე. წ. კინოს ხალხი. **ირაკლი კვირიკაძეს,** რომელიც **ნიკიტა მიხალკოვმა** გაიყვანა მსოფლიო არენაზე, **ლილიანა კავანიდან** დაწყებული **ფრანკო ძეფირელით** დამთავრებული პუტჩისტებს უთანაგრძნობდნენ.

**— ბატონო გურამ, დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე საქართველო ისეთ სახელმწიფოს ხომ არ ქმნიდა, რომელიც მსოფლიო წესრიგიდან ამოვარდნილი იქნებოდა? მე ეროვნულ, სარწმუნოებრივ საწყისებზე დაყრდნობილ სახელმწიფოებრივ კონცეფციას ვგულისხმობ.**

— ალბათ, ასეც იყო და ამასთან დაკავშირებით **ელიზბარ ჯაველიძის** მოგონებას გავიხსენებ. ის ამბობს, ერთ გამოჩენილ ფრანგ ქალბატონს ვესაუბრებოდი საქართველოზე, ქართველ ხალხზე, ჩვენს მომავალზე, მთელი გრძნობით ვლაპარაკობდი, რომ უცებ ამ ქალბატონმა მითხრა: რატომ ვერ გაიგეთ ქართველებმა, რომ თქვენ თეთრი ზანგები ხართ და რაღაც ზედმეტებს ითხოვთო?!

ორიოდე დღის წინ კათოლიკურმა ეკლესიამ გეების უფლებები აღიარა. ასეთ დროს რომ მსოფლიო ჩვენსკენ არ მოიხედავს, რად უნდა ამას ლაპარაკი?!

საქართველოში დღეს თავისუფლად რომ დათარეშობენ შამუგიები, ვიღაც დეისაძეები, ბუღაძეები, ბურჭულაძეები, ეროვნული მთავრობის დროს ესენი შეძლებდნენ გარეთ გამოჭაჭანებას?! ცხადია, ვერა.

თუ მართლა მწერლობის გულშემატკივარია, ბატონმა **ხაზარაძემ** მისცეს ლიტერატურული პრემია, მაგალითად, **მურმან ჯგუბურიას,** რომელსაც, თუ რაიმე დამეჯერება, პრემია ნამდვილად ეკუთვნის, მაგრამ ხაზარაძე ლონდონის კლუბის ყურმოჭრილი ფინიაა, მტერი გახლავთ ამ ქვეყნის და ასეთი კაცი ჯგუბურიას პრემიას ვერ მისცემს.



ზვიად გამსახურდია,
ნოდარ წულეისკირი,
მუხრან მაჭავარიანი,
გურამ პეტრიაშვილი

არ შემიძლია არ გავიხსენო. რაც მოხდა 1993 წლის 26, 27 თუ 28 სექტემბერს. მე აღმოვჩნდი ზუგდიდში და შევესწარი დიდ სასწაულს — ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლას ზუგდიდში.

მახსოვს, ფანჯრიდან ვიხედებოდით, რომ უცებ გაიღო მანქანის კარი და ზვიად გამსახურდია გადმოვიდა. არაჩვეულებრივი, ენით აუწერელი გრძნობა დაგვეუფლა. სიხარულისგან ყველა ერთმანეთს ვეხვეოდით, ვკოცნიდით, ქალები საშინაო ჩუსტებით და ხალათებით გამორბოდნენ სახლებიდან და ზუგდიდის უზარმაზარი მოედანი 15 წუთში ხალხით აივსო. ისეთი შეგრძნება გვქონდა, რადგან ზვიადი ჩვენთან იყო, ეს ნიშნავდა, რომ დამთავრებული იყო ყველაფერი ცუდი და მხოლოდ სასიხარულო ამბები იწყებოდა.

ვეხვეოდით, ვკოცნიდით ზვიადს, ერთმანეთს. საოცარი წუთები იყო. მაშინ იყო ზვიადმა ხელი რომ მოხვია მოულოდნელად გამოჩენილ ირაკლი წერეთელს და თქვა: ხალხო, დაკარგული ცხვარი ვიპოვეო. ირაკლისადმი ცუდი განწყობა არასდროს ჰქონია. აუგს თუ იტყოდნენ მასზე, ზვიადი ამბობდა: დაანებეთ თავი, ხომ იცით, ცანცარააო.

მეორე დღეს ზვიადი ქართულ არმიას ესტუმრა. ასე, ჩვეულებრივად, შეაღო კარი და შევიდა. გენერლები ისხდნენ, სამხედრო ჩინოსანი ხალხი, მაგრამ არც ერთს არ გასჩენია აზრი, დაეჭირათ. ისე მოექცნენ, როგორც პრეზიდენტს, მაგრამ მერე უკვე, ეტყობა, შევარდნაძემ სხვა დავალება მისცათ და დაიჭირეს შევარდნაძის მხარე.

**— მაინც რა არის ქართული ხასიათი, ბატონო გურამ, როგორ შეაფასებთ და დაახასიათებთ?**

— თავისთავად ცხადია, **ქართული ხასიათი განსაკუთრებული ფენომენია, მაგრამ უფრო განსაკუთრებულია, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია.** ავიღოთ ნულოვანი წერტილი. მარჯვნივ არის დადებითი, პლუსი და უსასრულობა, მარცხნივ — უარყოფითი და მინუს უსასრულობა. ვერც ერთ ქვეყანას ვერავინ დაასახელებს, რომელსაც ისეთი ამპლიტუდა ექნება, როგორიც ჩვენ გვაქვს. აი, იმ დადებითში აღმაშენებლამდე მივედით, **აღმაშენებელი** კი, თავის მხრივ, თითქმის ღმერთამდე მივიდა და „გალობანი სინანულისანიც“ დაგვიწერა. მაგრამ მინუსშიც ვერ მოვძებნით დედამიწაზე ვერავის **ორჯონიკიძის, შევარდნაძის,** ან **სააკაშვილისნაირი** საზიზღარი მოღალატე იყოს.

გერმანელი ერი, დიახ, დიდებულია. მაგრამ გერმანელი ადის კანტამდე, ნიცშემდე, ჰეგელამდე, მაგრამ აღმაშენებელი ჰეგელიცაა, კანტიც, ნიცშეც და ვინც გინდა, მაგრამ უარყოფითშიც ვერ ნახავთ ვერც ერთ ერში ორჯონიკიძეზე, შევარდნაძეზე, სააკაშვილზე უფრო უარყოფითს.

**— ბატონო გურამ, ცოტა რამ ლიტერატურაზეც ვთქვათ. ახლახან გამოვიდა თქვენი ზღაპრების კრებული. რას იტყვით?**

— ჩემს ზღაპრებზე მოკლედ ასე ვიტყოდი (გრძელი საუბარი შემდეგისთვის გადავდოთ), მე, ძირითადად, ვუტრიალებ სილამაზის პრობლემას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ახალ კრებულში შესული 28 ზღაპარი არის 28 ეტიუდი თავისუფლების თაობაზე.

დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ, წლების განმავლობაში, დაუღალავად ვუტრიალებ მშვენიერების პრობლემას.

აი, მაგალითად, ზოგმა, შეიძლება, იფიქროს, რა უნდა ზღაპრის დაწერას? მოიფიქრებ, რასაც გინდა, გსურს სპილოს ფრთებს გამოასხამ, გააფრენ იქით, აქეთ, და მორჩა.

აბა, მოვუსმინოთ კაცს, რომელსაც უსაზღვრო ფანტაზია ჰქონდა. განა ასე უპასუხისმგებლოდ ფიქრობდა ლამაზი ფანტაზიების შექმნაზე?

მე ვგულისხმობ ძალიან დიდ მწერალს **გაბრიელ გარსია მარკესს**. როდესაც თავის რომანში „მარტოობის ასი წელიწადი“ სურდა, რემედიოს მშვენიერი ცაში გაფრენილიყო. თავისი აღიარებით, მარკესი ორ თვეს ფიქრობდა, როგორ გაეფრინა რემედიოსი ზეცაში და ამბობს: ბოლოს დავინახე, ქარში როგორ ფრიალებდა სარეცხი და მივხვდი, რემედიოსს უნდა ჩამოეხსნა სარეცხი, დაუბერავდა ქარი და წაიყვანდა ზეცაში.

მარკესის ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს თუ რა სიძნელეები უნდა გადალახოს მწერალმა, რომ მის მოთხრობებსა და ზღაპრებში სასწაულები ბუნებრივად მოხდეს.

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

# ირანული განტოლება

ნოდარ კობერიძე

9-13 ოქტომბერს ირანის დედაქალაქ თეირანში მცირე ექსპედიცია გაიმართა, რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ ჟურნალ „ცისკრის“ ახლანდელი გამომცემელი, ბატონი სერგი კაკალაშვილი. მიზანი ერთი გახლდათ, დაგვედგინა დიდი ქართველი მამულიშვილის, საქართველოს თავისუფლებისთვის მუხლჩაუხრელი მებრძოლის, აღმოსავლეთის ლომად წოდებული (მის მოსაკლავად რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I უზარმაზარი ჯილდოც კი დააწესა, ხოლო საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ მართლაც ეროვნულ გმირს წარმოგვიდგენდა ვითარცა ყაჩაღსა და ავაზაკს), ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავის ზუსტი მდებარეობის დადგენა და გადმოსვენების პერსპექტივა (იგი 1844 წელს ყველასგან მიტოვებული დაიღუპა ირანში და ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, დაკრძალეს თეირანის ბართლომეუსისა და ბარდღუმეოსის სომხური ეკლესიის ეზოში, ეზოში იმიტომ, რომ ქრისტიანული სარწმუნოების განშტოების, კერძოდ კი მართლმადიდებლობის მიმდევარი გახლდათ, ხოლო მისი ეროვნებით სომეხი და დიოფიზიტი მეუღლე და ქალიშვილი შიგნით, ეკლესიაში განისვენებენ), ექსპედიციაში ვმონაწილეობდით ორნი, თქვენი მონა-მორჩილი ნოდარ კობერიძე და ცნობილი პოეტი, ირანისტი, პროფესორი ნომადი ბართაია. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ამ ექსპედიციის პერიპეტიები, ამიტომ გთავაზობთ მას მცირე დღიურთა ჩანაწერების სახით.

### პროლოგის მაგიერ

**თეირანი, 9-13 ოქტომბერი, 2014 წელი**

მეგობრებო, ამ დილით ჩამოვედით, მთელი ღამის უძინარი ვარ, მაგრამ ვიცი, რაოდენ დიდია ინტერესი ჩემი და ნომადი ბართაიას ექსპედიციისა თეირანში ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავის მოძიებამოძებნის შესახებ. გადავწყვიტე, ჯანდაბას ჩემი ჯანმრთელობა, მეგობრებს გული მოვუფონო-მეთქი და აი, რასაც დავწერ, ყველამ იცოდეს იგი, დადასტურებულია ფოტო-დოკუმენტებით, რასაც გამოვაქვეყნებ.

ვიქნები შესაძლებლობისამებრ მოკლე — თეირანში ჩასვლის შემდეგ, იმ ეკლესიისკენ, სადაც, სავარაუდოდ, დიდი მამულიშვილია დასაფლავებული, არც გაგვიხედავს, რადგანაც ვიცოდით, მას ცხრაკლიტული ედო და იქ შეღწევას მხოლოდ ერთი სახელი ერქვა და იგი კილიკიის სომეხთა ეპისკოპოსი სობუჰი ბრძანდებოდა, და რომელთანაც მოხვედრა ერთგვარ დილემას წარმოადგენდა, მაგრამ... რას არ შეძლებს მონდომებული გული და შეხვედრა შედგა. კილიკიის ეპისკოპოსი საოცრად გულთბილი ადამიანი აღმოჩნდა. გადავეცით რა საჩუქრად ფერწერული ტილო თბილისის ხედით, სიტყვა ალექსანდრე ბატონიშვილზე ჩამოვუგდეთ და აი, პირველი გამარჯვება. ვიცი, როგორ არ ვიცი, იგი თეირანში სომხური ეკლესიის ეზოშია დაკრძალულიო. ეს სიტყვები გულს მოგველამუნა და ვთხოვეთ, ნება დაერთო მოგვენახულებინა ტაძარი, რათა შესაწირავი შეგვეწირა და სანთლები აგვენთო. უყოყმანოდ დაგვთანხმდა და თანაშემწეს ბატონ ალფრედს დაავალა გამოეძახებინა იმ ეკლესიის რწმუნებული ალბერტ ისრაელიანი და გაეღოთ სანუკვარი კარი. თანაც



მანქანაც გამოგვიყო. ვიდრე კლიტეები იღებოდა, გულის ფანცქალით ვძრწოდით, პირველად ეზოში ქართველთა სიძის, გრიბოედოვისა და გამოჩენილი ბრიტანელი მწერლის უოლტერ სკოტის შვილის მემორიალებს ვაწყდებით, მერე კი მივადექით ალექსანდრე ბატრონიშვილის ქალიშვილის ეკატერინეს საფლავს, ბოლოს კი გავიხსენეთ ყველა მინიშნება და... ჰოი, საოცრებავ, იგი სრულიად დაემთხვა ალბერტ ისრაელიანის მიერ მითითებულ ადგილს. დიდი ქართველი რომ აქ, ეზოში განისვენებს, ამას უტყუარად გვიდასტურებს ბატონი ალბერტიც შეკითხვაზე, თუ რატომ არ იყო თუნდაც მემორიალური დაფა ამ ვაჟკაცზე. მან განაცხადა, რომ იგი მზადაა თავად დაუკავშირდეს საქართველოს საელჩოს და შესთავაზოს თავისი უანგარო სამსახური...

თუმცაღა. მოდით, ყოველივეს თანმიმდევრობით მოგითხრობთ.

* * *

**თეირანი, 10 ოქტომბერი**

მართალია, წინა დღეს ვერ მოხერხდა კილიკიის ეპისკოპოსის სობუჰის ნახვა, მაგრამ სომეხ მეგობართა რჩევის შემდგომ მეორე დილის ცხრის ნახევრიდან საეპისკოპოსოს შესასვლელთან დავდექით „ყარაულად“ ეპისკოპოსი ათის ნახევრისთვის მობრძანდა და თანაშემწის, ბატონი ალფრედის მოხსენების შემდეგომ დაუყოვნებლივ მიგვიღო. საუბარში გაირკვა, რომ მან კარგად იცოდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი რომელი სომხური ეკლესიის ეზოში იყო დაკრძალული (რაც ჩვენს ვარაუდს სრულად ემთხვეოდა). მან გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი თხოვნა და გასცა განკარგულება, გამოეძახებინათ ალბერტ ისრაელიანი, მისივე აღზრდილი და იმ სსაყდრის მეთვალყურე და უბრძანა, ყველანაირად ხელი შეეწყოთ ჩვენთვის, გადასაადგილებლად მანქანაც კი გამოგვიყო, ბოლოს კი სამახსოვრო ფოტოს გადაღებასაც ხალისიანად დაგვთანხმდა. უღრმესი მადლობა მას.

დანიშნულ დროს ბატონი ალბერტი მობრძანდა. მარდღუმეოსის ეკლესია მართლაც მოუვალ ციტადელს ჰგავს და ცხრაკლიტულითაა ჩარაზული. ბატონმა ალბერტმა ნელ-ნელა გამოაღო კარნი ჩარაზულნი და ტალანის გავლის შემდგომ მის პატარა მყუდრო ეზოში აღმოვჩნდით. დანარჩენი როგორც პროლოგში აღვნიშნეთ, ზუსტად ისე გახლდათ, ოღონდაც ერთს დავამატებდით: ბატონმა ალბერტ ისრაელიანმა არ დაიზარა, ძელსკამებიც კი ამოატრიალა, რათა ყველა საფლავის ქვა გვეხილა, დაწყებული ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლისა და ქალიშვილის აკლდამებით, დამთავრებული... ჩვენც უდიდესი ყურადღებით ვათვალიერებდით ყოველივეს. მცირე შესაწირიც გავიღეთ გმირისა და მისი ოჯახის წევრთა სულის მოსახსენებლად. მერე ყავით გაგვიმასპინძლდნენ და გვთხოვეს, საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ ჟურნალში ჩანაწერები გაგვეკეთებინა, რაც სიამოვნებით შევასრულეთ (ბოლო ჩანაწერი თეირანის




წარწერა თეირანის უნივერსიტეტის უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის კიბეზე გვაუწყებს რომ აქ ისწავლება ქართული ენა

მერს ეკუთვნოდა). მთელი დღე იქ გავატარეთ. ერთგვარად ვეფერებოდით ალექსანდრე ბატონიშვილის სავარაუდო განსასვენებელ ადგილს. ბოლოს, მწუხრს მიტანებულს, თბილად დავემშვიდობეთ დიდებულ მასპინძელს. საელჩოდან ზარს ველოდები მემორიალური დაფის შესახებო, გვაყოლებს სიტყვას ბატონი ალბერტი და... და კვლავ ირაზება მუზეუმ-ციხე-სიმაგრედ ქცეული ტაძარი და კაცმა არ იცის, კიდევ ვისთვის ან როდის გაიღება იგი...

* * *

**თეირანი, 11 ოქტომბერი**

საქართველოს ელჩმა, ბატონმა სოსო ჩახვაშვილმა და მისმა მეუღლემ სახლში მოგვიწვიეს, საუბრის დროს ელჩმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში შეუკვეთდა არქიტექტორს მემორიალური დაფის პროექტს. იქვე გადაწყდა, რომ ტექსტი სამენოვანი იყოს (ქართული, სპარსული და ინგლისური), ტექსტის შავ ვარიანტსაც ვადგენთ... მიღებამ გულთბილ, სრული გაგების ვითარებაში ჩაიარა. ლამის მეგობრებად დავშორდით ერთმანეთს. რამდენს ნიშნავს რწმენა კაცისა!

* * *

**თეირანი, 12 ოქტომბერი**

თეირანის უნივერსიტეტის უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის კიბეზე რომ ავდიოდით, ერთობ სასიამოვნო „სიურპრიზი“ ვიხილეთ, კიბის ყველა საფეხურის ქვეშ წარწერა იყო თუ რა ენანი ისწავლებოდა უნივერსიტეტში, ჰოდა, როცა გამოანათა წარწერამ — „ქართული ენა“, გული გამითბა, საპროფესოროში კი სხვა ენის ფლაგშტოკებთან ერთად საქართველოს ალამიც ამაყად გამოიყურება. მასპინძელი გულანთებული პატრიოტი — ანდრო ნაგელიანი-ფანიაშვილი რომელიც 25 წლისაა), ანდრო გულთბილად გადაგვეხვია. იგი ფერეიდნელია და თეირანის უნივერსიტეტში ასწავლის სტუდენტებს ქართულს, წელს სულ თორმეტი ახალგაზრდა მოსულა, მათ შორის რვა ეთნიკური ქართველიაო, ბრძანებს ბატონი ანდრო და ამატებს, ადრე მეტნი იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ირანის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი შემოიღო, შემცირდნენო. აქ კი მოულოდნელად ჩაგვერთო ერთი ფერეიდნელი ქართველი სტუდენტი, თან ისე, რომ აღშფოთებას ვერ ფარავდა, სიტყვა-სიტყვით მომაქვს მისი „ამოძახილი“ — ბატონებო, ჩვენი წინაპრები მთელი ოთხასი წელი ქართველობის სადარაჯოზე იდგნენ, მათ რწმენა დათმეს, მაგრამ ენა შეინარჩუნეს, ვითარცა ქართველობის სინონიმი, ვინ მოსთვლის, რისი გადატანა მოგვიხდა, რომ ეს გამარჯვება გვეზეიმა და ახლა მათ ჩამომავალ ქართველებს სამშობლოში მოსახვედრად ვიზას უნდა გვთხოვდნენ ჩვენი თანამემამულენიო? აქ შეჩერდა. შემატყო, სიმწრისგან ფერიფური წამივიდა და ჩემთვის დიდი ილიას სიტყვებით გავიფიქრე კიდეც: მიგიხვდი, ჩემო ფერეიდნელო ძმაო, რა ნესტარით ხარ დაკბენილი, მართალი ხარ, რუსეთში სალალატოდ წასული ბევრი ქართველი და მათი დამგეშავი ძმები უვიზოდ უნდა დათარეშობდნენ საქართველოში და შენ... ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ლამისაა გული გამისკდეს სიბრაზისგან და მინდა ღიად მივმართო საქართველოს დიასპორის სახელმწიფო მინისტრს ბატონ გელა დუმბაძეს: ბატონო გელა, ვიცი, რა შესანიშნავი ოჯახიდან ბრძანდებით და როგორ გიყვართ თქვენი სამშობლო, ამიტომაც მოგმართავთ: ხმა აიმაღლეთ ამ დანაშაულებრივი კანონის წინააღმდეგ, ხმა აიმაღლეთ! ესაა თქვენი პირდაპირი მოვალეობა. ჩვენ კი შეშმუშნულნი და დარცხვენილნი დავემშვიდობეთ ამ ახალგაზრდა ფერეიდნელ სამშობლოსგან შეურაცხყოფილ ქართველს, თავჩახრილნი და დარცხვენილნი.

* * *

**თეირანი, 13 ოქტომბერი**

თეირანში 1894 წელს რუსების მიერ დაარსებულ მართლმადიდებლურ სასაფლაოს რომ მივადექით, შიგ არ გვიშვებდნენ, რუსეთის საელჩოდან ნებართვა მოიტანეთო, მაგრამ ხომ იცით, რაც ანათებს ჯოჯოხეთს, ჰოდა, გავიღეთ გასაღები (ვიდოდით, იქ ბევრი ქართველის უპატრონოდ მიგდებული საფლავნი რომ გველოდნენ სულმოუთქმელად) და ხუთი წუთით გახსნეს ჭიშკარი. პირველი, რაც შემოგვეგება, ეს იყო დიდ ქართველი მეცენატის აკაკი ხოშტარიას აშენებული პატარა სამრეკლო. გარკვევით იკითხება მისი მეუღლის სახელი და გვარი, მაგრამ... მაგრამ სამრეკლო ინგრევა, ხოლო შიგთავსი ცემენტის საწყობად გადაუქცევიათ. არ გაგვკვირვებია, მთელს მსოფლიოში ხომ ასე ტიალადაა მიტოვებული ყოველივე, რასაც ქართული ფესვები დასდევს. აქვე ვინახულეთ სხვა ქართველთა სამარეები, გადავიღეთ მათი საფლავის ქვები, იქნებ ვინმემ მათმა ჩამომავალმა აქ, საქართველოში იხილოს და... ჩვენ კი უფრო გულდამძიმებულმა დავტოვეთ ეს სამარადჟამო ნავსაყუდელი, არავითარ კომენტარს არ ვაკეთებ, აღარა მაქვს მაგის ნერვები, არავითარი! დასკვნები თქვენთვის მომინდვია, მეგობრებო, თქვენთვის!

* * *

**ბაქო, 13 ოქტომბერი, შუაღამე**

დამერწმუნეთ, მსოფლიოს არაერთი საერთაშორისო აეროპორტი მიხილავს, არ მეგონა, თუკი ოდესმე რამე გამაკვირვებდა, მაგრამ ბაქოს საერთაშორისო აეროპორტმა ლამის ყველას გადააჭარბა თავისი დიდებულებით, ხოლო იქ მომუშავე პერსონალი უცხოს იმას კი არ უყვება თუ როდის ჩამოვიდა იქ წყალი, ანდა როდის ააგლიჯა კასპიის ქარიშხალმა ჭერი, არამედ ამაყობს ამ დიდებული ანსამბლით. ეს ისე, ქართველთა გასაგონად...

* * *

### ეპილოგივით

**თბილისი, 14 ოქტომბერი**

როგორც დიდი შოთა ბრძანებდა — „გასრულდა ესე ამბავი“, და ერთ ღამეში ორთვითმფრინავგამონაცვალნი ჩვენს თბილისს დავუბრუნდით. დავბრუნდით გულდამძიმებულნიცა და გახარებულნიც, სევდიანიცა და ამაყნიც. თუ როგორ შევასრულეთ დასახული ამოცანა. ეს ჩვენი განსასჯელი არაა, მთავარია, რომ მას ჰქონდეს შესაბამისი გაგრძელება, ქართველთა გმირმა ალექსანდრე ბატონიშვილმა სამშობლოს სავანეში ჰპოვოს სამუდამო განსასვენებელი...

**თეირანი-ბაქო-თბილისი**
**9-13 ოქტომბერი**

**გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის დარგში, „ლიდერთა სკოლის“ დამფუძნებელი ბატონი გია მაისაშვილი:**



# გია მაისაშვილი: საქართველოს შეუძლია ამ მსოფლიო უდაბნოში ედემის ფუნქცია შეასრულოს! ეს მისი მისიაა...

**— ბატონო გია, ბოლო წლებია აშკარად ვხედავთ, რომ სახელმწიფო სამართალს ვერ ამყარებს, იქედან გამომდინარე, რომ სხვა ერებისგან განსხვავებული კულტურის ერი ვართ, შედეგად, დღემდე, დისფუნქციურ, პროტო, არშემდგარ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. სააკაშვილი თავისი მმართველობის პერიოდში გზების, ხიდების, შადრევნების მშენებლობას სახელმწიფოს მშენებლობად რაცხავდა, მასზე იყო დამოკიდებული რა ფერის უნდა ყოფილიყო შენობა, რა ფორმა უნდა ჰქონოდა ხიდს, სად უნდა დაგვედგა შადრევანი და ა.შ. რეალურად, როგორ უნდა ვაშენოთ ქართული სახელმწიფო და რა გამომწვევი მიზეზები უშლის ხელს მის მშენებლობას?**

— ძალიან მნიშვნელოვანი, ფუნდამენტალური კითხვაა. მას შემდეგ, რაც ფორმალურად დამოუკიდებელნი გავხდით, 25 წელი გავიდა. სინამდვილეში, სახელმწიფო დამოუკიდებელი მაშინაა, როცა ინსტიტუციონალურად ფუნქციონირებს და როცა ყველაფერი ერთ პიროვნებაზე არაა დამოკიდებული. სავსებით სწორად ბრძანეთ, ქვეყანა იმის მიხედვით იმართებოდა, თუ როგორ განწყობაზე იყო სააკაშვილი. რეგიონებში, ვინც კამერის წინ რამეს შესთხოვდა სააკაშვილს, მაშინვე ყველაფერი კეთდებოდა, არავითარი აზროვნება, ჩამოყალიბებული სისტემა არ არსებობდა. როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რისგან შედგება იგი, რა არის მისი მთავარი ფუნქცია? — ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა, კანონის უზრუნველყოფა, მატერიალური, ადამიანური, ბუნებრივი რესურსების ორგანიზება და ყველაზე დიდი ფუნდამენტი თანამედროვე განათლების სისტემის შექმნაა. საჭიროა თითოეული კომპონენტის ინსტიტუციონალური ორგანიზებაა — ბიუროკრატია თავის სტატუს-კვოს კი არ უნდა იცავდეს ან საკუთარ თავს კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ დარგის დინამიურ, ყოველდღიურ განვითარებას. სწორედ მის განვითარებაზე უნდა მოხდეს რესურსების გადასროლაც და ორგანიზებაც. ეს არის სახელმწიფო. ამის მიღწევის შემდეგ, საზოგადოებაში არსებული ადამიანური რესურსების მაქსიმალური გამოყენება უნდა მოხდეს, კერძოდ, ამ ადამიანების განათლება, ტრენინგი, შერჩევა და სახელმწიფოს ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროებში მიშვება. სახელმწიფო ამ წესების დადგენას უნდა ემსახურებოდეს, ანუ ხალხის მომზადებას, სელექციას და ამ სისტემაში მათ შეშვებას. ამას კი თანამედროვე ორგანიზებული სამთავრობო ჯგუფი სჭირდება. სამწუხაროდ, დღეს მემარჯვენე იდეოლოგიაა გავრცელებული — სახელმწიფო არავის ცხოვრებაში არ უნდა ჩაერიოს, დაე, ვინც ძლიერია თვითონ გამოჩნდეს. ეს ექსტრემალური-ლიბერტარიანელების ბენდუქიძის, სააკაშვილის, ბოკერიას და სხვა მსგავსთა მოსაზრებაა, რაც ჯუნგლის კანონია. ამჟამად, ადამიანის სოციალიზაციის დონეზე მისი თავის ტვინის სფეროს ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მთავარი ინსტიქტი გადარჩენა კი არ არის, არამედ სოციალიზაცია. ემპათია — თანაგრძნობა სხვა ადამიანისადმი, მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. ეს ფუნდამენტალური პრინციპია. როცა სახელმწიფოს ფუნქციონირების პირველ ეტაპზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია, ინიციატორების განსაკუთრებული როლის აღნიშვნა.

**— ინიციატორებში დამფუძნებელ მამებს გულისხმობთ? ამ კუთხით, ჩვენთან რა ვითარებაა?**

— დიახ, რასაკვირველია. ყველა დიდ სახელმწიფოს დამფუძნებელი მამები ჰყავდა. მაგალითად, აშშ-ს — ვაშინგტონი, ჯეფერსონი, ადამსი, ფრანკლინი, მედისონი და სხვები, რომელთაც ინსტიტუციონალისტური ბაზა შექმნეს, რასაც ამერიკის სახელმწიფო დაეფუძნა, რის შემდეგაც პროგრესი, აყვავება მოხდა. თუ არ არსებობს თავისუფლების ეს საფუძველი, მაშინ თავისუფლება არის ქაოსი. და ვღებულობთ იმას, რაც დღეს გვაქვს — ვინც ძლიერია, იგი, მთელ სახელმწიფო რესურსებს პირადი ინტერესისთვის ფუქსავატურად მოიხმარს. ამიტომ, აუცილებელია, დამფუძნებელი მამების არსებობა. ეს ფუფუნება, ჩვენს ქვეყანას, სამწუხაროდ, არ ჰქონია. არადა, ეს ტრადიცია ქართული სახელმწიფოებრიობის მთავარი ბოძია. მეორეც, მნიშვნელოვანია, რა არის ის განსხვავებული ნიშა, რითაც ქართული სახელმწიფო მსოფლიო ცივილიზაციაში რაღაც როლს ასრულებს, თუ რა მისია აქვს. ამ ორი დიდი ამოცანის კონსესუსის საფუძველზე, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეში უნდა მიიღწეს, ეს იდეალები, სახელმწიფოებრიობის ტექნიკური ჩონჩხი შეიკვრებოდა და მათი შეჯვარებით სახელმწიფო ფუნქციონირებას დაიწყებდა. შემდგომ, თითოეული ჩვენთაგანის ინდივიდუალური ნიჭიერება, სახელმწიფოს პროგრესს, განვითარებას მოხმარდებოდა. როგორც ინდივიდებს საშუალება გვექნებოდა რეალიზება საკუთარი თავის და სახელმწიფოს სასარგებლოდ მოგვეხდინა. ესაა ჯანსაღი სახელმწიფოს მოდელი, რასაც წინასწარ დიზაინის, არქიტექტურის, მაკეტის გაკეთება სჭირდება და მხოლოდ შემდეგ უნდა იქცეს ეს მაკეტი რეალურ შენობად. სამწუხაროდ, ეს საკითხები დღის წესრიგში არასდროს დამდგარა. ეს ვერც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ მოახერხა. მისთვის, პირველი ამოცანა, დამოუკიდებლობის მიღება გახლდათ, რაც ძალიან რომანტიული, მოუმზადებელი, ინფანტილური და ამავდროულად ცოდნაზე, გამოცდილებასა და ორგანიზებულობის უნარზე არდაფუძნებული იყო. დაუნდობელმა გარემომ, ეს ყველაფერი, ჩანასახშივე ჩაკლა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება რომ გაგრძელებულიყო, ბუნებრივი შერჩევის პროცესი და სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყებოდა. მაგრამ, რაც მერე მოხდა, ყველამ ვიცით. შევარდნაძის დროს კი წვრილი ბიუროკრატები თავს კომფორტულად სახელისუფლებო ბერეკეტების გამოყენებაში გრძნობდნენ. მაგრამ იმ პირობებში, რა სურათიც ზემოთ დავხატე, სახელისუფლებო ბერკეტი სახელმწიფოს მშენებლობის საშუალებაა. ამ პირობებში კი წვრილი ბიუროკრატებისთვის სახელმწიფო ბერკეტი პირადი კონტროლის შენარჩუნებისა და გატარების საშუალებაა. ამიტომაა, რომ დღეს, ლაპარაკია არა სიღატაკის დაძლევასა და ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაზე, არამედ სიღატაკის მართვაზე. ანუ სტაგნაციური სიღატაკის მართვაზე და არა იმაზე თუ როგორ მოვახდინოთ სიღატაკიდან განვითარებაზე გადასვლა. აი, ესაა საბჭოური მოხელეების მიდგომები, რომლებიც დღესაც ქვეყნის სადავეებთან არიან. დღევენდელი მინისტრთა კაბინეტი, ყველა, შევარდნაძისეული მართვის ბიუროკრატიის მენტალური მემკვიდრეა. მათი მთავარი ამოცანაა სახელისუფლებო ბერკეტი ჰქონდეთ, რათა სტატუს-კვო შეინარჩუნონ და სიტუაცია გააკონტროლონ. მაშინ, როდესაც მათ არც სტრატეგიული ხედვა აქვთ და არც სტრატეგიული მენეჯმენტი იციან. ეს ბუნებრივად ფეთქებადი სიტუაციაა, რაც დიდხანს ვერ ნარჩუნდება. როცა განვითარება არ ხდება, მიზნად მეორე ამოცანას ისახავ — როგორმე სიტუაცია გააკონტროლო, რათა სტატუს-კვო შეინარჩუნო, რაც ამ დინამიურ სიტუაციაში შეუძლებელია, თუნდაც გენიოსი იყო. ჩვენთან გენიოსები არ არიან, არამედ საშუალო რანგის ადამიანები, რომელთაც არანაირი სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილება და პროფესიონალიზმი არ აქვთ, რაც ქვეყანას დესტაბილიზაციის საფრთხეს უქმნის, არ ხდება განვითარება, არამედ სტატუს-კვოსა და კონტროლის შენარჩუნება. თავად სისტემაა ისეთი, რომ ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში რაც არ უნდა გულანთებული ადამიანი მივიდეს, რეფორმის გატარებას ვერ შეძლებს. ასეთ ადამიანს სისტემა ისევ უკან „აგდებს“.



**— ბატონო გია, დამფუძნებელი მამები არ გვყავსო, აღნიშნეთ. კიდევ ერთი პრობლემა ისიც ხომ არ არის, რომ სახელმწიფოს განვითარების კონცეფცია არ გვაქვს.**

—დიახ, მოგახსენებთ. დამფუძნებელი მამები ერის ლიდერები იყვნენ. ჩვენთან პოლიტიკური პარტიის ლიდერები კი არიან, მაგრამ არა დამოუკიდებელნი, არამედ, იმ ხალხის ხელის ბიჭები, ვინც მათ უკან ფარულად დგანან, რაც ყველაზე დიდი საშიშროებაა. ეს ხალხი ქართველ ჯეფერსონებს და ილია ჭავჭავაძეებს ასპარეზზე გამოსვლის საშუალებას არ მისცემს. ისინი, როგორც ღვინის დაწურვის შემდეგ მთხლეა გადასაღები, ისე უნდა „გადავიღოთ“. ეს ხალხი მთხლეა. ქართული სახელმწიფოს აშენება მათ პირად ინტერესს ეწინააღმდეგება. ამიტომ, ქართული სახელმწიფოს მშენებლობას, ისინი, არასდროს დასთანხმდებიან. ამიტომ, საზოგადოების ცნობიერების გაზრდაა საჭირო. ჩვენი ხელის

ბიჭების უკან მდგომნი, ამას არ დათმობენ. აუცილებელია, გაძლიერდეს საკუთარი წიაღიდან ორგანიზებული თუნდაც პატარა ჯგუფი, რომელიც ასპარეზზე გამოვა და მათი მოცელვა მანამდე არ მოხდეს, სანამ თოთოა და სიარული უჭირს. სანამ ბოკვრები არიან, მანამდე მგელმა არ მოკლას, არ დაახრჩოს. თორემ, ლომად რომ ჩამოყალიბდება მგლებს და ტურებს თავის ადგილს მიუჩენს. აქ უკვე საზოგადოებაა საჭირო. ასევე, „საერთო გაზეთის“ მსგავსი პრესა, რათა ვიღაცებმა ახალი წამოწყება არ დაახრჩონ. ესაა ყველაზე დიდი პრობლემა რაც ვერ გადაგვიწყვეტია და რაშიც უკვე 25 წელია ვართ. ქართული სახელმწიფო სრულ სტაგნაციაშია.

**— რა ფორმით უნდა ჩაერთოს საზოგადოება, ზოგადად, რა როლი ეკისრება მას ქვეყნის მშენებლობაში?**

— არსებობს ორი ტიპის საზოგადოება: პირველი, როცა პატრიოტიზმი საზოგადოების მთავარი ამოცანაა. პატრიოტიზმი ბუნებრივი ინსტინქტია. უკაცრავად, მაგრამ ძაღლსაც აქვს თავისი ეზოს პატრიოტიზმი, ეზო-ყურე უყვარს. ეს ბუნებრივია. მეორე, უფრო მაღალი თვისობრივი საფეხურია მოქალაქეობა. პატრიოტიზმი ნიშნავს შენი ეზო-ყურესთვის, სოფლისთვის, ქალაქისთვის, ქვეყნისთვის თავის დადებას, სიკვდილს. მეორე, მოქალაქეობა კი ნიშნავს შენი ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის ცხოვრებას, შემოქმედებას და იმის განცდას, რომ შენ ამ საზოგადოების თანამფლობელი ხარ და თითოეულ კუთხეზე, საზოგადოების მტკივნეულ საკითხზე შეგტკივა გული და არა მარტო საკუთარ ოჯახზე. მოქალაქეობრიობის განცდა უმნიშვნელოვანესია. ჩვენს საზოგადოებაში ეს განცდა არ არის, ჯერ, პირველ ეტაპზე ვართ. პატრიოტიზმი გასაგებია — როცა ემოცია დაგროვდება ჩვენ შეგვიძლია მომენტალური, წამიერი გმირობა ჩავიდინოთ, მაგრამ გრძლვადიანი შემოქმედების ეტაპზე ვერ გადავსულვართ. ჩვენ ხომ სულ ვფიქრობთ, აბა, ვინ გადაგვარჩენს? — მთავრობამ რაღაც დაპირებები მოგვცა და პასიურად ველოდებით მის უზრუნველყოფას. სანამ საზოგადოება ასეთი პასიური მოლოდინის რეჟიმშია, არაფერი შეიცვლება. ამიტომ, გმირიც საჭიროა და საზოგადოებაც, რადგან ორივე ერთმანეთისგან მოდის და ერთმანეთის მკვებავია. ჩვენ პარადოქსულ სიტუაციაში ვართ, ვერ გაგვიგია — ჯერ გმირი იყოს და მერე საზოგადოება თუ ჯერ საზოგადოება და მერე გმირი, თუ ორივე ერთდროულად. ახლა, სხვა ტიპის გმირია. გმირში ერთ პიროვნებას არ ვგულისხმობ, არამედ ახალ ტალღას, რომელიც უკიდურესად მაღალი ზნეობის მატარებელი უნდა იყოს. პირადი მაგალითის მიცემით საჭიროა დახავსებული საზოგადოების უცებ შემობრუნება. ამას, ილიას დროს დიდი ჯაფა სჭირდებოდა, ახლა, თანამედროვე მაღალტექნოლოგიების, სოციალური ქსელების და ა.შ. პირობებში, ეს გაცილებით ადვილია, საზოგადოების განწყობის შემობრუნება ერთ დღეში შეიძლება, მაგრამ ამის ყველაზე დიდი იარაღი პირადი მაგალითია. ანუ, მაღალი ზნეობრივი კომპრომისი. მეორე — ხალხის უზომო სიყვარული და




მესამე — ალბათ, ერთნაირად აქტუალური, თანამედროვე სახელმწიფოებრიობის, საზოგადოების აშენებაში დახვეწილი ექსპერტიზა, მსოფლიო კალიბრის სახელმწიფოებრივი აზროვნება და განსწავლულობა. აი, ეს სამი თვისება სჭირდება ახალი ტალღის შემქმნელ ორგანიზებულ ძალას. თანამედროვე გარემოში რამოდენიმე ადამიანიც კი შეძლებს ორგანიზებას. ჩვენს საზოგადოებაში, ორგანიზებულობა, აქილევსის ქუსლია. თუკი რამოდენიმე ადამიანი შეძლებს ორგანიზებას და საზოგადოებამდე ამის მიტანას, ეს ქართული სახელმწიფოებრიობის შემობრუნების შანსი იქნება.

**— ახლა, თქვენ თქვით, ემოციით წამიერი გმირობა გვჩვევია, მაგრამ გრძელვადიანი შემოქმედების ეტაპზე ვერ გადავსულვართო. ანუ ემოციით პატრიოტები უფრო მრავლად ვართ, ვიდრე გონებით პატრიოტები?**

— ემოცია ყველას ახასიათებს, იგი გონების ნაწილია, მის გარეშე გადაწყვეტილება ვერ მიიღება. ადამიანები აზვირთებულნი რომ არიან და დაწვრილებული ხმით გადარეულები ლაპარაკობენ, ეს ემოცია არაა, ეს სიგიჟეა. ემოციაში ვგულისხმობ, შინაგანი გულისა და ტვინის იმპულსებს. ჩვენ ტვინი მარტო გონებაში კი არ გვაქვს ჯანსაღი ემოციის გარეშე, მხოლოდ ტვინით, რაციონალიზმით მიღებული გადაწყვეტილება ეფექტური არასდროსაა. ჩვენთან, არც ემოციით პატრიოტები სჭარბობენ და არც გონებით, არამედ შოუ-პატრიოტები. ეს სასაცილო პატრიოტიზმია. ჩვენ ინფანტილური საზოგადოება გვყავს. ხდება უაზრო ემოციების ჩვენება, არაფერზე ლაპარაკი, უაზრო ტრაბახი. ასეთ მოტრაბახე საზოგადოებას ძნელად თუ ნახავ სადმე. თანამედროვეობაში ღირებულს არაფერს ვქმნით, განუზომლად ვტრაბახობთ. ჩვენთან უფრო — ინფანტილიზმი, მოჩვენებითი პატრიოტიზმი სჭარბობს. საბჭოთა პერიოდში კომუნისტური იდეოლოგია იყო დაწინაურების საშუალება, დღეს, განმსაზღვრელი ისაა, ვინც საქართველოს სიყვარულზე, მართლმადიდებლობაზე ყველაზე ხმამაღლა ლაპარაკობს. სინამდვილეში, ეს ფარსია, ფასადია იმისათვის, რომ პირადი ინტერესი წინ წამოსწიონ და წარმოაჩინონ. ამის შემჩნევა ძალიან ადვილია.ესაა ყველაზე დიდი უბედურება.

**— არცერთი ხელისუფლება არ მოვიდა, რომელიც სამართლიანობის აღდგენას დაიწყებდა არა 2003, არა 2012, არამედ 1991-92 წლებიდან...**

— რასაკვირველია, ეს ძალიან დიდი პრობლემაა. დღეს, წარმმართველი შევარდნაძისტული აზროვნებაა. როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური ელიტა, შევარდნაძისეული მოხელეები არიან — ზოგი ფიზიკურადაც იგივეა, ზოგიც მისი მენტალური მემკვიდრეა. ერის შედუღაბება სიმართლის თქმით და შემდეგ პატიებით, მიზნის გაერთიანებით იწყება. უფრო მეტსაც გეტყვით, სამართლიანობის აღდგენა 1921 წლის მემკვიდრეობიდან უნდა დავიწყოთ, ნამდვილი სამართლიანობა და გაერთიანება მხოლოდ ასე თუ მოხდება. ამდენი გაუთავებელი ტრაბახი უნდა დავამთავროთ, საკუთარ თავში გულახდილად ჩავიხედოთ და ერს სიმართლე ვუთხრათ. ნაკლი, რაც საზოგადოებას, ერს აქვს ჩვენვე უნდა გავაშიშვლოთ, რათა მომდევნო თაობას უკეთეს სასტარტო პოზიციაში ყოფნა და იქედან მშენებლობის დაწყება შეეძლოს. სიყალბეზე აწყობილი საზოგადოება არავის სჭირდება. სანამ ღირებულის შექმნას არ დავიწყებთ, არაფერი გამოვა. ახლა, ეკოლოგიური რევოლუცია ხდება, მთელს მსოფლიოში პრიორიტეტები განსხვავებული იქნება — გლობალური დათბობა, სოციალური მობილურობა, გარემოს მოლოლიავება ყველაზე მთავარი ატრიბუტიკაა. ჩვენ შეგვიძლია ახალი ეპოქა, თანამედროვეობა საქართველოს სასარგებლოდ წარმოვაჩინოთ. ჩვენ ხომ საქართველოს დაბადების უნიკალური მითი გვაქვს — ღმერთმა თავისთვის მოტოვებული სამოთხე — ედემის ბაღი ჩვენ მოგვცა. მითია, მაგრამ ძალიან ლამაზი. მითი ციდან არ იბადება, მას სიმართლის მარცვალი აქვს და თანამედროვეობა ამ მარცვალზე უნდა ავაგოთ. 5-10 წელიწადში ნავთობზე ლაპარაკი აღარ იქნება. მომავლის ერთადერთი გზა ბუნებასთან ჰარმონიული კავშირია. საქართველოს შეუძლია ედემის ბაღის როლი ითამაშოს. ეკოლოგიისა და განახლებადი ენერგიის ახალ სამყაროში საქართველო ეკოლოგიური ცენტრი, ნაკრძალია, სადაც სიჯანსაღეს მთავარი მნიშვნელობა აქვს. მეორე, საქართველოს ეკონომიკა ამაზე უნდა აიგოს და მესამე, თანამდეროვე განათლებაა. ეს სამი ჯაჭვი ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მთავარი ღერძის შემქმნელია. კაცობრიობის წინაშე ამით უნდა წარვსდგეთ. აი, ესაა ქართული სახელმწიფოს მისია, რომელიც მას არასდროს ჰქონია. თანამედროვეობაში მას ამ ფუნქციის ტარება შეუძლია. ასევე, მთელი კაცობრიობის წინაშე ამით გახდეს აქტუალური და არა ნატოში ან ევრაზიის კავშირში გაწევრიანებით. ეს ორივე წამგებიანია. ჩვენ ვლაპარაკობთ ამ ცუდი განზომილებიდან ახალში გადასვლაზე — საქართველოს როგორც ეკოლოგიური ნაკრძალის ფუნქციის მინიჭებაზე. ედემის ბაღობა სიჯანაღე, ყველა საშუალო ფენის მქონე საზოგადოებისთვის მიმზიდველია ჯანსაღი ჰაერი, წყალი, საკვები, სოციალური ურთიერთობები, ოჯახური ტრადიცია. აი, მომავალი ჯანსაღი სახელმწიფოს კრიტერიუმი. აქ, ჩვენ, ჩემპიონობა, მსოფლიო ფინალში თამაში შეგვიძლია. სხვაგან ვერ ვთამაშობთ, აქ შეგვიძლია.

**— ახალმა ხელისუფლებამ პოლიტიკური შეფასებაც ვერ მისცა იმას, რაც ამ 9 წლის მანძილზე ხდებოდა. საკმაოდ სახიფათო სიტუაციაა...**

— ქვეყანა უცნაურ სიტუაციაშია — პროფესიად, პრიორიტეტად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებად ტრივიალურ თემებს ვირჩევთ იმიტომ, რომ ინფანტილური საზოგადოებისთვის ტრივიალურის არჩევა ადვილია. დღეს ხელისუფლებაში შევარდნაძიზმის მენტალობაა. უბედურება ისაა, რომ შევარდნაძიზმის მენტალობა, საბჭოთა პერიოდში, მმართველობაში კიდევ შესაძლებელი იყო შენარჩუნებულიყო, მაგრამ ახლა დემოკრატიული კაპიტალიზმი, ახალი ეპოქაა. ახალ ეპოქაში ძველი მენტალობით ფუნქციონირება დროის ბომბზე ჯდომას ნიშნავს, რომელიც როდის აფეთქდება არ იცი. ამჟამად, საქმის კეთებისას არანაირი პროფესიონალიზმი და გამოცდილება არ არსებობს. ეს ძალიან ცუდი კომბინაციაა. ეს მემკვიდრეობაა — შევარდნაძიზმი, საბჭოურობა, წარსულისთვის ჯერ კიდევ არ ჩაგვიბარებია. არ მოხდა ერის გამთლიანება, მთავარ კონსესუსზე შეთანხმება, მექანიკურად იგივეს ვაგრძელებთ. ჩინოვნიკები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შექმნილი სახელმწიფო აქტივები მიითვისეს, დღესაც ხელისუფლებაში არიან, მათი მენტალობა არ შეცვლილა. კეთილდღეობაც მათ აქვთ და მართვის ბერკეტიც, ოღონდ, არ იციან თანამედროვე პირობებში როგორ მართონ. და არც ის იციან, რომ როდესაც კეთილდღეობა მხოლოდ 2%-ზე ვრცელდება, ხოლო სიღატაკე დანარჩენ 98%-ზე, ეს ფეთქებადსაშიში სიტუაციაა.

**— ბატონო გია, ბოლოს ისიც გვითხარით, როგორ უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მართვა და რა შეცდომებს უშვებს, ამ კუთხით, ხელისუფლება?**

— პრობლემა ისაა, რომ რადგან ინფანტილურ მდგომარეობაში ვართ, ფაქტობრივად, ევროკავშირის და აშშ-ს მიერ მოწოდებული მექანიკური სქემებით ვიმართებით.

ქართულ რეალობაში თანამედროვე ნოუ-ჰაუ გვჭირდება და არა გადმოთარგმნა. დღეს, ფაქტობრივად, მათი წყალობით ვარსებობთ და ვოპერირებთ. სამწუხაროდ, მათ სწორად გამოყენებას ვერ ვახერხებთ, უნდა ვიცოდე საით მივდივართ და ეს იქნება ჩვენსა და დასავლეთს შორის ჯანსაღი ურთიერთობა და არა ისეთი როგორიც დღესაა — ისინი წერენ ჩვენს კანონმდებლობას, ქმნიან ამინდს, ჩვენს მმართველობის სტრუქტურებს, რაც ამაზრზენი, შეურაცხმყოფელი ნული შედეგის მომცემია.

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**



# მოუდრეკელი


თედო სახოკია

**„აფხაზეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის კალო მაშინ გაილეწა, როცა რუსეთის ჯარმა 1810 წელს სოხუმი დაიკავა... მკვიდრი ამა ქვეყნისა რაღა იქნა? როგორ მოხდა, რომ მის სუფრას სხვები მოსხდომიან“, — აფხაზეთის ცხოვრებაში მომხდარი სავალალო ისტორიული ფაქტის ასეთი ზუსტი და ხატოვანი შეფასება დღეს იმდენად აქტუალურია, თითქოს ჩვენი თანამედროვე წერდეს. მისი ავტორი თედო სახოკიაა — მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოლოგი და ილიას თანამედროვე საზოგადო მოღვაწე.**

სამეგრელოში, მღვდლის ოჯახში დაიბადა და ეკლესიის მსახურად ამზადებდნენ. ამიტომაც მიაბარეს სასულიერო სემინარიაში — ჯერ მარტვილში, შემდეგ თბილისში. დიდხანს არ დასცალდა სწავლა, რადგან მოსწავლეთა არალეგალურ წრეში მონაწილეობის გამო სემინარიიდან გარიცხეს. ერთხანს უცხოეთს შეაფარა თავი და იქ განაგრძო სწავლა, ხოლო იქიდან დაბრუნებული სოხუმში დასახლდა. თვითონ იყო შემსწრე იმისა, როგორ ავიწროებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და როგორ შემოჰყავდათ უცხო ჯიშის ხალხი აქ დასასახლებლად. თედო სახოკია თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის „ივერიასთან“ და „სოხუმელის“ ფსევდონიმით კოლონიზატორთა მამხილებელ წერილებს ბეჭდავდა...

**„აფხაზეთის მკვიდრი იყო პაპა. სოხუმში მუშაობდა თვითმმართველობაში. ნიკო თავდგირიძე იყო ქალაქის თავი. იქ ნახა, რუსიფიკაცია თუ როგორ ვითარდებოდა, აფხაზების საწინააღმდეგოდაც და ქართველების საწინააღმდეგოდაც“,** — იხსენებს თედო სახოკიას შვილიშვილი შუქია აფრიდონიძე.

მრავალმხრივი ინტერესები ჰქონდა, რასაც ხელი მოჰკიდა, ყველა საქმეს უერთგულა და თავისი კვალი დააჩნია. ცნობისწადილმა ბევრ ხიფათს გადაჰყარა, რის გამოც ხან უცხოეთში გაქცევით შველოდა თავს, ხან ხელისუფლება უსჯიდა გადასახლებას. მხოლოდ 50 წელს მიტანებულმა დაიწყო მშვიდი ცხოვრება და მეცნიერულ და მთარგმნელობით საქმიანობას მოჰკიდა ხელი. თარგმნა და გამოსცა: ბოკაჩოს „დეკამერონი“, ანრი ბარბიუსის „ცეცხლი“, ვაზოვის „დამონებულნი“, ვოლტერის, გი დე მოპასანის, ემილ ზოლას, დოდეს, ანდერსენისა და სხვათა ნაწარმოებები.

## ილია ჭავჭავაძე და თედო სახოკია

თედო სახოკიასა და ილია ჭავჭავაძეს შორის ჯერ დაპირისპირება, მერე საქმის სასამართლომდე მიყვანა დიდი მოულოდნელობა იყო თანამედროვეთათვის — ილია უკვე ილიაა, ათას საქვეყნო საქმეს შეჭიდებული „ერის მამა“, თედო სახოკია კი — 28 წლის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ის-ის იყო საზოგადოებრივ საქმიანობას იწყებდა. სამწლიანი სასამართლო გარჩევა 1898 წლის ნოემბერში დასრულდა. ამ ამბავს „ივერიამ“ ვრცელი წერილი უძღვნა:

**„1895 წ. მღვდლის შვილმა თევდორე სახოკიამ გამოსცა პატარა წიგნაკად თავის მიერ შეკრებილი „აკაკის ნაკვესები“ აკაკისავე სურათით. „ივერიის იმავე წლის მე-79 №-ში დაიბეჭდა ამ გაზეთის თანამშრომლის „ჩიორას“ ფელეტონი: „საბიბლიოგრაფიო შენიშვნა“. ამ ფელეტონში „აკაკის ნაკვესების“ შესახებ იყო ნათქვამი, რომ იგი აკაკისა კი არა „თ. სახოკიას შინაგან ბუნების ნაყოფია“, „იმისთანა ლექსიკონით არის შეზავებული, რომ იმის ბაგიდგან ამოშვებას კინტოც იუკადრისებს“, იგი ნაკვესები-კია არა, „უწმაწური შაირებია“-ო. „ჩიორას ამ რეცენზიის გამო სახოკიამ უჩივლა გაზეთის რედაქტორს — ილიას. 1896 წელს ილია გაამართლეს, ამჯერადაც „სასამართლომ დაადგინა: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე მართლად იქმნას ცნობილი, ხოლო თ. სახოკიას სააპელაციო საჩივარი უყურადღებოდ დატოვებულიო“.**

ამ ამბის შემსწრე ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებებში წერს, რომ ყველანი ძალზე გააკვირვა თედო სახოკიას ილიასთან დაპირისპირებამ და საქმის სასამართლომდე მიტანამ. ექვთიმე თაყაიშვილი, „ივერიისგან“ განსხვავებით, ადასტურებს, რომ „აკაკის ბევრი ჰქონდა უწმაწური ოხუნჯობა“, რომ სწორედაც „იმის ბაგიდგან“ ითქვა და თედომ მხოლოდ თავი მოუყარა მათ და გამოსცა:

**„...უმაღლეს სასამართლოში იყო საქმე. თედომ დამცველად აიყვანა ადვოკატი გიორგი გვაზავა, რომელიც თან პოეტობდა კიდევაც... სასამართლოს ბევრი ხალხი ესწრებოდა. ილიას ჰკითხეს, ვექილი გეყოლებათო? მან მიუგო, «ß ñàì áóäó çàùèùàòüñÿ»-ო. მისცეს სიტყვა, ისიც წამოდგა და თავისებურად დინჯად დაიწყო ლაპარაკი. უჭირავს ხელში ის „ნაკვესები“ და სათითოდ უთარგმნის რუსულად სასამართლოს წევრებს — ისე, რომ იცოდა ხოლმე საფუძვლიანად, არც ერთი სიტყვა არ გამოუტოვებია. მოსამართლეები დაიხოცნენ სიცილით, ეუბნებიან: «Êíÿçü, äîñòàòî÷íî, âñå ÿñíî!» ის კი მაინც თავისას არ იშლის, ეუბნება — «Íåò, åùå, åùå, âîò åùå íåñêîëüêî î÷åíü õàðàêòåðíûõ ïðèìåðîâ!» ასე, საყოველთაო სიცილ-ხარხარში თითქმის სულ ჩაიკითხა და თარგმნა ის წიგნაკი. ბოლოს განაცხადა, ეს იმდენად სამარცხვინო ანეკდოტებია, რომ აკაკიმ თვითონ უარყო მათი ავტორობა და სწორედ ამიტომ დაიწუნა ჩვენმა გაზეთმა ამ წიგნაკის გამოცემაო. მოიგო, რა თქმა უნდა საქმე! თედოსაც საქმის წაგება გულში არ ჩაუხვევია; კარგი პატრიოტი და ინტელიგენტი ქართველი იყო, არ დამდურებია ილიას. პირიქით, მერე შესანიშნავი წერილი მიუძღვნა მას“** (იგულისხმება თედო სახოკიას „ჩემი საუკუნის ადამიანებში“ გამოქვეყნებული წერილი ილიაზე).

გაჭიანურებული სასამართლო პროცესი ხელს არ უშლის თედო სახოკიას, დაინახოს და შეაფასოს ილიას ღვაწლი სამშობლოს წინაშე; 1897 წელს „ივერიის“ რედაქციას, რომელთანაც 20 წლის ასაკიდან, 1888 წლიდან თანამშრომლობდა, შეკითხვით მიმართავს — რატომ მიჩუმდა საზოგადოება და არ იხდიან ილიას მოღვაწეობის 40 წლის იუბილესო.

1903 წლის მაისში ილია ჭავჭავაძე, თბილისისა და სიღნაღის მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლებთან — ალ. ორბელიანთან და დიმიტრი ჩოლოყაშვილთან ერთად აფხაზეთს გაემგზავრა. თბილისის თავადაზნაურთა დელეგაციას დავალებული ჰქონდა მადლობა გადაეხადა პრინც პეტრე ოლდენბურგელისთვის, რომელმაც დააარსა კურორტი გაგრა, გახსნა რეალური სასწავლებელი და იქ ქართველებისთვის ადგილები გამოყო. გაგრიდან ილია ჭავჭავაძის სოხუმში ჩასვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს და იქაურებმა საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. შერვაშიძეების სასახლეში, ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ გამართულ ნადიმზე ილიას წარმოთქმული სიტყვა სტენოგრაფიული სიზუსტით ჩაიწერა და შთამომავლებს შემოუნახა თედო სახოკიამ, რომელიც იმ დროს სოხუმში ცხოვრობდა და თვითმმართველობაში მუშაობდა.


დგანან: ერეკლე ტატიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჯანაშია, ვახტანგ კოტეტიშვილი, სხედან: ქრისტეფორე რაჭველიშვილი, პავლე ინგოროყვა, თედო სახოკია, აკაკი შანიძე, ალექსანდრე აბაშელი, 1928 წ.

დავით სარაჯიშვილის სახლში გამართულ ტრადიციულ წვეულებებსაც ხშირად ერთად ესწრებოდნენ. მისივე შედგენილია „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“.

## თედო სახოკია და „სამეგრელოს ავტონომისტები“

რუსეთის იმპერია ფაქტობრივად ანექსირებულ საქართველოს ტერიტორიაზე „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით რომ მოქმედებდა, ეს არავისთვის არის სიახლე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, იმპერიის მსახურნი თავიანთი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიზნებისთვის არაერთ მზაკვრულ გეგმას სახავდნენ და ხშირად ჩანაფიქრი სისრულეში მოჰყავდათ. ერთი უმთავრესი სამიზნე ქართველი ერის ერთიანობის სიმბოლო — ქართული ენა გახდა და იერიში მიიტანეს მასზე. 60-იან წლებში რუსული გრაფიკის საფუძველზე ჯერ მეგრული ანბანი შექმნეს, შემდეგ კი — სვანური. „მეგრული ანბანის“ გამოყენებით წმინდა წერილის ნაწყვეტები გადაწერეს. შემდგომ პერიოდში ქართულის გამოდევნა სცადეს როგორც სკოლებიდან, ისე ეკლესიიდან — მის ნაცვლად მეგრულის დამკვიდრებას ცდილობდნენ.

ეს თემა გარკვეული პერიოდულობით მძაფრდებოდა; მას არც XX საუკუნეში (და, როგორც ჩანს, არც ჩვენს საუკუნეში) დაუკარგავს აქტუალობა და 20-იან წლებში ახალი ძალით იფეთქა. ამჯერად საბჭოთა ხელისუფლება დანარჩენი საქართველოსგან მეგრელთა გამოცალკევებას პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებით ცდილობდა. ერთ-ერთი ასეთი დადგენილებით, სამეგრელოს სკოლებსა და სასამართლოში უნდა შემოღებულიყო მეგრული ენა და გამოეცათ მეგრული გაზეთი.

მკითხველს ვთავაზობთ თედო სახოკიას ფრაგმენტს წერილიდან, რომელიც სწორედ ამ პერიოდშია დაწერილი და „მეგრელთა თემას“ ეხება.

## „თქვენ რაღას მისდევთ?!“

**...ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავროები გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილები გაერთიანდა, რუსის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა**

დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა. 1870-იან წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრელოს სკოლებზე. აქ სამინისტრო სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნილ იყო, როგორც არადედაენა და პირდაპირ რუსულის საშუალებით ასწავლიდნენ საგნებს. ასე იყო საქმე „სამოქალაქო“ და „ნორმალურ“ სკოლებში. ამ სკოლებში მყოფი შეგირდები ქართულის, ანუ, როგორც ისინი ამბობდნენ და დღესაც ამბობენ, „ჩქინობურას“ ე.ი. (ჩვენებურას) წერა-კითხვას კონტრაბანდით, შინაურულად, მალვით თუღა სწავლობდნენ.

ასე მიდიოდა სამეგრელოს გარუსების საქმე 1890 წლამდე. ამ ხნიდან იწყება უფრო „დასაბუთებით“ უარყოფა ქართული ენისა, როგორც სამშობლო ენისა, რომლის საშუალებით უნდა მომხდარიყო, თანახმად რაციონალური პედაგოგიის მოთხოვნილებებისა, სწავლა-აღზრდა სამეგრელოს მოზარდი თაობისა. ამ ხნიდან სცენაზე გამოდის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი (ტომით პოლონელი) და მისი მარჯვენა ხელი ლევიცკი (ისიც პოლონელი). ლევიცკიმ ჯერ შემოიღო ეგრეთ წოდებული „მუნჯური“ მეთოდი სკოლებში, რომლის მიზანი იყო რუსული ენის შესწავლა ჯერ უშუალოდ, დედაენის დაუხმარებლად და მერე სრულიად განდევნა ქართული ენისა საქართველოს სკოლებიდან. ლევიცკის „მუნჯურ“ მეთოდს ხმალამოღებული დაუხვდა ჩვენი ნეტარხსენებული პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი და აღმოსავლეთ საქართველოში გასავალი არა ჰქონდა.

სულ სხვანაირად მიდიოდა საქმე იმერეთში, სადაც ლევიცკი სკოლების საგუბერნიო ინსპექტორად იყო. განსაკუთრებით იერიში მიიტანეს სამეგრელოს სკოლებზე. აქ ხელზე დაიხვიეს მეგრულის არსებობა, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს სხვა, განსაკუთრებული ენა არისო. რა თქმა უნდა, ლევიცკებისათვის ხელსაყრელი არ იყო აღიარება იმისა, რომ ეს სხვაობა მხოლოდ გარეგნული იყო და რომ არსებითად ქართულ ენას, როგორც ლიტერატურულს და სამშობლო ენას, უნდა დაეჭირა ადგილი სამეგრელოს სკოლებში.

ლევიცკიმ ხონის სემინარიის მასწავლებელ პეტროვს მეგრელთათვის ცალკე ანბანიც შეადგენინა, რა თქმა უნდა, რუსული ასოებით და იმავე სემინარიის მუშაკის და შემდეგში „ცნობილი“ თადა აშორდიას საშუალებით მეგრული ხალხური ზღაპრები თუ ლექსებიც ჩააწერინა; ეს სახელმძღვანელო უნდა გამხდარიყო სამეგრელოს სკოლებში. თ. აშორდიას კარგი ადგილი მისცეს, მატერიალურად უზრუნველყვეს, თან დაავალეს, ზუგდიდის მაზრაში ქართული ენა, თუკი სადმე არსებობდა ასეთი, სკოლებიდან გამოედევნა და ხელი შეეწყო რუსული ენის განმტკიცებისათვის.

აშორდიას თავის მხრივ აგენტებიც გაუჩნდნენ და გააჩაღა საქმე; სამეგრელოს სკოლა გადაიქცა ბავშვების დაჩლუნგებისა და გადაგვარების ერთგვარ ქარხნად. ერთი თოფის დაცლით მთავრობამ ორი კურდღლის მოკვლა მოახერხა: სამეგრელოს სამინისტრო სკოლებიდან ქართული გამოდევნა და გარუსების გზაზე შეაყენა სამეგრელოს მკვიდრნი.

სამშობლო ენას, ქართულ ენას თუ კიდევ სული ედგა სამეგრელოში, ისევ სამრევლო სკოლებში. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ღვთისმსახურების ენა ეკლესიებში ქართული იყო და, რაკი სკოლები მრევლში, ეკლესიებთან იყო გახსნილი, ენაც ქართული უნდა ყოფილიყო სახმარად ასეთ სკოლებში. გაიმართა ჯერ ყრუ ბრძოლა სამინისტროს უწყებასა და ადგილობრივ სასულიერო უწყებას შორის ამ ნიადაგზე, მაგრამ გამარჯვებული ჯერჯერობით სასულიერო უწყება რჩებოდა, მხოლოდ დიდხანს არა. ლევიცკიმ გადაწყვიტა სხვა მხრივ მოეარნა საქმისათვის. ამავე აშორდიას ახალი მისია, გიორგი მთაწმინდელობა დააკისრა. აშორდიას უნდა „ეთარგმნა“ საღმრთო წერილი ქართულიდან მეგრულად. ეს, ლევიცკის აზრით, განდევნიდა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართულ ენას, მაგრამ მთელი სამეგრელო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა ასეთი უხამსობისა და არამკითხე ჭირისუფლების წინააღმდეგ და ეს კოლექტიური გულისწყრომა და აღშფოთება სამეგრელოს მკვიდრთა გამოიხატა მაშინდელი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლის დასაბუთებულ მოხსენებაში, რომელშიაც სამეგრელოს წარმომადგენელი ერისკაცნი, სხვათა შორის, ნიკო (დიდი) დადიანი მისთვის ჩვეული ოსტატობით ამტკიცებდა მთელს უგვანობას და უსაფუძვლობას ასეთი განზრახვისას. გრიგოლის მოხსენებას საფუძვლად დაედო მოხსენება ეპისკოპოს ბესარიონისა, რომელსაც, როგორც სამეგრელოს მკვიდრს, მოსთხოვეს თავისი აზრი წარმოედგინა მეგრულად საღმრთო წერილის თარგმნის შესახებ. ეპისკოპოს ბესარიონის მიერ შედგენილ კომისიაში, სხვათა შორის, მუშაობდა ჩვენი ისტორიკოსი თ. ჟორდანია, რომელმაც სავსებით დაასაბუთა მთელი უაზრობა და ზედმეტობა ასეთი ცდისა.



თედო სახოკია შვილიშვილთან — შუქია აფრიდონიძესთან ერთად

ეპისკოპოს გრიგოლის მოხსენებამ ერთხანს შეაჩერა მეგრულად საღმრთო წერილის მთარგმნელნი და, მაშასადამე, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენაც დარჩა.

მაგრამ, აჰა, საქართველოს საეგზარქოსოს საეპარქიო სკოლათა მეთვალყურედ დაინიშნა დეკანოზი ივ. ვოსტორგოვი. ამჟამად საქართველოს სასულიერო უწყების სწავლა-განათლების საქმეს სათავეში ჩაუდგა ანაფორას ქვეშ ამოფარებული ჯალათი და სულთამხუთავი ჩვენი სულისა, ეს ებრაელთა იროდი ჩვენი ყრმებისა, ეს კარიერისტი და საუკეთესო განმახორციელებელი რუსთა სახელმწიფოს მტარვალური მთავრობის გამარუსებელი და გამანადგურებელი პოლიტიკისა. მაბეზღარობა, ჯაშუშობა, გამცემლობა, მუხანათობა გაჩნდა მასწავლებელთა შორის...

განსაკუთრებით სამეგრელოსათვის შეიქმნა მძიმე დეკანოზ ვოსტორგოვის ფარფაში. იგი თამამად იძახდა — მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათს სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, მის მაგივრად რუსული, სახელმწიფო ენა, ასწავლეთო. ბოლოს იმდენად გაკადნიერდა ეს ანაფოროსანი პოლიტიკანი, რომ პრესაშიაც გაბედა ამის მტკიცება. ალბათ მკითხველს ახსოვს პროფესორ ნ. მარის პასუხიცა; აკადემიკოსმა ნ. მარმა მიწასთან გაასწორა მეტიჩარა, პოლიტიკანობით დაბრმავებული დეკანოზი, რომელმაც ისეთ სფეროში შეტოპა, სადაც არავითარი კომპეტენცია არ ჰქონდა და გამოაჩინა მარტოოდენ უსუსურობა.

მაგრამ ახლა მეორე მხრიდან მოიტანეს იერიში ქართულ ენაზე. სოხუმის ეპარქიაში მთავრობა რუს ეპისკოპოსებს გვიგზავნიდა. ამ ეპისკოპოსებმა და განსაკუთრებით არსენიმ ბრძანება გასცეს, სამურზაყანოში და მთლიანად აფხაზეთშიც წირვა-ლოცვა რუსულად უნდა ყოფილიყო. სოხუმში ჟანდარმერიის დახმარებით სდევნიდა სასულიერო მთავრობა ყველას, ვინც მრევლის გულისნადების გამომჟღავნებას გაბედავდა და მოითხოვდა წირვა-ლოცვის შესრულებას სამშობლო ენაზე ეკლესიებში. ვინ მოსთვლის, რამდენი ოჯახი აატირეს ამ ნიადაგზე.

1905 წ. რევოლუციამ ცოტათი შეანელა ჩვენი რუსიფიკატორების გულმოდგინება. რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალნი ისევ ამუშავდნენ. 1918 წ. ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცკი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობნი, როგორც მოხალისენი. მაგრამ ყველას ბალღთა ლაღობად მიგვაჩნდა მათი ნაცოდვილი და სერიოზულობაში არ ჩამოგვირთმევია, სანამ 1925 წელს, როცა ყველაზე ნაკლებ მოველოდით ასეთი ავანტიურის გაღვიძებას, ზუგდიდში დაიწყო ავტონომიის ნიადაგის მზადება. მაფალუელთა ჯგუფმა მოსკოვში თხოვნა გაგზავნა: „გვიხსენით საქართველოს სუვერენიტეტისაგან, სამეგრელოს „პროლეტარიატის საცოდაობას ნუღა უყურებთ და უშუალოდ შეუერთეთ რუსეთის პროლეტარიატსო“.

მკითხველს ნებას ვთხოვ, მეგრული ანდაზით მოვათავო ჩემი მოკლე საუბარი: „მწევარი კურდღელს მისდევს, მაგრამ კურდღელი რაღას მისდევს? (წიარი კურდღელ მეთხოზუნია, მარა კურდღელი მუს მეთხოზუნია?).

ლევიცკი-ვოსტორგოვები ყველამ იცის, რასაც მისდევდნენ, მაგრამ თქვენ, სამეგრელოს „ავტონომისტებო“, თქვენ რაღას მისდევთ?!.“

## „მოგზაურობანი“, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, „ციმბირში“...

**„მოგზაურობანი“ —** თედო სახოკია 1896-1904 წლებში გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს აქვეყნებდა იმდროინდელ გაზეთებში — „მოამბესა“ და „ცნობის ფურცელში“, რომელთა დავალებითაც მოიარა საქართველოს რეგიონები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაწერილი ეს ნაწერები მხოლოდ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს როდი ასახავს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ამა თუ იმ რეგიონის საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე და მსჯელობს მათი მოგვარების გზებზე. შეიძლება ითქვას, რომ „ახალი მგზავრის წერილები“ ეთნოგრაფიულ-პუბლიცისტური ნაწერებია.



თედო სახოკია

გაზეთებში გაბნეული ამ წერილების თავმოყრა და დაბეჭდვა, მათი გამოქვეყნებიდან თითქმის 50 წლის მერე, 1950 წელს გადაწყდა. 82 წლის თედო სახოკია უზომოდ გაახარა ამ წიგნის გამოცემამ.

**„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“** — ამ სამუშაოს 21 წლისამ ნიკო ლომოურის თხოვნით მოჰკიდა ხელი და 50 წელზე მეტი მოანდომა. წიგნში თავმოყრილია 7 ათასზე მეტი ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმა, მდიდარი სალიტერატურო ენითაც და კილოების საოცარი მრავალფეროვნებითაც.

**„ციმბირში, მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან“ —** თედო სახოკია სოციალ-ფედერალისტებს თანაუგრძნობდა და მათთან მეგობრობდა. მათი ერთ-ერთი ლიდერი გიორგი დეკანოზიშვილი 1905 წლის გაზაფხულზე ევროპიდან საქართველოში იარაღის შემოტანას ცდილობდა. იმ დროს, 1905 წელს თედო პარიზში იმყოფებოდა და მას ამ საქმეში დახმარება სთხოვეს — საქართველოში იარაღის მიღება-განაწილება დაავალეს. იმავე წლის შემოდგომაზე იარაღით დატვირთული გემი „სირიუსი“ საქართველოს მოადგა. იარაღის გადმოზიდვა ნაწილობრივ მოახერხეს და ამ ოპერაციაში მონაწილე რამდენიმე პირთან ერთად თედო სახოკია დაიჭირეს და გააციმბირეს. ციმბირის ეპოპეას ეძღვნება მისი „მოგონებები“, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: „იქით“, ანუ დაპატიმრება და ციმბირში გადასახლება და „აქით“ — ციმბირიდან გამოქცევა, სამშობლოში დაბრუნება და უცხოეთში ისევ იძულებით გამგზავრება. მოგონებების ნაწილი გასული საუკუნის 30-იან წლებში ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდებოდა, სრულად კი ლიტერატურის მუზეუმმა არც ისე დიდი ხნის წინ გამოსცა.

მიუხედავად თავს გადამხდარი განსაცდელებისა, თედო სახოკია წერს:

**„ტკბილად, მეტად ტკბილად ვიგონებ... ჩემი შფოთიანი ცხოვრების ამ ეპიზოდსაც, რომელმაც ელვის სისწრაფით მომანათაადა ელვის სისწრაფითვე გაირბინა“.**

გერონტი ქიქოძემ დაგვიტოვა მოგონება, რომელიც თედო სახოკიას შფოთიანი ცხოვრების „მორიგ“, იძულებით ემიგრაციაში ყოფნაზე გვიამბობს:

**„ვერც ციმბირს, ვერც ემიგრაციაში ყოფნას იგი ვერ მოედრიკა... რა დროსაც უნდა შევსულიყავი მის სტუდენტურ ოთახში, თუნდაც დილაადრიანად, პატარა ტაბელ კალენდარზე ის დღე უკვე წაშლილი ჰქონდა, თითქოს უკვე განვლილი ყოფილიყოს. ერთხელ ვუთხარი, შე კაცო, დღევანდელი დღე ხომ მხოლოდ ესაა დაიწყო, შენ კი უკვე გადაგიხაზავს-მეთქი, მიპასუხა: ემიგრანტისთვის, რომელსაც სამშობლოში დაბრუნების ნატვრა სტანჯავს, ყოველი ახალგათენებული დღე უკვე განვლილი დღეაო. იგი მზად იყო, სიცოცხლის დღეები შეემოკლებინა, ოღონდ საქართველოში დაბრუნება ღირსებოდა. და მაშინ ჩემთვის ნათელი გახდა ძველი ათენელების სამართალი, რომლის მიხედვით სამშობლოდან გაძევება და სიკვდილი თანაბარ სასჯელად მიაჩნდათ“.**

**ელზა ნაბახტეველი**

# მოვიაროთ საქართველო!

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. წინა ნომერში

### ბებრის ციხე

ვისაც მცხეთის გზაზე ერთხელ მაინც აუვლ-ჩაუვლია, ბებრის ციხის ადგილმდებარეობა ყველამ იცის, მაგრამ იმ ყველადან რამდენი ასულა ციხეზე, რამდენმა იცის რატომ ჰქვია „ბებრის ციხე“, რა ერქვა თავდაპირველად და როდისაა აგებული?

მდინარე არაგვის მარჯვენა სანაპიროზე საცოდავად ჩამოშლილი ციხე-სიმაგრე, დღევანდელი ბებრის ციხე, თავდაპირველი სახელწოდებით „ბელტა“, ანტიკურ ხანაშია აგებული. ქართულ ისტორიულ წყაროებში პირველად ლაშა-გიორგის მემატიანე იხსენიებს, რომ საქართველოს მეფე დემეტრე I გარდაიცვალა ბელტასციხეში, საიდანაც წაასვენეს და გელათში, მისგანვე კურთხეულ ტაძარში დაკრძალეს.








ბებრის ციხე მცხეთა-ქალაქის ჩრდილოეთიდან ჩამკეტი მცველის როლს ასრულებდა, ვინაიდან იმ ადგილზე, სადაც ის დგას, ხეობა ძალზე ვიწრო იყო და ციხე აბსოლუტურად კეტავდა მცხეთაში შესასვლელს ამ მხრიდან. ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილმა სხვადასხვა პერიოდის მასალამ ნათელი გახადა, რომ IV საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ჩათვლით, ბებრის ციხე მოქმედი ციხე-სიმაგრე იყო. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი, რომელიც ყველაზე დიდია, რამდენიმე სართულისგან შედგება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თავდაცვითი დანიშნულების გარდა საცხოვრებელიც ყოფილა.

ჩამოშლილ და გავერანებულ ბებრის ციხეზე ხარაჩოების კვალი კი ჩანს, მაგრამ რესტავრაციის დაწყებისა ჯერ არაფერი ეტყობა, მხოლოდ ხუთჯვრიანი ჭუჭყიანი დროშა ფრიალებს დარსა თუ ავდარში, რომელიც რატომღაც სახელმწიფო დაწესებულებასავით მასზეც დაუმაგრებია ვიღაცას...

ლეგენდა ამბობს: ოდესღაც ეს მიწა ეკუთვნოდა ვინმე თავად სიმონს, რომელმაც ხეობის ვიწროში ააგო ციხე-სიმაგრე და შიგ გზისმცველები ჩააყენა. თავადს ქალ-ვაჟი ჰყოლია, ლამაზი მაკრინე და გულქვა მამუკა. მამის გარდაცვალების შემდეგ მამუკას დიდძალი გადასახადი დაუკისრებია ქვეშევრდომებისთვის, მაკრინეს კი ძმისთვის უთხოვია, გაათავისუფლეო. განრისხებულ მამუკას მაკრინე კოშკში გამოუმწყვდევია.

ერთ დღეს, როცა ყმებისთვის კერძი მზადდებოდა, ქვაბში ყვავები ჩაცვენილან და ჩაფუფქულან. ყმებს ქვაბი გადაუღვრიათ. ეს რომ მამუკას დაუნახავს, ძალიან გაბრაზებულა და ყმებს დასაჭერად დადევნებია. უეცრად ქვაბიდან გველები ამოსრიალებულან და მამუკას შემოხვევიან. სასოწარკვეთილი მამუკა ღმერთს შევედრებია, ოღონდ მიხსენი და ეკლესიას აგიგებო. ამავდროულად კოშკში გამომწყვდეული მაკრინეც ევედრებოდა ღმერთს და შეუსმენია უფალს და-ძმის ვედრება. ამ დღის შემდეგ და-ძმას ეკლესიურად ცხოვრება დაუწყიათ, მაკრინე მონაზვნად აღკვეცილა, მამუკა კი ბერად შემდგარა.

მაკრინე 70 წლისა ყოფილა როდესაც გარდაიცვალა. დასაფლავების დღეს ცხედართან თეთრწვერა მოხუცი მისულა, რომელიც შუბლზე ეამბორა მიცვალებულს და უთქვამს: – „დაო ჩემო, ჩვენ შევასრულეთ ჩვენი აღთქმა“. ამ სიტყვების დასრულებისთანავე იქვე ჩაკეცილა და სული განუტევებია. ამის შემდეგ ეწოდა ბელტას ციხეს „ბებრის ციხე.“

### მანგლისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი (მანგლისის სიონი)

ერთი თვალის შევლებითაც ულამაზესია დღევანდელი მანგლისის სიონი, ერთ-ერთი პირველი, რომელიც IV საუკუნის ოცდაათიან წლებში აიგო, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე. მანგლისის ფრესკები შუა საუკუნეების ქართული ფრესული მხატვრობის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ძეგლია. XI საუკუნეში აქ დაიწერა და ითარგმნა მათეს და იოანეს სახარების თარგმანები.

ლეონტი მროველის ცნობით IV საუკუნის პირველ ნახევარში მანგლისი ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად ითვლება, რის გამოც, როდესაც მეფე მირიანმა ქრისტიანობა მიიღო და კონსტანტინე კეისარმა მისი თხოვნის პასუხად მისივე მოციქულ იოვანეს წმინდა რელიქვიები და დიდძალი განძი გამოატანა, მან მცხეთაში მისვლამდე გზაზე ჯერ ერუშეთს და წუნდას დაუტოვა რელიქვიების ნაწილი და განძი ეკლესიების ასაშენებლად, შემდეგ კი ჩავიდა მანგლისში „და იწყო ეკლესიასა შენება; და დაუტევნა ფიცარი იგი უფლისანი.“

ის, რომ მანგლისში ერთ-ერთი პირველი ქვის ეკლესია აიგო, სადაც ქრისტეს ჯვრის ნაწილები ყოფილა დაცული, მოგვითხრობს არსენ კათალიკოსი ნაშრომში „ცხოვრება წმინდა ნინოსი“.

VI საუკუნეში მანგლისის ტაძარი იმდენად სახელგანთქმული ყოფილა, რომ სალოცავად სომხებიც დადიოდნენ, შემდეგ კი, ქართული და სომხური ეკლესიების განხეთქილების გამო გამოცემულ ეპისტოლეში ჩაიწერა, რომ მცხეთის და მანგლისის ჯვრების კარზე სომხებს აღარ ელოცათ. ამ ეპისტოლეთი ირკვევა, რომ ვინაიდან მისი აგებისთანავე მასში დაცული იქნა წმინდა ჯვრის ნაწილები, მანგლისის ტაძარი თავდაპირველად ჯვრის სახელობაზე იყო აგებული.

VII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ თბილისი აიღო (627წ) ჯუანშერი გოდებით მოგვითხრობს, რომ „მაშინ მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი რომელნი მოცემულ იყვნენ კონსტანტინესგან მირიანისადა.“

ისტორიულ წყაროებში მანგლისის ტაძარი კვლავ ჩნდება XI საუკუნეში, რომ პატარა ეკლესია რადიკალურად შეიცვალა გუმბათთან ერთად; ძეგლი შეამკეს ქვაზე კვეთილი ჩუქურთმებით; ფასადზე ამოკვეთეს სხვადასხვა ხასიათის წარწერები (რომლებიც ცნობებს გვწვდიან) და მოხატეს ტაძარი (ამჟამად მხატვრობა მხოლოდ გუმბათშია შემორჩენილი).

1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევამ დააცარიელა მანგლისის ტაძარიც, რომელიც თათარი მწყემსების ცხვრის სადგომის მაგივრობასაც სწევდა და მათ საცხოვრებლისასაც, რის გამოც ფრესკები და ორნამენტები ჭვარტლით იყო დაფარული.

1824 წელს, როდესაც რუსის ჯარი ჩადგა მანგლისში, ჯარის მეთაურის უვიცობის გამო მხოლოდ ზიანი მოუტანა ტაძარს, ორი კმ-ის მოშორებით ახალი ეკლესიის აშენება დაიწყო და ახლომდებარე ეკლესიების ნანგრევებიდან აზიდვინებდა მასალას. მათ შორის მანგლისის ტაძრიდანაც გაიტანა როგორც ქვები, ასე ჩუქურთმიანი და წარწერიანი ქვები.




1849 წელს მანგლისში დასასვენებლად მყოფ საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს გაუცია განკარგულება რომ გაეწმინდათ ეკლესია და კარები შეებათ. მომდევნო წელს, მეფის ნაცვალს რომ დაუთვლიერებია ტაძარი, შესწირვია და ბრძანებაც გაუცია ძეგლის შეკეთების შესახებ. პოლკის ოფიცრების გულმოდგინებით ტაძარიც აღდგა და კაკლის ხის იკონოსტასიც დაამზადეს, რომელიც მთლიანად მოაოქროვეს და ხატებით შეამკეს.

1862 წელს საქართველოს ეგზარქოსმა ევსეიმ ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე აკურთხა და მხოლოდ 1884 წელს მიიღო დამოუკიდებელი მმართველობა. ცნობისათვის – მანგლისის ტაძარში რევოლუციის შემდეგაც არ შეწყვეტილა წირვა-ლოცვა.

მანგლისის სიონში მოღვაწეობდა წმინდა იოანე მანგლელი (ამჟამად თბილისის სიონში განისვენებს), რომელიც მანგლისში შემოსევების დროს ჩრდილოეთ კავკასიაში წავიდა, არაერთი ეკლესია ააშენა. მას თან ჰქონდა ხატი – მანგლისის ღვთისმშობელი, რომელიც 90-იან წლებამდე მის საფლავთან იყო. როგორც უწმინდესმა ბრძანა, წმინდანს ხშირად ესიზმრებოდა, რომ ხატი მანგლისში დაბრუნებას ითხოვდა და პატრიარქის კურთხევით მანგლისის ტაძარში დააბრძანეს, სადაც სასწაულების მოხდენა დაიწყო – ხშირად მირონი სდის და სნეულებს კურნავს.

როდესაც მეუფე ანანიას კურთხევით ხატი მთელ ეპარქიაში შემოატარეს, ერთ-ერთ ტაძარში, სადაც დააბრძანეს და პარაკლისს იხდიდნენ, ძველ წიგნებში მინანქარში გაკეთებული ოქროს ჯვარი აღმოაჩინეს. ერთმა სიწმინდემ, ხატმა, მეორე, ის გადარჩენილი სიწმინდე აპოვნინა „საჭირო“ ადამიანებს, რომელიც ვერავინ შენიშნა მანამდე, ვერც გარეშე მომხდურმა მტერმა, ვერც კომუნისტებმა, რომლებმაც მრავალჯერ გადაქექეს ეკლესია და ვერც ჩვეულებრივმა ბაცაცებმა... მეუფემ წარწერა ამოიკითხა: „ნაწილი წმიდისა ძელისა ცხოველისა“ – ასე ეწერა ჯვარს უკანა მხარეს – ამ ჯვარში ჩაბრძანებულა სწორედ იმ ძელი ცხოვლის ნაწილი რომელზეც უფალი ჯვარს აცვეს. როგორც უკვე ვთქვით, ტაძარში იმთავითვე ინახებოდა უფლის სამსჭვალი და წმინდა ჯვრის ნაწილები, რასაც კიდევ ერთი სიწმინდე დაემატა. ტაძარში იმყოფება ხატი, რომელიც ძალზე გაშავებულია, მაგრამ შესაძლებელია ღვთისმშობლისა და მაცხოვრის გამოსახულების გარჩევა. დანამდვილებით რომელი საუკუნისაა, უცნობია, მაგრამ თვით ხატზე ასომთავრული წარწერა ამბობს: „ღვთის მშობლის ვედრების ხატი პირველი საუკუნისა. წმინდა ნაწილები (მანგლისის მიტროპოლიტის მიტრაც) რუსეთში წაიღეს და იქ ინახება, მეორე სამსჭვალი კი თბილისის სამების საკათედრო ტაძარში დარჩა.

(გაგრძელება იქნება)

მოგზაურობის მსურველებს შუძლიათ
დაუკავშირდენენ ტელეფონზე 598 73 12 22

# აჯაფსანდალი, სახელად ქართული პოლიტიკა











მსოფლიოში ისე აირია სიტუაცია, ისე აიჭრა და აიმღვრა, რომ ვერ გაიგებ, ვინ ვის ეომება, ვინ ვისი მტერია და ვინ ვისი მოყვარეა.

ამ სიტუაციის ექო საქართველოსაც მოსწვდა და აქაც, ფაქტობრივად, იგივე მდგომარეობაა.

ეს არეულ-დარეულობა ასპარეზზე ისლამური ხალიფატის გამოჩენას მოჰყვა, რომელიც ცალკე შიიტებს და ქრისტიანებს ებრძვის, ცალკე ამერიკელებს, ახლო ხანებში კი რუსების დედის მოკითხვასაც აპირებს ახლოდან.

არადა, როგორც ირკვევა, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი თავკაცი, ალ-შიშანი აგერ იყო საქართველოში, ქართულ ჯარში მსახურობდა და რუსებს თავგანწირვით ებრძოდა, რაც მიხეილ სააკაშვილმა არ აპატია და რუსების წინააღმდეგ მებრძოლ სხვა მეომრებთან ერთად ციხეში ჩასვა.

რა უცნაურად იქცეოდა, კაცო, ეს ჩვენი პრეზიდენტი, სახელად ჩვენი რომ ერქვა და სულ მტრის წისქვილზე რომ ასხამდა წყალს რატომღაც.

მსოფლიოს ახლართულ-ჩახლართულ ამბებს რას გაუგებ, როცა ჩვენი ამბები ვერ გაგვირკვევია და ვერ გამოგვიძიებია დღემდე და ისიც კი ვერ დაგვიდგენია ამ „ნაცმოძრაობას“, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი რუსებს გადაულოცა, ამერიკელები და ევროპელები რატომ იცავენ ასე თავგამოდებით?

რუსები რომ იცავდნენ, კიდევ ჰო, მაგრამ ეს ევროპელები და ამერიკელები რამ გადარია ნეტავ?

ერთმა ექსპერტმა თქვა: — აგერ ნახავთ თქვენ, თუ საქართველოს ხელისუფლება მართლაც დააპირებს სააკაშვილის დაპატიმრებას და ამ მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს, პირველი, ვინც მას პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემს, რუსეთი იქნებაო...

არ არის გამორიცხული, ეს ექსპერტ-წინასწარნეტყველი მართალი გამოდგეს, მითუმეტეს, თუ გასული საუკუნის 90-იანი წლების ამბებს გავიხსენებთ, როცა რუსეთმა მის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა ერთი ნაწილი არა მარტო შეიფარა, არამედ ლამის გულში ჩაიკრა და ჩაიხუტა.

ასე რომ სულაც ნუ გაგიკვირდებათ, თუ პუტინის და ოკუპანტების წინააღმდეგ გააფთრებით მებრძოლი რომელიმე ქართული ორგანიზაცია, ვთქვათ, „თავისუფალი ზონა“, ოკუპანტი ქვეყნის არმიის საიდუმლო ქვედანაყოფი და დესანტი აღმოჩნდეს, რომელსაც საქართველოში სიტუაციის არევა და დესტაბილიზაციის მოწყობა ევალება, რაც რუსეთს საბაბს მისცემს საკუთარი მოქალაქეების, საკუთარი ობიექტების ან სულაც დემოკრატიის დასაცავად ქვეყანაში შემოიჭრას.

„თავისუფალ ზონას“ რომ თავი დავანებოთ, არც ისაა გამორიცხული, რომ ქართველი პოლიტიკოსებიდან ან ქართველი ჟურნალისტებიდან სწორედ ის იყოს პუტინის აგენტი, ვინც პუტინს დედას აგინებს და დუელში იწვევს.

ამასწინათ ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქციას“ ვუყურე.

გადაცემის მონაწილე ჟურნალისტებიდან, რომლებიც თავიანთი რადიკალური ანტირუსული პოზიციით არიან ცნობილნი და ჩვენს გასაბრიყვებლად ძირს პუტინი და ძირს ოკუპანტებიო, გაჰკივიან, შეიძლება მოფარებულში ხმატკბილად ეჟღურტულებიან რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ძალიანაც რომ მოინდომო, ამ დალოცვილ საქართველოში ვერა და ვერ მიხვდები, ვისი ვიოლინო ვის როიალშია.

გარშემო რომ მიმოვიხედოთ, რუსული ჯარის ალყაში ვართ, ჩვენ კიდევ ამ ალყის შუაში ნატოს საწვრთნელი ბაზების აშენებას ვაპირებთ.

როგორ და რანაირად უნდა მოვახერხოთ ეს, გამაგებინეთ ვინმემ, ღმერთი არ გწამთ?

შუაში ნატოს ბაზები, გარშემო რკალად შემორტყმული რუსეთის ჯარი — რანაირად შეიძლება ეს სურათი რეალობად მივიჩნიოთ?

არადა, როგორც ბატონი ალასანია და ბატონი პეტრიაშვილი გვარწმუნებენ, ეს პროექტი სულ მალე ხორცსაც შეისხამს და ნატოს ბაზების მშენებლობას საძირკველი ამ წლის ბოლომდე ჩაეყრება.

რუსეთი ოკუპანტი ქვეყანაა, სამაგიეროდ, თურქეთი, რომელსაც თავის დროზე ლამის ნახევარი საქართველო აქვს ოკუპირებული, გულითადი მეგობარია და თურქული სერიალებით, რომლებსაც ქართული (!) ტელევიზიები უწყვეტ რეჟიმში ატრიალებენ, მე მგონი, საბოლოოდ გათურქებას გვიპირებს, თუმცა ქართველთა უმეტესობას არც ეს ამბავი ანაღვლებთ დიდად.

რა ხდება? რა გვემართება? ბოლოსდაბოლოს სახელმწიფო ვართ, თუ უბრალო ტერიტორია, სადაც ყველა თავისი „ბუტკის“ ჩადგმას ცდილობს?

საეჭვოდ ცუდად იკმაზება აჯაფსანდალი, რომელსაც ქართული პოლიტიკა ჰქვია — ერთი პილპილს აყრის თავის ჭკუაზე, მეორე მარილს, მესამე ძმარს უმატებს, რომ ეს ყველაფერი ბოლოს ძმრად ამოგვდინდეს.

— სად არის გამოსავალი? — დასვამენ, ალბათ, ქართველები თავიანთ ყველაზე საყვარელ კითხვას.

**გამოსავალი არ არის — დიიიიდ ქურში ვზივართ, რომელსაც ვიწრო ყელი აქვს და იქიდან ვერაფრით ვერ გამოვეტევით, თუ ნაწილ-ნაწილ არ გამოგვიტანეს.**

როგორ მოვხვდით მანდა?

როგორ და ჩვენი უჭკუობის, ჩვენი სიყეყეჩის წყალობით და კიდევ ლაუაზიეს კანონის უცოდინრობის გამო.

მსოფლიოში დიდი ცეცხლი გიზგიზებს, ჩვენ კიდევ ამ ცეცხლიდან ერთი-ორი მუგუზლის დათრევას ვცდილობთ, რონ საკუთარ სახლს ამ საერთაშორისო მასშტაბის ცეცხლის ალი შევუნთოთ და დავწვათ.

საქმეა ახლა ეს?

**სამსონ სამჭკუაშვილი**

# თეიმურაზ ქარჩავა: იმედი გვაქვს, სახელმწიფო კომისია ობიექტურად შეაფასებს კონკურსზე წარმოდგენილი კომპანიების შესაძლებლობებს და „ანაკლია-პორტის“ მშენებლობას ჩვენს კონსორციუმს მიანდობს

## საქართველოს მთავრობის მიერ ანაკლიის პორტის მშენებლობაზე ინტერესი 12 კომპანიამ გამოხატა

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი
**გიორგი კვირიკაშვილი:**

**„ძალიან სასიხარულოა, რომ 12-მა კომპანიამ წარმოადგინა განაცხადი. ქვეყნების სპექტრი არის ძალიან მრავალფეროვანი, შემიძლია ჩამოვთვალო, რომ აქ არის ბელგია, ინდოეთი, ისრაელი, სინგაპური, აშშ, კვიპროსი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, და ა.შ. შემდეგ ეტაპზე მოხდება კომპანიების ე.წ. „მოკლე სიის“ დადგენა, რომლებთანაც პირდაპირი მოლაპარაკებებით გავაგრძელებთ კონცეფციაზე და კონტრაქტის დეტალებზე მუშაობას.“**

ორ ათეული წლის მანძილზე, საქართველოს სახლმწიფოს სათავეში მყოფი ყოველი ახალი ხელისუფალი, ანაკლიაში პორტის მშენებლობის იდეას, მაშინ იშიშვლებდა როცა დასჭირდებოდა. სხვა დროს კი იგი არავის ახსენდებოდა. საქმე იქამდეც მივიდა ამ იდეასაც კი ედავებოდნენ ერთმანეთს.

–ყველაფერი კი ასე დაიწყო, – 80-იანი წლების დასწყისში, როცა ბატონმა ოთარ ფაცაციამ ენგურქარალდკომბინატის გადაიარაღება წარმატებით განახორციელა და სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი წარმოება მომგებიანი გახადა, სხვა მასშტაბების, იმ დროისათვის საკუთარი ძალებით გადაუწყვეტელი იდეებიც გაჩნდა, რომლებიც რეალობასთან მიახლოებული აუცილებლობის დადასტურებას მოითხოვდა.

**მოვუსმინოთ ბატონ ოთარ ფაცაციას:**

„ეს ის დრო იყო, როცა მუყაოს ფაბრიკას ვაშენებდით და მანქანა დანადგარები უნდა შემოგვეტანა უცხოეთიდან. ასორმოცდაათ მეტრიანი უწყვეტი ციკლის მუყაოს დამამზადებელი საამქროს ერთი ნაწილი, თხევადი მასის საშრობი ცილინდრი იმდენად დიდი მოცულობის და მძიმე აღმოჩნდა, თუ მას ფოთის პორტში ჩამოვიტანდით, ფოთიდან ზუგდიდამდე 26 ახალი ხიდი უნდა აგვეშენებინა, რაც იმდენად ძვირი ჯდებოდა, უმჯობესი იყო ახალი გემთმისადგომი ანაკლიაში აგვეშენებინა და იაფად გამოვიდოდით. აშენებული გემთმისადგომი კი ქვეყანას დარჩებოდა, სამომავლოდ, ახალი პროექტების განსახორციელებლად!

ასე გაჩნდა ანაკლიაში პორტის მშენებლობის იდეა, რომელსაც, იმდროინდელ, შესაბამის საკაშირო სამინისტროებში ლობირება და მის განსახორციელებლად ოდესის შავი ზღვის შემსწავლელი ინსტიტუტის ჩართვა მოჰყვა, რომელმაც მოკლე დროში, ახალი პორტის მშენებლობის მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნა წარმოადგინა.

სამწუხაროდ, ამ პროექტს განხორციელება არ ეწერა, რადგან მალე საბჭოთა კავშირი დაიშალა და დაწყებული მშენებლობაც შეჩერდა, რომლის ნაშთები, კომუნიზმის განუხორციელებელ იდეასთან ერთად საოცნებო მოგონებად დარჩა!“

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, ასვე, არსებობდა, – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ქვეყნის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის, აწ გარდაცვლილი, არჩილ გრიგოლის ძე კიკნაძის **„ახალი, ღრმაწყლიანი ნავსადგურის განთავსების კონცეფცია“**.

სამწუხაროდ, კიკნაძისეული **„ახალი, ღრმაწყლიანი, ნავსადგურის განთავსების კონცეფცია“** უარყოფილ იქნა მრავალ მიზეზთა გამო, მათ შორის მხოლოდ ორს გამოვყოფთ:

1. ამ კონცეფციის განხორციელება, პორტის განთავსების (ენგურის შესართავთან) ადგილის გამო მინიმუმ ორ უძველეს დასახლებას, – ანაკლიას და განმუხურს შეიწირავდა.

2. დღევანდელი საქართველოს საზღვრების პირობებში კი იგი საერთოდ ვერ განხორციელდება, რადგან, პორტის ნახევარი, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდება.




თუმცა, შევარდნაძის ხელისუფლება ყოველი, მოახლოებლი არჩევნების წინ, სამეგრელოს მოსახლეობის **„დასაბოლებლად“** ამ **„კონცეფციას“** დიდი წარმატებით იყენებდა, რომელსაც, როგორც ზემოთ ვახსენე, – არაფერი ჰქონდა საერთო რეალობასთან!

2012 წლის არჩევნებში გამარჯვების მომლოდინე **სააკაშვილიც**, როგორც ამბობენ, კიდევ უფრო შორს წავიდა და ამერიკელებს სამხედრო საზღვაო ბაზის მშენებლობას სთავაზობდა ანაკლიაში!

* * *

90-იანი წლების ქვეყნის დაქცევა და იავარქმნა, არც ანაკლიას დაჰკლებია და ასე ჩაკვდა იქ ცხოვრება. კურორტისთვის ვის ეცალა, თუ კი სადმე გადახურული მოიძებნებოდა აფხაზეთიდან სიკვდილს თავდაღწეული მოსახლეობა აფარებდა თავს. ზუგდიდიდან ანაკლიამდე 30 კილომეტრი გზის გავლას ორი საათი უნდებოდა ავტოტრანსპორტი, გახედვაც კი არავის უნდოდა იქითკენ!..

ასე გაგრძელდა, მანამ, სანამ სრულიად უხმაუროდ, ზღვის პირას, თეთრი კირქვის კვადრებით ნაშენი უზარმაზარი გალავანი, მეგრული ოდით და ასევე კირქვით ნაშენი სასახლით აღიმართა. მოსახლეობამ მას **„აიეტის სასახლე“** უწოდა იმთავითვე.

პარალელურად, მითაჟამისდროინდელი, ხის ნაეკლესიარის ადგილზე, სამნავიანი, ულამაზესი ბაზილიკაც აშენდა **„წმინდა ნიკოლოზი“**-ს სახელზე, რომელიც ერთადერთ თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა მაშინ სოფლის მოსახლეობისათვის, არა მარტო რელიგიური დღესასწაულების დღეებში.

იმ პერიოდში, ასევე ჩუმად და ხმაურის გარეშე, სოფლის სკოლა და საავადმყოფოს შენობაც გარემონტდა, საქართველოს მაშინდელ ხელისუფალთ დიდი ხნის მივიწყებული და მიტოვებული რომ ჰქონდათ.

–ცოტა ვინმემ თუ იცოდა მაშინ, ვინ აკეთებდა ამდენ სიკეთეს და ვინ დაუბრუნა ანაკლიას მკვდრეთით აღდგომის და განახლების იმედი, ვინ იყო **თეიმურაზ ქარჩავა!**

ანაკლიაში პორტის მშენებლობის იდეა მოგვიანებით გახდა რეალური და შესაბამისი კონცეფციაც მას შემდეგ შეიქმნა, როცა ბატონი თემურაზ ქარჩავა, იმჟამად მშენებარე ყულევის ტერმინალის პროექტის ავტორს და მშენებლობის ხელმძღვანელ ბატონ სპარტაკ ერაგიას შეხვდა და **„ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის კონცეფციის“** შემუშავება სთხოვა.

***–აი, როგორ იხსენებს ამ დღეს ბ-ნი სპარტაკ ერაგია:***

„2002 წელი იდგა. ყულევის მშენებლობა თითქმის გაჩერებული იყო, მაგრამ მე დროს არ ვკარგავდი და ზღვის სანაპირო ზოლს ვსწავლობდი ფო-




თი-ანაკლიის შუალედში. სწორედ ამ დროს მოვიდა ჩემთან ბ-ნი თეიმურაზ ქარჩავა, და მთხოვა კონსულტაცია გამეწია ანაკლიაში **„ანაკლიაში ღრმაწყლიანი პორტის“** აშენებასთან დაკავშირებით. თან, ცნობილი ქართველი მეცნიერის არჩილ კიკნაძის **„ახალი, ღრმაწყლიანი ნავსადგურის განთავსების კონცეფცია“** წარმომიდგინა. ამ ნაშრომს კარგად ვიცნობდი და დრო არ დაგვიკარგავს, მოკლე განმარტებით დავუსაბუთე, რომ იგი არ შეიძლებოდა სერიოზულად განხილულიყო, მრავალი მიზეზის გამო და შევპირდი, ჩემს მოსაზრებას ამ საკითხზე მალე წარმოვადგენდი. მართლაც, რამდენიმე კვირაში, მე იგი, ბ-ნ თეიმურაზ ქარჩავას გადავეცი. ამის შემდეგ, თითქმის შვიდ წელზე მეტი გავიდა, ვიდრე ჩვენ ხელახლა შევხვდებოდით და ამ თემაზე საქმიან ურთიერთობას განვაახლებდით.

ხანგრძლივი და მძიმე პერიოდი გამოვიარეთ, ვიდრე აქამდე მოვიდოდით... როგორც იქნა, სერიოზულად მოეკიდა ამ საქმეს დღევანდელი მთავრობა, საერთაშორისო კონკურსიც გამოცხადდა, სადაც ჩვენც ვმონაწილეობთ. დაველოდოთ, ვნახოთ, რა შედეგს მივიღებთ!“

ბატონი სპარტაკი გამორჩეულად სიტყვაძუნწია, როცა საქმე მის ნამუშევარს ეხება!..

***—ჩვენ კი, მოვუსმინოთ ბატონ თეიმურაზ ქარჩავას:***

„ანაკლიაში პორტის აშენების იდეა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. სანამ ბ-ნ სპარტაკს შევხვდებოდი, ყველა ინსტანცია მოვიარე, უამრავ სპეციალისტსა და ჩინოვნიკს ვესაუბრე, მაგრამ საქმე მხოლოდ მას შემდეგ დაიძრა, როცა, — **ჩემი შეკვეთით და დაფინანსებით,** საპროექტო ორგანიზაცია შპს **„მშენპროექტმა“** ბატონი სპარტაკ ერაგიას ხელმძღვანელობით შექმნა, მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული **„ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის წინასაპროექტო კონცეფცია“**.

ამის შემდეგ დაიწყო უმთავრესი და ურთულესი ნაწილი, — **პროექტის დაფინანსების მსურველთა მოძიება!..**

პროექტი არა მარტო შინაარსით, იგი სიდიდითაც უნიკალურია. მარტო პორტის მშენებლობა 5,5 მილიარდი დოლარი ჯდება, მთლიანი პროექტის ღირებულება კი 12 მილიარდს აღწევს!

მართალს ბრძანებს ბ-ნი ერაგია, — ჩვენ შვიდი წლის პაუზის შემდეგ განვაახლეთ თანამშრომლობა, რადგან ეს შვიდი წელიწადი უცხოელი პარტნიორების გაცნობასა და **„ანაკლია პორტის“** მეგაპროექტში ინვესტიციების ჩადების გამართლებულობაში დარწმუნებას მოვანდომე.

პირდაპირ უნდა ვთქვა, მას შემდეგ, რაც დღევანდელმა მთავრობამ, გაბედული ნაბიჯი გადადგა და გადაწყვიტა ამ მეგაპროექტის განხორციელება, — ისეთი ხალხი წამოიშალა პროეტში მონაწილეობის სურვილით, არასოდეს საერთო რომ არ ჰქონიათ ამ საქმესთან და მის შესახებ დიდი-დიდი, ერთი წლის წინ გაიგეს. რა თქმა უნდა, ასეთებს, კონკურსში გამარჯვების შანსი არ ექნებათ!

ვიდრე, პროექტის დამფინანსებლამდე მივიდოდით, უამრავი და რთული სამუშაოები იყო შესასრულებელი. მე ადრე გესაუბრეთ ამის შესახებ, — **პორტი ტვირთების გარეშე, იგივეა, რაც მატარებელი უმგზავრებოდ!..** ისეთი მასშტაბის მეგაპორტი, როგორიც ანაკლიაში უნდა განხორციელდეს, ტვირთების მყარი გარანტიის გარეშე, ინვესტორებს ვერ მოიზიდავს. ეს ერთ-ერთი უმთავრესი და ურთულესი პირობა ჩვენ შევასრულეთ!

—სომხეთში მშენებარე 540 მეგავატიანი გაზტურბინების თბოელექტროსადგურიც ანაკლიაში პორტის მშენებლობის ელექტროენერგიით მომარაგების შემადგენელი ნაწილია, რომელსაც, ასევე ჩვენი კომპანია **„Anaklia IEP (Industrial Eco Park) Holding“** აფინანსებს და აშენებს. ელექტროენერგიით შეუფერხებელი მომარაგება მთავარია მშენებლობის პერიოდში, თორემ აშენებულ და მოქმედ პორტს ელექტროენერგიის მომწოდებელთა რიგი დაუდგება.

ანაკლიაში აშენდება ალუმინის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც სომხურ ნედლეულზე იმუშავებს და ასევე საკმაოდ სოლიდური ტვირთებით მოამარაგებს მომავალში **„ანაკლია პორტს“**. ესეც პორტის შემადგენელი ნაწილი იქნება და საერთო საინვესტიციო თანხიდან დაფინანსდება.

როდესაც, ამ მასშტაბის ინვესტიციებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ ერთი, რომელიმე კონკრეტული პროექტის დაფინანსებაზე ძნელად, ან საერთოდ არ წამოვა ინვესტორი. ამიტომ ჩვენს მიერ შეთავაზებული მეგა საინვესტიციო წინადადება, სხვა და სხვა საინვესტიციო სფეროებს მოიცავს, რომლებიც საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის, უცხოელი ინვესტორისთვის კი საინვესტიციო რისკს აბალანსებს!

***—ხომ ვერ დაგვისახელებდით რომელიმე მათგანს?***

არა, რადგანაც, იგი ჯერჯერობით ჩვენი საკონკურსო განაცხადის საიდუმლოა!

—ბევრს **„ანაკლია პორტის პროექტი“** მხოლოდ ნავსადგურის აშენება ჰგონია ანაკლიაში, როცა, — **ნავსადგური, მართალია მნიშვნელოვანი, მაგრამ პროექტის ერთი ნაწილია მხოლოდ!**

პროექტი სულ სხვა გაგებაა და იგი თავის თავში სრული ინფრასტრუქტურის მოწყობას, — **ორი კონტინენტის, უმოკლესი, სამანქანო, სარკინიგზო და საჰაერო გზებით დაკავშირებას გულისხმობს და გაუგონარ შესაძლებლობებს სთავაზობს, ათასობით კილომეტრის მანძილზე განთავსებულ ათეულობით სახელმწიფოს.**

ამიტომაც, იგი, — **საუკუნის, ინტერნაციონალურ, მეგაპროექტად განიხილება!**

—კონკურსში განაცხადი ბოლო დღეს, 15 ოქტომბერს შევიტანეთ **„ANAKLIA PORT & INDUSTRIAL ECO PARK CONSORTIUM“**-ის სახელით. იგი საგანგებოდ შეიქმნა ამ პროექტისთვის და მასში გაერთიანდნენ, ადგილობივი, ქართული და მსოფლიოში ცნობილი, უცხოური კომპანიები:

**Anaklia Industrial Eco Park and Port Ltd.**

**Power Construction of China’s subsidiary HYPEC**

**British Eco Power**

**Anaklia Port Projekt Author – Mr. Spartak Eragia**

კონსორციუმის მონაწილეთა დახასიათებას აქ არ შევუდგები, რადგანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მათ შესახებ, უამრავი, საინტერესო მასალა მოიძიოს ინტერნეტში. არ არის გამორიცხული, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, მათ რიცხვს, რამდენიმე ცნობილი, მსხვილი კომპანია დაემატოს.

საქართველოში, დღემდე, სერიოზული ინვესტორი და ინვესტიცია არ შემოსულა. პროექტი, რომელიც ანაკლიაში იგეგმება, არ გახლავთ ერთი ქვეყნის მასშტაბის და ერთი ქვეყნის მომცველი. ანაკლიიდან დავიწყოთ ათვლა აღმოსავლეთისკენ — საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ირანი, კასპიის ზღვის ორივე ნაპირის პორტები, თურქმენეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ჩინეთი, იაპონია... შავი ზღვის ევროპულ ნაწილზე არაფერს ვამბობ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, — სამუშაო იმდენია ყველას ეყოფა!“

—ამასობაში, კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობაც დადგინდა. ეკონომიკის სამინისტროს პრესცენტრი აცხადებს:




**„ძალიან სასიხარულოა, რომ 12-მა კომპანიამ წარმოადგინა განაცხადი. ქვეყნების სპექტრი არის ძალიან მრავალფეროვანი, შემიძლია ჩამოვთვალო, რომ აქ არის ბელგია, ინდოეთი, ისრაელი, სინგაპური, აშშ, კვიპროსი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, და ა.შ. შემდეგ ეტაპზე მოხდება კომპანიების ე.წ. „მოკლე სიის“ დადგენა, რომლებთანაც პირდაპირი მოლაპარაკებებით გავაგრძელებთ კონცეფციაზე და კონტრაქტის დეტალებზე მუშაობას — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.“**

—მართლაც სასიხარულოა, რომ ამდენი უცხოური კომპანია აცხადებს ანაკლიაში პორტის მშენებლობაში მონაწილეობის სურვილს, მაგრამ ჩვენ დავძენდით — **ორმაგად სასიხარულო იქნება, იმ კომპანიის გამარჯვება, რომელიც სხვებზე მეტ ქართულ ინტერესებს ჩადებს ამ მეგაპროექტის განხორციელებაში!**



**დავით ქოგალია**

593 51 01 71




# ნაცმოძრაობის მმართველობა ეს იყო სახელმწიფო დონეზე აყვანილი ბანდიტიზმი, მოსახლეობის ძარცვის ლეგიტიმური უფლებით

**ვაგრძელებთ ინტერვიუების ციკლს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან, რომლის განცხადებითაც, საქართველოს ეკონომიკის განადგურებასა და მოსახლეობის გაღარიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვოდა შევარდნაძის ხელისუფლებასა და მასთან დაახლოებულ ბანკირებსა თუ ბიზნესმენებს. ამ თემაზე ჩვენი გაზეთის წინა ნომერში კი ვისაუბრეთ, მაგრამ მისი პრობლემატურობიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე, მომავალში ამ თემას აუცილებლად დავუბრუნდებით. ვფიქრობთ, მკითხველისთვის არც ის იქნება ინტერესმოკლებული, თუ რა როლი მიუძღვოდათ ქვეყნის გაჩანაგებაში ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე, ე.წ. რეფორმატორებსაც.**

**- ბატონო დავით, კერძო საუბარში ერთხელ მითხარით, რომ სააკაშვილის გუნდი ხელისუფლების სათავეში მოსვლამდეც „წარმატებით“ მონაწილეობდა საქართველოს დაქცევაში. რას გულისხმობდით?**

- ჟვანია-სააკაშვილის ტანდემი და შესაბამისად მათი გუნდი, რომლებიც თავს რეფორმატორებს უწოდებდნენ „ვარდების რევოლუციამდეც“ დიდ ფულს „აკეთებდა“. რამდენადაც მახსოვს შევარდნაძის მმართველობისას საქართველოს ბიუჯეტი ნახევარი მილიარდის ფარგლებში მერყეობდა, სააკაშვილის მმართველობისას ბიუჯეტი გაიზარდა და ბოლო წლებში დაახლოებით ცხრა მილიარდს მიაღწია. ნაციონალებს ერთ რამეში ვეთანხმები, შევარდნაძემ საქართველო კორუფციის ჭაობში ჩაძირა, მაშინაც შეიძლებოდა ხსენებული თანხის ბიუჯეტში მოხვედრა თუ იქნებოდა პოლიტიკური ნება და შესაბამისი ადმინისტრირება, თუმცა ნაციონალები რატომღაც იმაზე არაფერს ამბობენ, რომ ის 8,5 მილიარდი ბიუჯეტში რომ არ ხვდებოდა, სწორედ ჟვანია-სააკაშვილის ტანდემს მიუძღვის ლომის წილი. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. რეფორმატორები ხელისუფლების სათავეში ასე თუ ისე, არ იყვნენ, დიდ ძალაუფლებას ფლობდნენ და ბევრ რამეს განკარგავდნენ, შევარდნაძე კი მათ თვითნებობაზე თვალს ხუჭავდა. თუნდაც საბიუჯეტო თანხებთან დაკავშირებით, ხსენებული ტანდემი უშუალოდ შევარდნაძის მითითებით მოქმედებდა თუ არა, დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ რვა მილიარდზე მეტი იკარგებოდა. ჟვანია-სააკაშვილი მაშინდელ ბიზნესმენებს, უფრო ზუსტად ვაი-ბიზნესმენებს წილებში კი არ უჯდებოდნენ, თავხედურად უხტებოდნენ, მათ სატელევიზიო სასამართლოებს უწყობდნენ, ამდენი და ამდენი არ შეიტანეთ სახელმწიფო ბიუჯეტშიო, სინამდვილეში ბიუჯეტისთვის კი არ იღწვოდნენ, ამ ფულს თავად „აწერდნენ“ და ოფშორულ ზონებში გაჰქონდათ. შემდეგ ეს ფული უკან ბრუნდებოდა ე.წ. გრანტის სახით, იქმნებოდა და მსუყედ ფინანსდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ძირს უთხრიდნენ არამარტო შევარდნაძის ხელისუფლებას, არამედ მთელ საქართველოსაც. ტყუილად კი არ დადიოდა ხმები, „ახალგაზრდა რეფორმატორების“, შემდგომ ნაციონალების გარეშე გრანტს ვერავინ მიიღებსო. ეჭვი არ შეგეპაროთ ახლაც იგივე ხდება, მოუსმინეთ ამ „ცნობილ“ არასამთავრობოთა წარმომადგენლების ხმამაღალ განცხადებებს და თავადვე დარწმუნდებით. სრულიად სამართლიანია საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის მოთხოვნა, რომ აუცილებლად უნდა გაირკვეს საზოგადოებრივი სექტორის დაფინანსების წყაროების წარმომავლობა.

„ვარდების რევოლუციამდე“ თუ პარტიზანულად ხდებოდა ხსენებული გუნდის მიერ თანხების მითვისება, უცხოეთში გატანა თუ „ადგილზე“ მოხმარება 2003 წლის მიწურულიდან უკვე ოფიციალურად გაჰქონდათ ბიუჯეტიდან თანხები, სააკაშვილს ბიუჯეტი ხომ საკუთარ ჯიბედ მიაჩნდა. აქ მარტო ბიუჯეტში შესულ თანხებზე არ არის საუბარი, ვგულისხმობ იმ ფულსაც, რასაც ბიზნესმენებს „ახევდნენ“. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, შევარდნაძესთან დაახლოებულ ერთ-ერთ პერსონას, ამ ეტაპზე მისი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ, ბიუჯეტის სასარგებლოდ ოფიციალურად თითქოს 30 თუ 40 მილიონი გადაახდევინეს, სინამდვილეში კი მას თურმე 120 მილიონი „აახიეს“. ასეთი ფაქტები უამრავი იყო. გავიხსენოთ ნაციონალების ე.წ. შავი ფონდი, სადაც მავანთათვის „შეწერილი“ კოლოსალური თანხები მიედინებოდა, სად არის დღეს ეს ფული, შემთხვევით ისევ ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ხომ არ ხმარდება? შსს-ში უამრავი ოპერატიული ინფორმაცია იყრიდა თავს, თუ როგორ ირიცხებოდა შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობისას უცხოურ ბანკებსა თუ ოფშორულ ზონებში საქართველოში მიტაცებული თანხები, ვის ანგარიშზე და რომელი ბანკის მეშვეობით, მაგრამ ეს ინფორმაციები სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს, ამიტომ დაკონკრეტებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ.

სააკაშვილისა და მისი გუნდის სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელი საქმიანობა მარტო ფინანსური მაქინაციებით არ შემოიფარგლებოდა. ეს ე.წ. რეფორმატორები ყველაფერს აკეთებდნენ სამართალდამცავი სტრუქტურების (შსს, პროკურატურა, უშიშროების სამინისტრო) პარალიზება რომ მოეხდინათ. იმ პერიოდში, როდესაც მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ადამიანის



უფლებათა დაცვის მომიზეზებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც მოკვლევის პროცედურა, რომელსაც ოპერატიული სამსახურები აწარმოებდნენ პოლიციასა თუ სხვა უწყებებში წარდგენილი პირის მიმართ, დაახლოებით ხუთ საათში უნდა დასრულებულიყო, ხსენებული პირი ეჭვმიტანილად უნდა ეცნოთ და დაეკავებინათ. თუ ამ ვადაში ვერ ჩაეტეოდი, ადამიანი, რომელიც დარწმუნებით იცოდი რომ დამნაშავე იყო, უნდა გაგეთავისუფლებინა. ნებისმიერი პროფესიონალი „ოპერატივნიკი“ გეტყვით, რომ ეს ვადა არასაკმარისია. მოკვლევაში იგულისხმება პირისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა, პირადი ჩხრეკა, ჩხრეკა მის საცხოვრებელ ბინასა თუ ოფისში. დაკითხვასა და ბრალის წარდგენას საგამოძიებო სამსახური ახდენდა. ჩხრეკას ორივე შემთხვევაში ორი ნეიტრალური პირი უნდა დასწრებოდა, წარმოიდგინეთ, როდესაც ჯგუფურ დანაშაულთან გვქონდა საქმე და ორი თუ მეტი პირის მიმართ იყო ეს პროცედურები ჩასატარებელი, სად უნდა გვეპოვა ხუთ საათში ამდენი ნეიტრალური დამსწრე, მითუმეტეს, თუ ღამით ტარდებოდა ოპერაცია. საქმე უფრო რთულად იყო, როცა ეკონომიკურ დანაშაულზე იყო საუბარი, აქ დამატებით უამრავი დოკუმენტაციაც უნდა გადაგვემოწმებინა, თან ამ ყველაფერს ხომ იურიდიულად გაფორმება უნდოდა. მაშინ არ იყო ერთიანი სისტემა და ყველა ოქმი ცალცალკე დგებოდა. გარდა ამისა, უნდა მოგვეწვია ექიმი, რომ მომხდარიყო წარდგენილი პირის სამედიცინო შემოწმება, მისთვის უნდა გაგეცნო საკუთარი უფლებები, მოგეწვია ადვოკატი, იქნებოდა ეს სახაზინო თუ პირის სურვილით აყვანილი. როდესაც ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, შევიმუშავეთ შესაბამისი ოქმების ფორმები, რომელიც კომპიუტერზე იბეჭდებოდა და მრავლდებოდა, რომ ნაბეჭდი ბლანკი შეგვევსო და ზედმეტი დრო აღარ დაგვეკარგა. ერთი სიტყვით, უმცირესი დეტალიც არ უნდა დაგვერღვია, თორემ მერე დიდი „დემოკრატი“ და „უფლებადამცველი“ სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად აურზაურს ატეხავდა კახა თარგამაძის პოლიცია ადამიანის უფლებებს არღვევსო. ამ ყველაფრიდან აშკარად ჩანს, როგორ ებრძოდნენ ეს ე.წ. რეფორმატორები სამართალდამცავ სტრუქტურებს და ქვეყანა დესტაბილიზაციისკენ მიყავდათ. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ასეთ შეზღუდულ დროში ფაქტობრივად შეუძლებელი იყო სრულყოფილი მოკვლევის ჩატარება, მაგრამ ამას შეგნებულად აკეთებდნენ, რადგან ასე აწყობდათ.



სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში როცა მობრძანდა, რადიკალურად შეცვალა საპროცესო კანონმდებლობა და იგი ჩოხა-ახალუხივით მოარგო საკუთარ სამართალდამცავ სტრუქ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

ტურებს. არათუ მოქმედი სამართალდამცავი, არამედ ყოფილიც კი (მასაც შეუძლიათ კოლეგიალობაში დასდონ ბრალი) არ შეიძლება კონკრეტულ საქმეში მოწმედ გამოვიდეს, რადგან იგი დაინტერესებულ პირად ითვლება. სააკაშვილის კანონებით კი



სამართალდაცავს მოწმის სტატუსი მიანიჭეს, უფრო მეტიც ერთი პოლიციელის ფარატინა ჩვენების საფუძველზე, ხალხს მრავალი წლით უშვებდნენ გისოსებს მიღმა. ამ კუთხით განსაკუთრებული „პრივილეგიით“ სააკაშვილის „საამყო“ პატრული სარგებლობდა, ქუჩაში მოკრეფილი, უცოდინარი, გამოუცდელი პატრულების პატაკის საფუძველზე ბევრ შემთხვევაში უდანაშაულო ხალხს ციხეში ამწესებდნენ. პოლიციაში კანტიკუნტად შემორჩენილი გამოცდილი პოლიციელები გაოგნებული ვიყავით ამ გაუგონარი უკანონობის შემხედვარე, მაგრამ ჩვენი აზრი არავის აინტერესებდა. ადამიანის უფლებათა დაცვის და დემოკრატიის ლოზუნგით მოსული ხელისუფლება ფეხქვეშ თელავდა პიროვნების უფლებას და თავისუფლებას. მთელს პოსტკომუნისტურ სივრცეში საუკეთესო ქართული ოპერატიული სკოლა, ნაციონალებმა მიწასთან გაასწორეს. მუდმივად ადამიანის უფლებების დაცვაზე მოტლიკინე სააკაშვილი, როგორც ჩანს პოლიციის ძველ კადრებს ადამიანებად არ გვთვლიდა, შსს-ს თითქმის მთელ შემადგენლობას 2003 წლის ნოემბრის ხელფასი დღემდე არ მიუღია.

საქართველოს თავს დატეხილი უბედურება, რასაც მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია ამერიკა-რუსეთის ერთობლივი „შემოქმედებაა“. 90-იანი წლების დასაწყისში კომუნისტურ პარტიასა და მის პირმშო სუკს აშკარად გაექცათ სადავეები ხელიდან, პოსტკომუნისტურ სივრცეში მათი გეგმის მიხედვით ვერ განვითარდა პროცესები, ამიტომ დახმარებისთვის ამერიკას მიმართეს. ამ უკანასკნელის ხელისუფლება მიხვდა, რომ ადრე თუ გვიან რუსეთში მიმდინარე პროცესები მათაც დიდ თავის ტკივილს მოუტანდა და აშკარად ჩაერთო რუსეთის დაცვის საქმეში, თუმცა ამერიკელებს უნდოდათ, რომ რუსეთს, რაც შეიძლება დიდი ზარალი განეცადა. თეთრმა სახლმა ის ვეღარ გათვალა, რომ რუსეთი ომების შემდეგ უფრო ძლიერდებოდა, რაც დღესაც სახეზე გვაქვს, რუსეთი პირობებს უკვე თვითონ კარნახობს. სჯობს, დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის თემას, როდესაც საქართველოს მოსახლეობა სახელმწიფო დონეზე აყვანილი ბანდიტიზმის შედეგად საგრძნობლად გაღარიბდა, სუკისა და ცსს-ს (ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) ერთობლივი ფინანსური დასჯის გეგმის ბოლო, დასკვნითი ნაწილი გათამაშდა, მათი ძალისხმევით საქართველოში „ვარდების რევოლუციამ“ შემოაბიჯა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომუნისტურ პარტიას ისე სძულდა თავისუფლებისმოყვარე ქართველები, რომ თავის დაუძინებელ მტერს, მასონებსაც კი გაურიგდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ჩვენი მოსახლეობის მასობრივი გაღატაკება, რასაც თან მოჰყვა სახელმწიფოს მხრიდან განუზომლად დიდი, გაუმართლებელი კრედიტების აღება. საქართველო ფინანსურად დასავლეთის, ხოლო პოლიტიკურად რუსეთის კაბალის ქვეშ აღმოჩნდა, ერთი სიტყვით, კარგად დაგებულ მახეში გავებით, ოღონდ ისე, რომ მოსახლეობას არავინ არაფერს გვეკითხებოდა. რამდენი ჯალათი და მისი თანამზრახველი ჰყავდა საქართველოს ამის დათვლა შეუძლებელია, ისინი ყველგან იყვნენ, იქნებოდა ეს თანამდებობრივი იერარქია თუ ბიზნესი, ამ სიონობოლშევიკური სისტემის შვილებს საქართველოს ღალატის იდეა აერთიანებდათ. ისინი უმთავრესად გაუნათლებელი, ყველაფრის მკადრებელი ე.წ. ადამიანები არიან, საკუთარი ერის მიმართ ასეთი ზიზღი, მართლაც უპრეცედენტოა, ახლაც, ამ წაგებულ „ომში“ მათ კვლავ იმედი აქვთ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან და საბოლოოდ დაასამარებენ ქვეყანას. ნაცმოძრაობას და მათთან დაახლოებულ გარკვეულ წრეს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფება.

ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფება, ეს არის მყარად ჩამოყალიბებული პირთა ჯგუფი, რომელიც შექმნილია დანაშაულობების ჩადენის მიზნით, მაგრამ დაჯგუფება, რომელზეც ვისაუბრებთ, ცხოვრების კი არა, სხვა ქვეყნის ზეგავლენით და სხვა მიზნით იქნა ჩამოყალიბებული. დანაშაულებრივ დაჯგუფებებს გააჩნიათ წინასწარგანზრახული გეგმა, თუ როგორ განახორციელონ კრიმინალური მიზნები, წარმატების შემთხვევაში მათი საბოლოო მიზანი ხელისუფლების მიტაცებაა. დაჯგუფების წევრები თავიდან ვერც კი გრძნობენ, რომ მათი „მოღვაწეობა“ სცილდება დაჯგუფების ფარგლებს და საზოგადოებად ყალიბდება, რასაც ის შედეგი მოჰყვება, რომ დაჯგუფება რამდენიმე ლიდერზე ხდება დამოკიდებული, საზოგადოება უკვე პირთა ჯგუფზეა ორიენტირებული და მნიშვნელობა აღარ აქვს რომელი რგოლი გამოაკლდება, მისი შეცვლა თავისუფლად შეიძლება.



**მანანა ხუხიშვილი**
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

# რაც მოხდა არა მხოლოდ ღვთისგან, კაცთაგანაც უპატიებელი დანაშაულია

„ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობსო“, – წერდა სულმნათი ილია მართალი. დღევანდელი საქართველოს უბედურება, შეიძლება, სწორედ ჩვენი წარსულის დავიწყება იყოს. სხვა უცხო ქვეყნების თუ ერების წაქეზება-წახალისებით ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე წლებია ცდილობს დაივიწყოს და სხვასაც მიავიწყოს საუკუნეების მანძილზე შემონახული ძირძველი ტრადიციები, რომლებითაც ვამაყობდით და მსოფლიოში თავი მოგვქონდა.

კომუნისტური რეჟიმის დროს ათეიზმი მძვინვარებდა, მაგრამ საქართველოში მართლმადიდებლობა არ მოშლილა. ჩვენდა საუბედუროდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ახალი ძალით შეუტიეს მართლმადიდებლობას უცხოტომელებმა და მათგან მოსყიდულმა აქაურებმა. ამჟამად გვეომებიან იეღოვას თუ სხვადასხვა სექტების მეშვეობით. დემოკრატიის საფარს ამოფარებულები ისე ავიწროებენ მართლმადიდებლებს, ვინმეს ეგონება, უცხოები ვიყოთ ჩვენსავე ქვეყანაში. სექტანტებს თუ უცხოტომელებს, რაც არ უნდა ტყუოდნენ, ბუზსაც ვერავინ აუფრენს. უცებ ყიჟინას დასცემენ „უფლებადამცველები“ თუ არასამთავრობოები, – არიქა, იეღოველებს ჩაგრავენო, როცა მართლმადიდებელი ქართველის უფლებები სულაც არ ანაღვლებთ.

წერილი წმინდა ილიას სიტყვებით დავიწყეთ და ახლაც მასვე დავესესხებით: „... ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს“... დღეს, ჩვენდა საუბედუროდ,



ზოგიერთმა უკვე დაივიწყა და ზოგიერთი ცდილობს დაივიწყოს წარსული.

თბილისში წმინდა ბარბარეს სახელობის ორი ეკლესიაა, ერთი ჩოლოყაშვილის ქუჩაზე და მეორე ნაკადულის ქუჩის მიმდებარედ. სწორედ ეს საყდარი გახლავთ ერთ-ერთი უძველესი ძეგლი, რომელიც ჩვენს დედაქალაქში, როგორც ამბობენ, მეხუთე საუკუნეში აგებული.

დაახლოებით ერთი კვირის წინ ზუსტად სვეტიცხოვლობის წმინდა დღეს ტაძარი გაძარცვეს! სამწუხაროდ, ქურდობით დღეს ვერავის გააკვირვებ, მაგრამ მძარცველები ვანდალურად მოიქცნენ, დაანგრიეს, დაამტვრიეს ეკლესიის ქონება. საყდრის მოძღვარი გაოცებული და გაოგნებული იყო, – ეთხოვათ და მივცემდი ფულსო, – ამბობდა შეძრწუნებული. მართალია, სამართალდამცველებმა მალევე დააკავეს მძარცველები, მაგრამ ამით ვერაფერი შელავათი. უბედურება გახლავთ ის, რომ ახალგაზრდებმა ჩაიდინეს მომაკვდინებელი ცოდვა.

საქართველოში ტაძრის ეზოში თუ მიმდებარე ტერიტორიაზე მონადირე ნადირსაც არ კლავდა. ეს დაუწერელი კანონი, ტრადიცია იყო. აღარაფერს ვამბობთ ძარცვა-ქურდობაზე. თუმცა ფაქტი გაშუქდა, როგორც ჩვეულებრივი კრიმინალი.

რაც მოხდა არა მხოლოდ ღვთისგან, კაცთაგანაც უპატიებელი დანაშაულია და ამაზე ჩვენ, ხალხს, საზოგადოებას უმწვავესი რეაქცია უნდა გვქონდეს...

**გია ბურდული**
551 71 27 07



[illegible]





## თავსატეხი

მურადა, სარია, ალერსი, ენაბლუ, ტრემბიტა, ქანთარი

ჰორიზონტალურად: [illegible]

ვერტიკალურად: [illegible]

## სამიდან ერთი

ჰორიზონტალურად: 1. [illegible] 2. [illegible] 3. [illegible] 4. [illegible] 5. [illegible] 6. [illegible] 11. [illegible] 12. [illegible] 13. [illegible] 14. [illegible] 15. [illegible] 16. [illegible]

ვერტიკალურად: 3. [illegible] 7. [illegible] 8. [illegible] 9. [illegible] 10. [illegible] 14. [illegible] 17. [illegible] 18. [illegible] 19. [illegible] 20. [illegible] 21. [illegible]

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 26 | ■ | 17 | ■ | 21 | 1 | 20 | 4 | 24 | 27 | 1 |
| 32 | 9 | 13 | 9 | 3 | 1 | ■ | 22 | ■ | 13 | ■ | ■ |
| ■ | 12 | ■ | 6 | ■ | 6 | 22 | 11 | 3 | 22 | ■ | 14 |
| 16 | 9 | 4 | 9 | 26 | 24 | ■ | 4 | ■ | 4 | 6 | 1 |
| ■ | 3 | ■ | 2 | ■ | 3 | 2 | 1 | 10 | 1 | ■ | 6 |
| 30 | 1 | 19 | 9 | 8 | 1 | ■ | ■ | ■ | 9 | 7 | 1 |
| 24 | ■ | 5 | ■ | 1 | ■ | ■ | 23 | ■ | ■ | ■ | 4 |
| 33 | 6 | 3 | 16 | 9 | ■ | 28 | 1 | 11 | 6 | 4 | 1 |
| 24 | ■ | 8 | ■ | 15 | ■ | ■ | 26 | ■ | 4 | ■ | ■ |
| 4 | ■ | 8 | ■ | 1 | 10 | 9 | 4 | 1 | 9 | ■ | 11 |
| 9 | 18 | 1 | 9 | ■ | 9 | ■ | 1 | ■ | 33 | ■ | 3 |
| ■ | 15 | ■ | 4 | ■ | 10 | ■ | ■ | 4 | 1 | 6 | 9 |
| 23 | 1 | 23 | 1 | 4 | 9 | ■ | ■ | 24 | ■ | ■ | 21 |
| ■ | 8 | ■ | 2 | ■ | 6 | 9 | 8 | 31 | 1 | 4 | 1 |
| 29 | 1 | 4 | 9 | 3 | 1 | ■ | ■ | 1 | ■ | ■ | 9 |

ა–9
ბ–
გ–
დ–
ე–22
ვ–
ზ–
თ–
ი–1
კ–
ლ–4
მ–
ნ–
ო–24
პ
ჟ
რ–3

ს–
ტ–
უ–5
ფ–
ქ–
ღ–
ყ–
შ–16
ჩ–
ც–
ძ–
წ–
ჭ–
ხ–25
ჯ
ჰ–

# 17 ოქტომბერს გურამ შარაძეს 74 წელი შეუსრულდებოდა



სასუფეველი დაიმკვიდრეთ თქვენ, ბატონო გურამ და ბრწყინავთ თქვენი შემართებით, მეცნიერებით, შეუვალობით, მართლის მთქმელობით, სუფთა სულითა და გულით, მთელი არსებით...

დიდი ილიას მსგავსად, თქვენი ცხოვრების კრედო იყო: ენა, მამული, სარწმუნოება. ეს სამი მცნება დააყენეთ საკუთარ ოჯახზე, სიცოცხლეზე მაღლა. იღვწოდით და იბრძოდით იმ დაძაბულ პერიოდში, როცა საქართველოს თავზე კვლავ შავი ღრუბლები გროვდებოდა და ყვავ-ყორნები, შინაური თუ გარეული, მის დაკორტნას ლამობდნენ. იბრძოდით პარლამენტში ერის მოღალატეების წინააღმდეგ (რომლებიც დღესაც არიან მოკალათებულნი ხელისუფლებაში), მათგან იცავდით ქართულ გვარს, წარმოშობას. ყველგან თქვენ წილ მართალ სიტყვას წარმოთქვამდით, ვერავინ გერეოდათ, რამეთუ იცოდნენ თქვენი პირდაპირობა, რომ სამშობლოსა და სარწმუნოების ღალატს არავის აპატიებდით. საკუთარი შვილის სიცოცხლე აჩუქეთ ღვთივრჩეულ ერს. ნაცვლად იმისა, რომ ამ დანაკლისით სევდას მისცემოდით, ყოველივეს შიგნით ხარშავდით და სამშობლოს მტრებს არაფერს უთმობდით. ფარ-ხმალი არასოდეს დაგიყრიათ. მართალო კაცო! მუხანათურად მოკლეს დიდი ილია და მუხანათურად ჩაგცხრილეს თქვენც ქალაქის გულში.

თქვენი ღირსეული მეუღლე ქალბატონი სვეტლანა თქვენი დაკარგვით დიდი დარდითა და განცდებით აგრძელებდა ღვთივბოძებულ სიცოცხლეს. მას ანუგეშებდა თქვენი საამაყო შვილი რუსუდანი, შვილიშვილები და ახლობლები. თქვენ არა მარტო ერთგული მეუღლეები, არამედ მეგობრებიც ბრძანდებოდით და ერთად განიცდიდით ერისა თუ ბერის ტკივილს.

ახლა კი ქალბატონმა სვეტლანამ ინება თქვენთან გადმოსახლება.

ბატონო გურამ, მეუღლესთან ერთად ღირსეულნი ბრძანდებოდით როგორც ერის ნაღებ საზოგადოებაში, ახლობელ ნათესაობაში, ასევე ღირსეული მშობლები იყავით შვილების წინაშე.

ახლა თქვენსკენ მოვაცილებთ, ბატონო გურამ, ქალბატონ სვეტლანას. შეიკრიბებით ელიტარული, ერუდირებული ოჯახი. ქალბატონი სვეტლანა მოგიყვებათ ყოველივეს...

ბატონო გურამ, თქვენ და თქვენს მეუღლეს — ორივეს გილოცავთ დაბადების დღეს, ილოცეთ ჩვენი ბედკრული საქართველოსთვის.

ილოცეთ თქვენი საამაყო შვილისთვის რუსუდანისთვის, შვილიშვილებისთვის და ახლობლებისთვის.

თბილი და მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა.

**მონატრებით გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილ მკალავიშვილი, მოძღვარი მამა ვახტანგ მარგიანი, მრავალრიცხოვანი მრევლი**

---

**„საერთო გაზეთი“ მწუხარებას გამოთქვამს გურამ შარაძის მეუღლის**

**სვეტლანა გახარია-შარაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**



---

გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილ მკალავიშვილი, მოძღვარი მამა ვახტანგ მარგიანი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აკადემიკოს გურამ შარაძის მეუღლის

**სვეტლანა გახარია- შარაძის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ შვილს ქალბატონ რუსუდანს, სიძეს, დას — თათული გახარიას, რძლებს, შვილიშვილებს და ახლობლებს.

---



პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გვარდიის ვეტერანი თანამებრძოლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ზვიად გამსახურდიას გვარდიის წევრი, აფხაზეთის ომის მონაწილე, კოდორის ხეობის დამცველი, საქართველოს ნამდვილი პატრიოტი

**ირაკლი ქობალია**

და უსამძიმრებენ მის ოჯახს.

ირაკლი ქობალიას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თანამებრძოლთა გულებში.

**დაკრძალვა ზუგდიდში, სოფელ ოდიშში, ხუთშაბათს, 4 საათზე.**

---

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***

***მთვარისა კევლიშვილი.***

**ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69**

* * *

**-რას ნიშნავს ცრუ მეწარმეობა? როგორ ისჯება?**

-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის მიხედვით, ცრუ მეწარმეობა არის საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების ანდა აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სანქცია: ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

* * *

**- რა იგულისხმება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევაში? რა ვადით ხდება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა?**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელად ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად- ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არაა გათვალისწინებული ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

ძირითად სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ან გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას, აგრეთვე პირობითი მსჯავრის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ძირითად სასჯელად თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან, ასევე ვრცელდება ძირითადი სასჯელის მოხდის მთელ ვადაზე.

* * *

**-რა შემთხვევებში ინიშნება უვადო თავისუფლების აღკვეთა?**

- უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

* * *

**-თუ შეიძლება, გაგვაცანით დანაშაულთა კატეგორიები სიმძიმის მიხედვით.**

-მუხლი 12. დანაშაულის კატეგორიები

1. ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული;

ბ) მძიმე დანაშაული;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

2. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

3. მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

4. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ავეჯის გადაზიდვა



593 20 46 87

# წარბებს ეგვიპტელი მამაკაცებიც იპუტავდნენ



ძველ ეგვიპტეში ქალებიც და მამაკაცებიც წარბებს იპუტავდნენ მწუხარების ნიშნად იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში კატა მოუკვდებოდათ. საქმე იმაშია, რომ კატა წმინდა ცხოველად ითვლებოდა და მისი სიკვდილი ოჯახის ტრაგედიად მიიჩნეოდა.

# ასეც ხდება...

წარმოიდგინეთ, რა გრძნობა გაუჩნდებოდა ამერიკელ შელბი მაგნატს, როცა ექიმმა გასინჯვის შემდეგ უთხრა: თქვენ ორსულობის მეექსვე თვეში ხართო.

მუცლის აუტანელი ტკივილები რომ დაეწყო, შელბი ექიმთან მივიდა. ორსულად თუ იყო, ვერც კი წარმოიდგენდა.

„თავიდან მოვლითი ტკივილები მქონდა მარცხენა მხარეს, ამიტომაც წავედი ექიმთან. იქ მითხრეს, რომ, შესაძლებელი იყო, ორსულად ვყოფილიყავი. შემდეგ გამოკვლევაზე გამაგზავნეს, სადაც განმიცხადეს, რომ მალე ტყუპები გამიჩნდებოდა, — ამბობს შელბი მაგნატი.



„ეს რაღაც სიგიჟეა“, — აღფრთოვანებულია შელბის საქმრო ჯეიმს კროსკი, რომელიც შეშინებულიცაა და ბედნიერიც ერთდროულად.

ტყუპები ავა და ანა საკეისრო კვეთის შედეგად დაიბადნენ. მათი წონა 1,8 და 1,3 კგ-ია. ნაადრევი დაბადების მიუხედავად, გოგონები თავს კარგად გრძნობენ. ორიოდე კვირაში ისინი დედასთან ერთად სახლში წავლენ.






# ახალი აღმოჩენა წყნარ ოკეანეში

წყნარ ოკეანეში გამოუცნობი ხმები შენიშნეს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს უცნაური ხმები ოკეანის სიღრმიდან მოდის და სამწუხაროდ, ჯერ შეუძლებელია ამ ბგერების წარმოშობის წყაროს დადგენა.



უცნაური ხმები ოკეანიდან პირველად 1991 წელს შენიშნეს, თუმცა დღემდე ვერ მოხერხდა ამ ბგერების წარმოშობის დადგენა. ძლიერი ბგერები ხანდახან მიწყნარდება ხოლმე. საინტერესოა, რომ ხმაური ოკეანიდან უფრო ნათლად გაზაფხულზე ისმის. იგი თბომავლის სიგნალს ჰგავს და ყოველ 20 წამში ერთხელ მეორდება.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ხმები სეისმური აქტივობების შედეგია, რომელიც წყალქვეშ ხდება, ნაწილი კი კვლავ განაგრძობს კვლევას გამოუცნობი ბგერების წარმომავლობის თაობაზე.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.



წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63


# ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — მოსალოდნელია, მეტად ამბიციური ამოცანები დაისახოთ და მის შესასრულებლად ენერგია და დრო არ გეყოთ. თუმცა, თუ საკუთარ მიზნებს მაინც განახორციელებთ, მაშინ შესაძლოა, ამას ფინანსური შემოსავლებიც კი მოგიტანოთ.

**კურო** — ეს კვირა კარგი იქნება მოლაპარაკებებისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის. შეეცადეთ იყოთ მეტად კომუნიკაბელური და უშუალო, ეს დაგეხმარებათ ახალი პარტნიორის მოძიებაში.

**ტყუპები** — გაგიჩნდებათ ახალი პერსპექტივები და შანსი, რათა გამოასწოროთ საკუთარი მდგომარეობა და სტაბილური გახადოთ თქვენი მატერიალური შემოსავლები.

**კირჩხიბი** — ამ კვირაში გაგიძლიერდებათ საკუთარი თავის რწმენა და გარკვეულ პასუხისმგებლობასაც აიღებთ, რათ კიდევ უფრო დადებით იმიჯს შეგიქმნით გარშემომყოფებში.

**ლომი** — მოსალოდნელია, სწორედ ახლა გააცნობიეროთ ადრე დაშვებული შეცდომები და ამის გამო დაგეძაბოთ ემოციური სისტემა. ნუ აჩქარდებით და ნუ გამოიჩენთ უტაქტობას, დამშიდდით და შეძელით, რომ განვლილ გზას ანალიზი გაუკეთოთ.

**ქალწული** — მნიშვნელოვანი პერიოდი გელით. შესაძლოა, პარტნიორებთან ან გავლენიან ადამიანებთან გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიოთ, რაც თქვენს სამსახურებრივ საქმეზე პოზიტიურად აისახება.

**სასწორი** — შესაძლოა, ამ კვირაში რამე ახალი შეიძინოთ და ამის გამო გარკვეული ფინანსური გასავალიც გქონდეთ. შეეცადეთ, რომ ფული პრაქტიკულ ნივთებში დახარჯოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია მომავალში ფინანსური პრობლემები.

**მორიელი** — არ არის გამორიცხული შეიცვალოთ იმიჯი და რაღაც სიახლით წარსდგეთ საზოგადოების წინაშე. მოსალოდნელია ფინანსური შემოსავლების ზრდა.

**მშვილდოსანი** — აუცილებლად გააქტიურდით და შეეცადეთ, თქვენთვის ყველაზე პრობლემური საკითხების მოგვარება დაიწყოთ, ამისთვის შეგიძლიათ გარისკოთ კიდეც.

**თხის რქა** — მეტ-ნაკლებად დაძაბული პერიოდი გაქვთ, შესაძლოა, ეს დაკავშირებული იყოს ფინანსებთან ან უძრავ ქონებასთან. თუ ვინმემ უანგარო დახმარება შემოგთავაზათ, უარს ნუ იტყვით.

**მერწყული** — კვირის პირველ ნახევარში გააქტიურდება სამსახურთან დაკავშირებული საკითხები და შესაძლოა სასიამოვნო ინფორმაციაც კი მიიღოთ.

**თევზები** — გააქტურდება თქვენი ინტელექტუალური მონაცემები და აზროვნების პროცესი, ეს დაგეხმარებათ აზალი ინფორმაციის ათვისებასა და საჭირო დასკვნების გაკეთებაში.

ISSN 2233-3983